

გახსენით ლინკი და მოიწონეთ გვერდი

<https://www.facebook.com/eExistentialCrisisA1/>

ამბროზ ბირსი

# სასიკვდილო დიაგნოზი

ამბროზ ბირსი.....	1
სასიკვდილო დიაგნოზი .....	1
სასიკვდილო დიაგნოზი .....	2
ერთი დოქი ვაჟინი .....	6
მხედარი ზეცაში .....	11
მიცვალებულის მცველი .....	16
უგზოუკვლოდ დაკარგული .....	25
მიცვალებულთა ქალაქი.....	35
ამაო გარჯა.....	38
ცივი სალამი .....	41
ფილოსოფოსი პარკერ ადერსონი.....	43
სინდისის ქენჯნა.....	49
ავაზის თვალეზი.....	55
დაგმანული ფანჯარა.....	62
დატყვევება.....	67
მაკარჯერის ველის საიდუმლო.....	69
ტყუპისცალი .....	75
წყეული არსება .....	82
ზეციური კავშირი .....	90
ჩარლზ ეშმორის ნაკვალევი.....	91
ჯონ ბარტაინის საათი .....	94
ჯონ ბარტაინის საათი .....	99

## სასიკვდილო დიაგნოზი

– მე არც ისეთი ცრუმორწმუნე ვარ, როგორც თქვენ, ექიმები – მეცნიერების წარმომადგენლები, როგორც გიყვართ ხოლმე თქმა, – დაიწყო ჰოუვერმა, გამოუთქმელ ბრალდებებზე პასუხად, – ზოგიერთ თქვენგანს – მართალია, ცოტას, – სულის უკვდავებისა სჯერა და იმისაც, რომ ჩვენ შეიძლება ხილვები გვქონდეს, თუმცა სითამამე არ გყოფნით, რომ მათ მოჩვენებები უწოდოთ. მე კი მხოლოდ იმას ვამტკიცებ, რომ ცოცხლების დანახვა ხანდახან შეიძლება იქ, სადაც ისინი ახლა არ არიან, მაგრამ ადრე იყვნენ, – სადაც ცხოვრობდნენ ისე დიდხანს და ისე, მე ვიტყვოდი, ინტენსიურად, რომ ყველაფერს დააჩნიეს თავიანთი კვალი, რაც მათ გარშემო იყო. მე ზუსტად ვიცი: ადამიანი ისე შეიძლება ჩაიბეჭდოს გარემოში, რომ

დიდი ხნის შემდეგაც კი წარმოუდგეს თვალწინ სულ სხვა ვინმეს. ოღონდ, რასაკვირველია, ეს უნდა იყოს პიროვნება, რომელსაც შეუძლია ნაკვალების დატოვება და უნდა არსებობდეს თვალები, რომელთაც მისი აღქმის უნარი აქვთ, – მაგალითად, ჩემი.

– ჰო, თვალები, აღქმის უნარის მქონე, და ტვინი, რომელსაც ძალუძს აღქმულის სათანადოდ ახსნა, – ღიმილით თქვა დოქტორ ფრეილიმ.

– გმადლობთ. ყოველთვის სასიამოვნოა, როცა ამაოდ არ იხარჯები, ეს კი თავაზიანობის სწორედ ის ხარისხია, რომლის იმედიც შეიძლება თქვენგან მქონოდა.

– მაპატიეთ, მაგრამ თქვენ თქვით, რომ ამტკიცებთ... ასეთ სიტყვებს ქარში არ ყრიან. იქნებ მიაშობთ, საიდან ხართ ასე დარწმუნებული?

– თქვენ ამას ჰალუცინაციებს უწოდებთ, – განაგრძო ჰოუვერმა, – მაგრამ მაინც... და დაიწყო თხრობა:

– გასულ ზაფხულს, როგორც მოგეხსენებათ, ქალაქ მერიდიანში გავემგზავრე იმ მიზნით, რომ წლის ყველაზე ცხელი დრო იქ გამეტარებინა. ჩემი ნათესავი, რომელთანაც ვაპირებდი გაჩერებას, უცებ ავად გახდა – რაღაც სენი შეეყარა და სხვა სახლის მოძებნა მომიხდა. ხანგრძლივი ძიების შემდეგ, ბოლოს და ბოლოს, თავისუფალი ადგილი ვიპოვე – სახლი, რომელშიც ერთ დროს უცნაური ექიმი მანერინგი ცხოვრობდა. მერე გამგზავრებულა – სად, არავინ იცოდა, მანაც კი, ვინც მისი დავალებით მის სახლს უვლიდა.

მანერინგს თვითონ აუშენებია ეს სახლი და თითქმის ათი წელი უცხოვრია მოხუც მოახლესთან ერთად. არასდროს ჰქონია დიდი პრაქტიკა, მერე კი საერთოდაც მიუტოვებია. უფრო მეტიც,

სრულიად განუდგა საზოგადოებას და ნამდვილ განდეგილად იქცა. სოფლის ექიმი, ერთადერთი, ვისთანაც შეინარჩუნა ურთიერთობა, მიაშობდა, რომ განდეგილობის წლები მან სამეცნიერო კვლევას მიუძღვნა და წიგნიც კი დაწერა, თუმცა ამ ნაშრომს არ მოჰყოლია მოწონება მისი კოლეგების მხრიდან. ისინი მიიჩნევდნენ, რომ მანერინგი ცოტა შეშლილი იყო. თვითონ არ მინახავს ის წიგნი და არც მისი სახელწოდება მახსოვს ახლა, მაგრამ როგორც მითხრეს, მასში საკმაოდ ორიგინალური თეორია იყო წარმოდგენილი. ექიმი ამტკიცებდა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება წინასწარ განისაზღვროს ადამიანის სიკვდილი, თუნდაც ის ამჟამად საღ-სალამათი და ჯანმრთელი იყოს და ეს ვადა შეიძლება სრული სიზუსტით გამოითვალოს. ასეთი წინასწარმეტყველებისთვის ყველაზე ხანგრძლივი ვადა, მგონი, თვრამეტი თვით განისაზღვრებოდა. ადგილობრივები ჰყვებოდნენ, რომ მას არაერთხელ გაუკეთებია მსგავსი პროგნოზები, ან თუ შეიძლება ითქვას, დიაგნოზები, და ამტკიცებდნენ, რომ ყველა შემთხვევაში ის პირი, ვისი ახლობლებიც ექიმს გაუფრთხილებია, ზუსტად მითითებულ დღეს კვდებოდა და თანაც რაიმე თვალსაჩინო მიზეზის გარეშე. თუმცა

ამ ყველაფერს არ აქვს კავშირი იმასთან, რაც მინდა გიამბოთ: უბრალოდ ვიფიქრე, რომ თქვენ, როგორც ექიმს, ეს დაგაინტერესებდათ.

სახლი ავეჯიანად ქირავდებოდა და ხელშეუხებლად იყო შენახული იმ დღეების შემდეგ, როცა იქ ექიმი ცხოვრობდა. საკმაოდ პირქუში საცხოვრებელი გახლდათ ჩემნაირი ადამიანისთვის,

რომელსაც არც განდევილობისადმი ჰქონდა მიდრეკილება, არც სამეცნიერო შრომებისადმი და მგონია, რომ ამ სახლის სულმა, უფრო სწორად, მისი უწინდელი ბინადრის სულმა, ჩემზეც მოახდინა გავლენა, რადგან იქ ყოფნის პერიოდში ჩემთვის სავსებით უჩვეულო მელანქოლია მიპყრობდა. არა მგონია, რომ ეს შეიძლება მხოლოდ მარტოობით აიხსნებოდეს: მართალია, ღამით მთლად მარტო ვრჩებოდი – მოახლეს იმ სახლში არ ეძინა, – მაგრამ არასდროს ვიწყენდი საკუთარ თავთან პირისპირ აღმოჩენილი, ჩემი საყვარელი საქმიანობა ხომ კითხვაა. ერთი სიტყვით, რა მიზეზიც უნდა ყოფილიყო, უცნაურმა ნაღველმა და რაღაც გარდაუვალი უბედურების განცდამ მომიცვა. განსაკუთრებით მიმძიმდებოდა ეს მდგომარეობა დოქტორ მანერინგის კაბინეტში, თუმცა კი ის ყველაზე ნათელი და მხიარული ოთახი იყო სახლში.

იქ დოქტორ მანერინგის პორტრეტი ეკიდა, ზეთის საღებავებით შესრულებული, ნატურალური ზომის, და ოთახში თითქოს ყველაფერი მის გარშემო ტრიალებდა. მის პორტრეტში არაფერი გახლდათ უჩვეულო. მასზე ორმოცდაათიოდე წლის მამაკაცი იყო გამოსახული, საკმაოდ სასიამოვნო გარეგნობის, გაპარსული სახით და მუქი თვალებით, შავ თმაში შერეული ჭადარით. მაგრამ პორტრეტი რატომღაც მიზიდავდა, თვალს ვერ ვაშორებდი. პორტრეტზე გამოსახული ადამიანის სახე არ მტოვებდა – შეიძლება ითქვას, რომ ის მუდამ თან მდევდა.

ერთ საღამოს ხსენებულ ოთახს ჩავუარე, საძინებლისკენ ლამფით ხელში მიმავალმა, –

მერიდიანში გაზის განათება არ იყო. როგორც ყოველთვის, პორტრეტის წინ გავჩერდი:

ლამფის შუქზე მან თითქოს რაღაც ახლებური იერი შეიძინა – მიჭირს თქმა, კონკრეტულად როგორი, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, იდუმალი. ამან ჩემში ცნობისმოყვარეობა გააღვიძა, ოღონდ არა ხიფათის შემცველი. ლამფის აქეთ-იქით ქანაობას შევუდექი იმ მხარეს, თან განათების ცვალებადობის მიხედვით მიღებულ სხვადასხვა ეფექტს ვაკვირდებოდი. ამ საქმიანობით ძალიან გავერთე, მაგრამ უცებ უკან მიხედვის სურვილი გამიჩნდა.

ასეც მოვიქეცი. დავინახე, რომ ოთახში პირდაპირ ჩემკენ კაცი მოდიოდა. როცა იმდენად მომიახლოვდა, რომ ლამფის შუქმა მისი სახე გაანათა, დავინახე, რომ ეს თვით დოქტორ მანერინგი იყო. თითქოს პორტრეტი კედლიდან გადმოვიდა!

– მაპატიეთ, – მივმართე მოჩვენებითი გულგრილობით, – ჩანს, ვერ გავიგონე, როგორ დააკაკუნეთ.

მან ორი ნაბიჯის მანძილზე გვერდით ჩამიარა, თითი ასწია, თითქოს რაღაცას მაფრთხილებდა და უსიტყვოდ გავიდა ოთახიდან – სად და როგორ, ვერ შევნიშნე, ისევე, როგორც მისი შემოსვლა დარჩა ჩემთვის ამოუხსნელი.

რა თქმა უნდა, აზრი არ აქვს თქვენთვის იმის ახსნას, რომ მომხდარი ის იყო, რასაც თქვენ ჰალუცინაციას უწოდებთ, მე კი – ხილვას. ოთახს სულ ორი კარი ჰქონდა: ერთი გასაღებით დაკეტილი, მეორე კი საძინებლისკენ მიმავალი და იქ სხვა გასასვლელი არ ყოფილა. თუ რა ვიგრძენი, როცა ეს ყოველივე გავაცნობიერე, საქმეს არანაირად არ ეხება.

თქვენ ალბათ ამას მოჩვენებებთან დაკავშირებულ ბანალურ ამბად მიიღებთ, რომელიც ამ ჟანრის კლასიკოსების მიერ დადგენილი წესების მიხედვით არის აგებული. ასე რომ ყოფილიყო, არც გაიმბობდით, მართლაც რომ შემთხვეოდა. მაგრამ ეს ადამიანი არ გახლდათ მოჩვენება. ის ცოცხალია. აი, დღესაც, იუნიონ-სტრიტზე შევხვდი. ხალხის ბრბოში გვერდზე ჩამიარა...

ჰოუვერმა თავისი ნაამბობი დაამთავრა. რამდენიმე წუთითორივე მოსაუბრე დუმდა. დოქტორ ფრეილი დაბნეული აკაკუნებდა თითებს მაგიდაზე.

– მან დღეს გითხრათ რამე? – ჰკითხა ჰოუვერს. – რაიმე ისეთი, რისგანაც შეიძლებოდა დაგესკვნათ, რომ ის მკვდარი არ არის? ჰოუვერი ექიმს მიაჩერდა და არაფერი უპასუხა.

– იქნებ რაიმე განიშნათ? – განაგრძობდა ფრეილი, – რაიმე ჟესტით? იქნებ თითი ასწია? მას ჰქონდა ასეთი ჩვეულება, როცა რაიმე მნიშვნელოვანის თქმას აპირებდა, – მაგალითად, როცა დიაგნოზს სვამდა.

– დიახ, თითი ასწია, ზუსტად ისე, როგორც მაშინ ჩემს ხილვაში. მაგრამ, ღმერთო ჩემო, თქვენ მას იცნობდით? ჰოუვერი ამკარად ნერვიულობას იწყებდა.

– დიახ, ვიცნობდი. მისი წიგნი მეც წავიკითხე – ოდესმე ყველა ექიმი წაიკითხავს მას. მისი გამაოგნებელი აღმოჩენა – ეს უმნიშვნელოვანესი წვლილია, მედიცინის მეცნიერებაში შეტანილი. დიახ, მე მას ვიცნობდი. მე ვმკურნალობდი სამი წლის წინ, მისი უკანასკნელი ავადმყოფობის დროს. იგი გარდაიცვალა...

ჰოუვერი სკამიდან წამოხტა. ჩანდა, რომ ძლივს იკავებდა მღელვარებას. ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა, მერე თავისი მეგობრის წინ გაჩერდა და სუსტი ხმით იკითხა:

– ფრეილი, თქვენ არაფერი გაქვთ ჩემთვის სათქმელი, როგორც ექიმს?

– რას ამბობთ, ჰოუვერ! თქვენ ყველაზე ჯანმრთელი ადამიანი ხართ მათ შორის, ვისაც მე ვიცნობ. მაგრამ როგორც მეგობარს, რჩევას მოგცემთ. თქვენს ოთახში შედით. ვიოლინოზე ანგელოზივით უკრავთ, დაუკარით რამე, მხიარული და სახალისო. თავიდან ამოიგდეთ მრუმე ფიქრები.

...მეორე დღეს ჰოუვერი თავის ოთახში მკვდარი იპოვეს. ნიკაპთან ვიოლინო ჰქონდა მიბჯენილი, ბაფთა სიმებზე ესვენა, მის წინაშე კი შოპენის „სამგლოვიარო მარში“ იყო გადაშლილი.

# ერთი დოქი ვაჟინი

ამბავი, რომელსაც დღეს მოგიხსენებთ, მისი გმირის სიკვდილით იწყება. საილას დიმიერი 1863 წლის 16 ივლისს გარდაიცვალა, მისი ნეშტი კი ორი დღის შემდეგ მიაბარეს მიწას. და რადგანაც მას ყველა იცნობდა – ამიტომ, ადგილობრივი გაზეთის სიტყვებით რომ ვთქვათ, „მის დაკრძალვას უამრავი ადამიანი დაესწრო“.

იმდროინდელი ჩვეულების თანახმად, გათხრილი საფლავის პირას დადგმულ კუბოს სახურავი ახადეს და მიცვალებულს ნაცნობ-მეგობრებმა, მეზობლებმა გვერდით ჩაუარეს, უკანასკნელად შეხედეს მას, რის შემდეგაც საილას დიმერის გვამი ყველას თვალწინ ჩაუშვეს სამარეში. ზოგიერთ დამსწრეს თვალზე ცრემლიც მოადგა, და, შეიძლება ითქვას, დაკრძალვამ ყველა წესის თანახმად ჩაიარა. საილასის სიკვდილში ეჭვი არავის შეჰპარვია და იქ მყოფთაგან ვერავინ იპოვიდა დაკრძალვის წესჩვეულებებში რაიმე ნაკლს, თუმცა, მოწმეთა ჩვენებების თანახმად (სწორედ მათი დახმარებით აღმოიფხვრა ჯადოქრობა სელემში), გარდაცვლილი ნამდვილად უკან დაბრუნდა.

ჰო, დამავიწყდა მეთქვა, რომ საილას დიმიერი გარდაიცვალა პატარა დაბა ჰილბურკში და მისი ნეშტიც იქვე მიაბარეს მიწას, სადაც მან ოცდათერთმეტი წელი იცხოვრა. დიმიერი კომერსანტი იყო, როგორც შეერთებული შტატების ზოგიერთ ადგილას უწოდებენ საწვრილმანოს პატრონს,

ის ვაჭრობდა იმ საქონლით, რასაც ჩვეულებრივ მსგავს დუქნებში ყიდნიან. მის პატიოსნებაში ეჭვი არასოდეს არავის შეუტანია, ამიტომაც საყოველთაო პატივისცემით სარგებლობდა. ერთადერთი, რაც შეიძლებოდა წამოემდახათ მისთვის ყველაზე შარიან ადამიანებს, ის გახლდათ, რომ დიმიერი საქმეებს მეტისმეტად დიდ დროს ანდომებდა.

მაგრამ ეს დანაშაულად მაინც არ ითვლებოდა, საილასი მეტწილად მაინც საკუთარი საქმეებით იყო გართული.

არავის ახსოვს, დიმერს კვირის გარდა თუნდაც ერთი დღე ისე გაეცდინოს, რომ დუქანში არ მჯდარიყო. დაწყებული იმ დროიდან, რაც პირველად გააღო საწვრილმანო მეოთხედ საუკუნზე მეტი ხნის წინ, ბოლომდე, თვით სიკვდილამდე. არასოდეს უავადმყოფია, გარშემოც არაფერი ჩანდა ისეთი საპატიო მიზეზი, რასაც დახლიდან მისი მოწყვეტა შეეძლო. როგორც ამბობენ, ერთხელ საოლქო სასამართლოს გამოძახებაზეც კი არ გამოცხადდა, როცა მნიშვნელოვან საქმეზე ჩვენება უნდა მიეცა.

მისი დიმიერი და მათი ორი ზრდასრული ქალიშვილი ზედა სართულზე ცხოვრობდნენ, საილასი კი, როგორც ყველამ იცოდა, დუქანშივე, დახლს უკან დადგმულ საწოლზე იძინებდა. სწორედ იქვე იპოვეს იგი ერთ დილას მომაკვდავი, საწყალმა სული სწორედ იმ წუთამდე

განუტევა, როცა დუქნის გაღება იყო საჭირო. გონება ჯერ არ ჰქონდა დაკარგული, თუმცა ენა უკვე წართმეოდა.

ასეთი გახლდათ საილას დიმერი, ასეთი იყო ცხოვრებაში მის მიერ შეძენილი ურყევი ჩვევები და ამიტომაც ადგილობრივმა იუმორისტმა მას მეტსახელად „ბებერი შეუცვლელი“ უწოდა და საილასის სიკვდილის შემდეგ გამოსული გაზეთის პირველსავე ნომერში აღნიშნა, რომ დიმერმა საკუთარ თავს ნება დართო „ხანმოკლე შვებულებაში“ გამგზავრებულიყო. მართალია, ეს შვებულება ცოტა გაჭიანურდა, მაგრამ ისტორიის ფურცლების თანახმად, საიდანაც ჩვენ ვკრებთ ამ ცნობებს, არ გასულა ერთი თვეც კი, მისტერ დიმერმა ქვეყანას ამცნო, რომ აღარ სურდა საფლავში წოლა.

ჰილბრუკის ერთ-ერთი ყველაზე წარჩინებული მოქალაქე ბანკირი ელვენ კრიდი იყო. მას დაბის საუკეთესო სახლი ჰქონდა, ჰყავდა საკუთარი ეკიპაჟი და მოგზაურობასთანაც მწყრალად არ გახლდათ, ამიტომ რამდენჯერმე იყო ნამყოფი ბოსტონში. იმასაც კი ვარაუდობდნენ, რომ ბანკირს ნიუ-იორკიც მოუნახულებია, თუმცა თვითონ მოკრძალებით უარყოფდა ამ ვარაუდს. ასე რომ, მისტერ კრიდი ნამდვილად განათლებული პიროვნება ბრძანდებოდა – თუ ცოტა ხნით მაინც ეზიარა ნიუ-იორკის კულტურას, ან სულ მცირე გულწრფელი მაინც იყო – თუ დედაქალაქში არასოდეს ყოფილა.

ზაფხულის ერთ მშვენიერ საღამოს, დაახლოებით საღამოს ათ საათზე, მისტერ კრიდმა გამოაღო თავისი ბაღის ჭიშკარი, გაიარა მოხრეშილ ბილიკზე, რომელიც მთვარის შუქზე თეთრად ციალებდა, ავიდა თავისი მშვენიერი სახლის პარმალზე და მცირეოდენი დაყოვნების შემდეგ კარის კლიტეში გასაღები გაუყარა. როგორც კი კარი გააღო, თავისი ცოლი შენიშნა, რომელიც სასტუმრო ოთახიდან დერეფნის გავლით ბიბლიოთეკაში მიემართებოდა. ქალი მხიარულად მიესალმა ქმარს, კარი ფართოდ გაუღო და დაიცადა, სანამ მეუღლე შევიდოდა, მაგრამ ამის ნაცვლად კრიდი შებრუნდა, პარმალს თვალი მოავლო და გაკვირვებით იკითხა:

- დალახვროს ეშმაკმა, სად წავიდა ის დოქი?
- რომელი დოქი, ელვენ? – ჰკითხა ცოლმა გულგრილად.
- ბოკვის ვაჟინიანი დოქი, დუქანში ვიყიდე და აი აქ, პარმალზე დავდგი, კარი რომ გამეღო... სად ეშმაკ...
- კარგი, გეყოფა, ელვენ, – შეაწყვეტინა მეუღლემ.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ჰილბრუკი ერთადერთი ადგილი როდია ცივილიზებულ სამყაროში, სადაც პოლითეიზმის გადმონაშთი კრძალავს ბოროტი სულების ტყუილუბრალოდ ხსენებას.

ბოკვის ვაჟინიანი დოქი, რომლის დუქნიდან წამოდება, ჰილბრუკის სოფლურ ჩვეულებათა გათვალისწინებით, სამარცხვინოდ არ ითვლებოდა წარჩინებული პირისათვის, აშკარად გამქრალიყო.

- დარწმუნებული ხარ, რომ იყიდე ვაჟინიანი დოქი, ელვენ?

– საყვარელო, ნუთუ შეიძლება კაცმა ვერ შენიშნოს, მოაქვს დოქი თუ არა? ეს ვაჟინი დიმერის დუქანში ვიყიდე, როცა შინ ვბრუნდებოდი. თავად დიმერმა ჩამომისხა და დოქიც მათხოვა, მე კი...

ეს ფრაზა დაუსრულებელი დარჩა. მისტერ კრიდი ბარბაცით შევიდა შინ, სასტუმრო ოთახს ძლივს მიაღწია და აკანკალებული ჩაეშვა სავარძელში. მას უეცრად გაახსენდა, რომ მისტერ დიმერი სამი კვირის წინათ მოკვდა.

მისის კრიდი მეუღლის წინ იდგა და გაცეცხილდა შემფოთებული შესცქეროდა.

– ღმერთო ჩემო, – წარმოთქვა ქალმა, – რა გემართება, ავად ხარ?

მისტერ კრიდს ცოლის სიტყვები თითქოს არ გაუგია, არაფერი უპასუხა და გაქვავებული იჯდა. ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა. საათის ისრები ჩვეულებრივზე ნელა მოძრაობდნენ, თითქოს მეუღლეებს მეტ დროს აძლევდნენ გონზე მოსასვლელად.

– ჯენ, მე ჭკუაზე შევიშალე, – აჩქარებით ალაპარაკდა მისტერ კრიდი. – წინათ რატომ არაფერი მითხარი? ალბათ, ამჩნევდი კიდევ რაიმეს, ახლა კი ეს ისე აშკარა გახდა, რომ მე თვითონ მივაქციე ყურადღება. მე წარმოვიდგინე, თითქოს დიმერის დუქანს ჩავუარე, ის ღია და განათებული იყო, ყოველ შემთხვევაში, მე ასე მომეჩვენა, იგი ხომ არასოდეს აღარ არის ღია. საილას დიმერი თავისი დახლის უკან იდგა. გეფიცები, ჯენ, ისევე ნათლად დავინახე იგი, როგორც ახლა შენ გხედავ. გამახსენდა, რომ ბოკვის ვაჟინი ვთხოვე, შევედი და ვიყიდე – ეს იყო და ეს, ვიყიდე ბოკვის ვაჟინი საილას დიმერთან და მიუხედავად იმისა, რომ ის მოკვდა და საფლავში წევს, მაინც ჩამომისხა ვაჟინი კასრიდან და დოქით მომაწოდა. მახსოვს, ძალზე თავაზიანად მელაპარაკებოდა, იმაზე თავაზიანადაც კი, ვიდრე ჩვეულებრივ, თუმცა მის ნათქვამ ვერც ერთ სიტყვას ვედარ ვიხსენებ. მაგრამ მე ვნახე... ღმერთო! მე ის ვნახე და ველაპარაკე კიდევ, თუმცა ეს კაცი უკვე მკვდარია! და ეს ყველაფერი მომეჩვენა. გამოდის, რომ ჭკუაზე შევიშალე, ჯენ, შენ კი ეს დამიმალე!

ამ მონოლოგმა მისტერ კრიდის მეუღლეს დრო მისცა, მოეკრიბა მთელი ჭკუა და გონება, რაც კი გააჩნდა.

– ელვენ, – მიმართა მან, – დამიჯერე, ჭკუიდან შემლის არავითარი ნიშნები არ გემჩნეოდა. ალბათ უბრალოდ მოგეჩვენა, სხვა რამ არ შეიძლებოდა ყოფილიყო. შენ ალბათ მეტისმეტად გადაიღალე ბანკში. ამ საღამოს არ უნდა წასულიყავი ბანკის გამგეობის სხდომაზე, ისედაც ხომ სული ძლივს გიდგას. თითქოს ვგრძნობდი კიდევ, რომ რამე უნდა მომხდარიყო.

მისტერ კრიდს შეეძლო ეთქვა, რომ ეს დაგვიანებული გაფრთხილება ნაკლებ დამაჯერებელი იყო, მაგრამ წინააღმდეგობა მაინც არ გაუწევია, რადგან საკუთარ მდგომარეობაზე ფიქრობდა. მან საკუთარი თავი ხელში აიყვანა და დალაგებული აზროვნების უნარიც დაუბრუნდა.

– ეს უდავოდ სუბიექტური ფენომენია, – განაცხადა მან და მოულოდნელად მეცნიერული ენით დაიწყო განმარტება, – სულების განსხეულება დასაშვებია,



მაგრამ მძიმე ყავისფერი თიხის დოქის გამოჩენა და მატერიალიზება ნაკლებად დამაჯერებელია.

როცა ეს ყველაფერი ელვენ კრიდის ცნობიერებამდე დავიდა, იგი შეძრწუნდა.

საილას დიმერის უძრავი ქონება ანდერძის აღმსრულებლის ხელში იმყოფებოდა. დუქანი დაკეტილი იყო მისი პატრონის სიკვდილის დღიდან, ხოლო საქონელი ბითუმად იყიდა სხვა კომერსანტმა. ზედა სართულის ოთახებიც ცარიელი იყო, რადგან დიმერის ქვრივი თავის ქალიშვილებთან ერთად სხვა ქალაქში გადასახლდა. ელვენ კრიდის თავგადასავლის მეორე დღეს (ესამბავი მაინც გავრცელდა ხალხში), საღამო ხანს, მამაკაცებმა, ქალებმა და ბავშვებმა თავი მოიყარეს დუქნის მოპირდაპირე მხარეს. ის ამბავი, რომ დუქანში განსვენებული საილას დიმერის სული გამოცხადდა, ჰილბრუკის ყველა მცხოვრებმა იცოდა, თუმცა ბევრ მათგანს ისე ეჭირა თავი, თითქოს ეჭვი ეპარებოდათ ამაში. მათ შორის ყველაზე გაბედულნი, ძირითადად ახალგაზრდები, ქვებს ესროდნენ ფასადს, სახლის ერთადერთ მისადგომ ნაწილს, თანაც ცდილობდნენ, ქვა არ მოეხვედრებინათ დარაბებით დაუცველი სარკმლებისთვის. მათი ეჭვი ჯერ არ გადაზრდილიყო სიბრაზეში.

რამდენიმე გაბედულმა ბიჭმა ქუჩა გადაჭრა და კარზე ბრახუნი ატეხეს, თანაც ანთებული ასანთი ჩაბნელებულ ფანჯრებთან მიჰქონდათ, რათა დაეთვალთვლებინათ, რა ხდებოდა დუქნის სიღრმეში. სხვები ცდილობდნენ ჭკუამახვილობა გამოეჩინათ: ყვიროდნენ, ღმუოდნენ და მოჩვენებას გამოჩენისკენ მოუწოდებდნენ. მას შემდეგ, რაც საკმაო ხანი გავიდა და საყურადღებო არაფერი მოხდა, ხალხი დაიშალა. დარჩენილებმა უცებ შენიშნეს, რომ დუქნის შიგნით მკრთალი სინათლე გამოჩნდა. ამან ბოლო მოუღო მათ თავხედურ ქცევას. კარსა და ფანჯრებთან თავმოყრილმა ბიჭებმა მოპირდაპირე ტროტუარისკენ დაიხიეს და ბრბოს შეერივნენ, ბავშვებმა ქვის სროლას მაშინვე მიანებეს თავი. ხმები მიწყდა, ხალხში ჩურჩული ატყდა. ისინი ერთმანეთს ანიშნებდნენ შუქზე, რომელიც სულ უფრო მატულობდა. ვერავინ იტყოდა, რა დრო გავიდა იმ წუთიდან, რაც დუქნის შიგნით სუსტი სინათლე გამოჩნდა, მაგრამ

ბოლოს შუქი ისე გაძლიერდა, რომ ყველაფრის გარჩევა შეიძლებოდა, რაც დუქანში ხდებოდა, და დახლს უკან ყველამ ნათლად დაინახა საილას დიმერი.

ამან საოცრად იმოქმედა ხალხის ბრბოზე. უმრავლესობამ თავს გაქცევით უშველა და ხალხი სწრაფად შეთხელდა. ზოგი თავქუდმოგლეჯილი გარბოდა, სხვები თითქოს აუჩქარებლად შორდებოდნენ იქაურობას, თანაც დროდადრო უკან იყურებოდნენ, რათა საკუთარი ღირსება არ შეეღახათ. საბოლოოდ ადგილზე ოციოდე კაცი დარჩა, უპირატესად მამაკაცები. ისინი ჩუმად, თვალედაჭყეტილები იდგნენ. დუქანში მყოფი მოჩვენება მათ არავითარ ყურადღებას არ აქცევდა და მთლიანად იყო ჩაფლული შემოსავალ-გასავლის დავთარში.

და აი, სამი მამაკაცი ტროტუარზე მდგარ ხალხის ჯგუფს გამოეყო და ქუჩა გადაკვეთა. ერთ-ერთ მათგანს, აყლაყუდა ახალგაზრდა კაცს, უნდოდა კარს მხრით მისწოლოდა, მაგრამ თითქოს რაღაც ზებუნებრივი ძალით კარი თვითონ გაიღო და გაბედულები შიგ შეცვივდნენ. ქუჩაში დარჩენილებმა შიშით შენიშნეს, რომ სამივე, როგორც კი

ზღურბლს გადააბიჯეს, უცნაურმა ქცევამ შეიპყრო. ისინი ხელებს შლიდნენ, დუქანში წრეს უვლიდნენ, ედებოდნენ ყუთებსა და კასრებს, ეჯახებოდნენ ერთმანეთს. დაბნეულად აწყდებოდნენ ყველა მხარეს, თითქოს თავის დაღწევას ცდილობდნენ, მაგრამ გამოსასვლელის პოვნას ვერ ახერხებდნენ. ისმოდა ყვირილი და წყევლაკრულვა. მაგრამ საილას დიმერის მოჩვენება არავითარ ინტერესს არ იჩენდა მომხდარისადმი.

შემდგომში ვერავინ გაიხსენა, რამ უბიძგათ ამისკენ, მაგრამ უეცრად მამაკაცები, ქალები, ბავშვები, ძაღლები, ყველა ერთად მისცვივდა დუქნის კარს. თითოეულ მათგანს სურდა პირველი გამძვრალიყო და შესასვლელთან ზედახორა ატყდა, ბოლოს კი შეთანხმებულეზივით სათითაოდ შეაბიჯეს ოთახში. რაღაც შეუმჩნეველი სულიერი თუ ფიზიკური ალქიმიის ძალით მაყურებლებისპექტაკლის მოქმედ გმირებად იქცნენ, ხალხმა დაიპყრო სცენა.

მხოლოდ ერთი მაყურებლისთვის, მოპირდაპირე ტროტუარზე დარჩენილი ბანკირ ელვენ კრიდისთვის, დუქნის შიგნითა მხარე, რომელიც ბრბოს აევსო, მკაფიოდ განათებული დარჩა. იგი თვალნათლივ ხედავდა ყველა იმ უცნაურობას, რაც იქ ხდებოდა. შიგნით მყოფნი კი სრულ წყვდიადში აღმოჩნდნენ. ყველა, ვინც დუქანში შეღწევას ახერხებდა, თითქოს მაშინვე კარგავდა მხედველობას და გონებას. ადამიანები უაზროდ მიიწევდნენ წინ ხელის ფათურით, ეჯახებოდნენ, თელავდნენ ერთმანეთს, ეცემოდნენ, დგებოდნენ და მერე თვითონ თელავდნენ დაცემულებს. ერთმანეთს ტანსაცმელში, თმაში, წვერში აფრინდებოდნენ, იბრძოდნენ გააფთრებით, ღრიალებდნენ, ილანძლებოდნენ, ერთმანეთს უწმაწური სიტყვებით ამკობდნენ. როცა ბოლოს, რიგში მდგომთაგან უკანასკნელიც შეერია ამ წარმოუდგენელ ორომტრიალს, დუქანში შუქი ჩაქრა და ქუჩაში მდგომი ელვენ კრიდი სრულ წყვდიადში აღმოჩნდა ისევე, როგორც ყველა დუქანში მყოფი. ბანკირი მობრუნდა და იქაურობას გაშორდა.

დილაადრიან ცნობისმოყვარეთა ბრბო ისევ შეიკრიბა დიმერის დუქანთან. აქ იყვნენ ისინიც, რომლებიც წინა საღამოს თავქუდმოგლეჯილი გარბოდნენ, ახლა კი, დღის სინათლეზე, გული მოსცემოდათ, და მშრომელი ადამიანები, რომლებიც სამუშაოდ მიიჩქაროდნენ. დუქნის კარი მოფრიალებული იყო, შიგნით არაფერი ჩანდა, მარტო კედლებზე, იატაკზე, ავეჯზე შეიმჩნეოდა ტანსაცმლის ნაფლეთები და ბლუჯა-ბლუჯა მოგლეჯილი თმა. გასულ ღამეს ჰილბრუკელი გაბედულები ძლივ-ძლივობით გამოძვრნენ დუქნიდან და შინისკენ მოკურცხლეს ჭრილობების მოსაშუშებლად და იმის დასაფიცებლად, რომ მთელი ღამე ლოგინში გაატარეს. დახლს უკან, მტვრიან მაგიდაზე იდო შემოსავალ-გასავლის დავთარი. დიმერის ხელით მასში შეტანილი ჩანაწერები თავდებოდა 16 ივლისით – მისი ამქვეყნიური ცხოვრების უკანასკნელი დღით. არავითარი დადასტურება იმის, რომ ელვენ კრიდმა ვაჟინი იყიდა, არ აღმოჩნდა.

აი, ეს გახლავთ მთელი თავგადასავალი. შეიძლება დავუმატოთ მხოლოდ ის, რომ როცა ვნება ჩაცხრა, ჰილბრუკის მცხოვრებნი ასეთ დასკვნამდე მივიდნენ: თუ მხედველობაში მიიღებდნენ საილას დიმერის პირველი სავაჭრო გარიგების უწყინარობას და მის წესიერ ხასიათს, შეიძლებოდა მშვიდად მიეცათ მიცვალებულისათვის უფლება, ხელახლა დაეკავებინა თავისი ადგილი დახლს მიღმა.

ადგილობრივი მემატთანე, რომლის გამოუქვეყნებელი შრომებიდანაც ამოღებულია ზემოხსენებული ფაქტები, სიამოვნებით შეუერთდა თანაქალაქელთა მოსაზრებას.

## მხედარი ზეცაში

1

1861 წლის შემოდგომის ერთ მზიან დღეს, ვირჯინიის შტატში, გზის პირას, დაფნის ბუჩქნარში ჯარისკაცი მიწაზე პირქვე იწვა. ფეხის ცერები მიწაზე ედო, თავი მოხრილ მარცხენა მკლავზე დაესვენებინა. მარჯვენა ხელი წინ გაემშვირა და შაშხანა ჩაებლუჯა. ასეთი საგანგებო პოზა რომ არა, კაცს მკვდარი ეგონებოდა. მას კი ეძინა, ეძინა საგუშაგოზე. მისთვის რომ ამ მდგომარეობაში ვინმეს თვალი მოეკრა, არავინ აცოცხლებდა, რადგან ასეთ დანაშაულზე სამხედრო კანონი სიკვდილს ითვალისწინებდა.

დაფნის ბუჩქნარი, სადაც ჯარისკაცს ეძინა, პირდაპირ გზის მოსახვევთან იყო. ამ ადგილამდე გზა მაღლა ამოდიოდა, სამხრეთისაკენ, მერე კი მკვეთრად უხვევდა დასავლეთისკენ, მთის წვერს გარს უვლიდა, მერე ისევ სამხრეთისკენ ეშვებოდა, ტყეზე გადიოდა და დაკლავნილი ქვევით მიემართებოდა.

გზის მეორე მოსახვევთან მაღალი, სალი კლდე აღმართულიყო, ოდნავ ჩრდილოეთისკენ წინ გამოშვერილი. კლდე პირშექვეული იდგა იმ დაბლობისკენ, საიდანაც გზა იწყებოდა. ამ კლდის

წვერიდან გადმოგდებულ ქვას ათასი ფუტი მაინც უნდა ჩაექროლა, ვიდრე ქვემოთ, კლდის ძირში ფიჭვების კენწეროებამდე ჩააღწევდა. ჯარისკაცს ამ კლდის მეორე მხარეს ეძინა. რომ არ ჩასძინებოდა, შეეძლო დაენახა არა მარტო გზის მცირე ნაწილი და მასზე აღმართული ფრიალო, არამედ თავბრუდამხვევი სანახაობა – მთელი კლდე, ზევით ატყორცნილი შვეული კედლით.

მიდამო ტყიანი იყო, მარტო სირღმეში, ჩრდილოეთით მოჩანდა მომცრო მდელო ტყის პირას, რომელზეც პატარა მდინარე მიედინებოდა. შორიდან ეს მდელო საკარმიდამო ნაკვეთის ტოლი ჩანდა, თუმცა სინამდვილეში მას რამდენიმე აკრი მიწა ეკავა. მდელო ნოყიერი მწვანე ბალახით იყო დაფარული, უფრო ხასხასა, ვიდრე გარშემო ტყე. ამ მდელოს უკან, შორს, მოჩანდა ერთმანეთზე ზედიზედ მიჯრილი უზარმაზარი კლდეები, რომლის მწვერვალამდეც გზა იყო გაკვალული. ამ სათვალთვალ ადგილიდან მინდორი ყველა მხრიდან ჩაკეტილი ჩანდა და კაცი უნებურად იფიქრებდა, ნეტავ როგორ შეაღწია გზამ ამ ველზე, ან საით მიემშურებოდა ეს მდინარე, რომელიც გაშლილ მდელოს შუაზე ჰყოფდა.

რაც უნდა ველური და გაუვალი იყოს ადგილი, ადამიანს მაინც შეუძლია იგი სამხედრო მიზნების არენად გამოიყენოს. ტყეში ჩამალულ ამ ხაფანგისათვის, სადაც ორმოცდაათი ჯარისკაციც კი შიმშილით სულს ამოხდიდა მთელ არმიას, თუკი გამოსასვლელს ჩაუკეტავდნენ, ფედერალური ჯარის ქვეითთა ხუთ ლეგიონს შეეფარებინა თავი. მთელი დღე-ღამის

განმავლობაში გზაში იყვნენ და ახლა ისვენებდნენ. ჩამოლამდებოდა თუ არა, ისევ გზას უნდა გასდგომოდნენ და იმ ადგილზე ასულიყვნენ, სადაც ახლა მათ მოლალატე დარაჯს ეძინა, კლდის მეორე მხარეს გადასულიყვნენ, დაშვებულიყვნენ და შუალამეს თავს დასხმოდნენ მტრის ბანაკს. მოულოდნელობის იმედი ჰქონდათ, რადგან ეს გზა სწორედ ზურგიდან უვლიდა მტრის ბანაკს. კარგად იცოდნენ, რომ ჩაფლავების შემთხვევაში დიდი საფრთხის ქვეშ აღმოჩნდებოდნენ და ისიც კარგად ესმოდათ, რომ თუ რაიმე შემთხვევის ან მტრის სიფხიზლის წყალობით მტერი მათ აღმოაჩენდა, წარმატებაზე ფიქრიც კი ზედმეტი იქნებოდა.

## 2

დაფნის ბუჩქნარში ჩამინებული გუშაგი ვირჯინიის შტატის მკვიდრი იყო, ახალგაზრდა კაცი სახელად კარტერ დრუზი. შეძლებული მშობლების ერთადერთ შვილს შესანიშნავი აღზრდა და განათლება ჰქონდა მიღებული, მიჩვეული იყო მიეღო ცხოვრებისგან ყველა სიკეთე და ფუფუნება. მამამისის სახლი რამდენიმე მილის დაშორებით იდგა იმ ადგილიდან, სადაც ახლა იგი იწვა.

ერთ დილას, როდესაც საუზმის შემდეგ სუფრიდან წამოდგა, ახალგაზრდა კაცმა მშვიდად, მაგრამ სერიოზულად წარმოთქვა:

– მამა, გრაფტონში მოკავშირეთა პოლკი ჩამოდგა. გადავწყვიტე, მათ შევუერთდე.

მამამ ლომისფაფრიანი თავი ასწია, წუთით ჩუმად შესცქეროდა შვილს და შემდეგ მიუგო:

– რა გაეწყობა, მიბრძანდი, ბატონო, ჩრდილოელებთან, მაგრამ გახსოვდეს, რაც უნდა მოხდეს, ყოველთვის ისე მოიქეცი, როგორც შენი მოვალეობა გიკარნახებს. ვირჯინიის შტატი, რომელსაც შენ უღალატე, უშენოდაც გაძლებს. თუ მე და შენ ორივე მოვესწართ ომის დამთავრებას, ამ თემაზე კიდევ მოგვიწევს ლაპარაკი. დედაშენი, როგორც ექიმებმა გითხრეს, ძალზე ცუდადაა, მას ჩვენთან დიდხანს ყოფნა არ უწერია, ალბათ მხოლოდ რამდენიმე კვირა იცოცხლებს, მაგრამ ჩემთვის ეს მცირე დრო ძალიან ძვირფასია. ამიტომ, ჯობია ის არ შევაწუხოთ.

კარტერ დრუზმა მოწიწებით დაუკრა თავი მამას, მანაც დარბაისლური საღმით უპასუხა, რომლის მიღმაც ჩანდა, რომ გული გატეხილი ჰქონდა. დრუზმა მიატოვა მშობლიური კერა და ომში წავიდა. თავისი პატიოსნებისა და სიმამაცის, საქმისადმი თავდადების და გაბედულობის წყალობით მან მალე მოიპოვა ამხანაგებისა და უფროსების ნდობა. და სწორედ ამ ნდობისა და იმის გამო, რომ კარგად იცნობდა ამ მიდამოებს, ენდნენ და დააკისრეს ესოდენ სახიფათო საქმე – ჩააბარეს მოწინავე საგუშაგო. მაგრამ დაღლილობამ თავისი გაიტანა და კარტერს საგუშაგოზე ჩაეძინა. ვერავინ იტყვის, კეთილი იყო თუ ბოროტი ის სული, რომელიც სიზმარში მოევლინა,

გამოაფხიზლა და გააღვიძა? მდუმარებითა და შუადღის პაპანაქებით მოთენთილ სიმყუდროვეში ყოველგვარი ხმაურისა და მოძრაობის გარეშე ბედის უხილავმა მაცნემ განგების ბეჭედი შეახო მის გონებას – ჩასჩურჩულა იდუმალი სიტყვები, ადამიანის ბაგეს რომ არასოდეს წარმოუთქვამს და არც ადამიანის სმენას მისწვდომია,

და გამოაღვიძა იგი. გუშაგმა ოდნავ წამოსწია თავი, წინ ჩამოფარებული დაფნის ტოტები გასწია, გაიხედა და უნებურად ჩაბლუჯა მარჯვენა ხელით შაშხანა.

თავდაპირველად სიამოვნების განცდა დაეუფლა, ასეთ სიამოვნებას ადამიანი იშვიათი სილამაზის ნახატის ცქერისას განიცდის. ფრიალო კლდის ქიმზე უძრავად აღმართულიყო ცის ფონზე მკვეთრად გამოსახული მხედრის დიდებული ქანდაკება. კაცი მხედრულად გაჭიმული იჯდა ცხენზე, სიმშვიდის იერი დაჰკრავდა, მარმარილოსგან გამოთლილ ბერძნულ ღმერთს ჰგავდა.

მხედრის რუხიმუნდირი მშვენივრად ეხამებოდა უსაზღვრო ზეცას, იარაღისა და ცხენის მოსართავზე მზის შუქით აქა-იქ აელვარებული ლითონის გამოსხივებას ცოტათი ანელებდა მიმდგარი ჩრდილი. ცხენი მშვიდი, არცთუ მკვეთრი ფერის იყო. უნაგირის კეხზე გადებული თოფი უჩვეულოდ მოკლე ჩანდა. მხედარს მარჯვენა ხელი ჩაეველო მისთვის, მარცხენა კი, რომლითაც აღვირი ეკავა, არ ჩანდა. ცხენი პროფილით იდგა და მისი გამოსახულება აშკარად

იკვეთებოდა ცის ფონზე, თავი გვერდით აღმართული კლდეებისკენ მიებრუნებინა, ისე, რომ მხოლოდ საფეთქელი და წვერი მოუჩანდა. იგი დაბლა იყურებოდა, ძირს გაშლილ ველს ჩასცქეროდა. ბუჩქებში განაბულ გუშაგს ალღო კარნახობდა საზარელი მტრის სიახლოვეს, ამიტომ ცის ფონზე მხედარი ქვემოდან უზომოდ დიდ, შთამბეჭდავ ფიგურად ეჩვენებოდა.

წამით დრუხს უცნაური, გაურკვეველი გრძნობა დაეუფლა. მას მოეჩვენა, თითქოს ომის დამთავრებამდე მთელი დრო ძილში გაატარა და ახლა შეჰყურებს შესანიშნავ ქანდაკებას, რომელიც კლდეზე აღმართეს, რათა ადამიანებისთვის წარსული დიდების ამბები შეეხსენებინა, რომელშიც თავად მან ნაკლებად საგმირო როლი შეასრულა. მაგრამ ეს შეგრძნება მაშინვე გაეფანტა, როგორც კი მხედარი ოდნავ შეირხა: ცხენმა, ადგილიდან ფეხმოუცვლელად, ოდნავ უკან დაიწია უფსკრულის პირიდან, თუმცა მხედარი კვლავ უძრავად გაქვავებულიყო უნაგირზე. ძილისგან სავსებით გამოფხიზლებულმა დრუხმა, რომელმაც ნათლად შეიგრძნო სიტუაციის მთელი სერიოზულობა, თოფის კონდახს ლოყა მიაბჯინა, ბუჩქებში ლულა ფრთხილად გააძვრინა, ჩახმახი შეაყენა და მხედარს პირდაპირ გულში დაუმიზნა. საკმარისი იყო სასხლეტისთვის თითი გამოეკრა და კარტერ დრუხს ჯარისკაცის საქმე პირნათლად ექნებოდა შესრულებული, მაგრამ სწორედ იმ წამს მხედარმა თავი მოაბრუნა და იქით გამოიხედა, სადაც ტოტებში ჩამალული მისი მტერი განაბულიყო, პირდაპირ სახეში უცქერდა, თვალებში, თითქოს პირდაპირ მამაც გულში ჩასცქეროდა.

ნუთუ ასე საშიშია მტრის მოკვლა ომიანობის დროს? იმ მტრის, რომელიც დაეუფლა საიდუმლოებას, რაც შეიძლება სიცოცხლის ფასადაც დაუჯდეს თვით გუშაგს და მის მეგობრებსაც? იმ მტრის, რომელიც ამ საიდუმლოს გაგებამ გაცილებით საშიში გახადა, ვიდრე მთელი მისი ლაშქარი, რაოდენ დიდიც უნდა ყოფილიყო იგი.

კარტერ დრუხი გაფითრდა. ნერვიულმა კანკალმა აიტანა, თავი ცუდად იგრძნო, ქანდაკება თითქოს მის თვალწინ დატრიალდა, ცალკეულ ნაწილებად, ფიგურებად

დაიშალა, შავ წრეებად დატრიალდა ცეცხლოვანი ცის ფონზე. ხელი შაშხანიდან ჩამოუცურდა, თავი ნელა ჩაქინდრა, ვიდრე ძირს დაფენილ ფოთლებში არ ჩარგო სახე. ამ მხნე, გულად, ვაჟკაც მეომარს მოზღვავებულმა გრძნობებმა კინაღამ გული შეუღონა.

მაგრამ ამ მდგომარეობამ მხოლოდ რამდენიმე წამს გასტანა. უეცრად მან თავი ასწია, ხელი შაშხანას ჩასჭიდა და თითმა თავისთავად მოძებნა სასხლეტი. გონება, გული და თვალი კვლავ გაუნათდა, სინდისი მშვიდი ჰქონდა და აზროვნებაც შეეძლო. მას არ ჰქონდა იმედი, რომ მტერს ტყვედ ჩაიგდებდა, მაგრამ მისი შეშინება იმას ნიშნავდა, რომ მხედარი მაშინვე თავის ბანაკს მიაშურებდა და საბედისწერო ამბავსაც მიიტანდა. ჯარისკაცის მოვალეობა სრულიად ნათელი იყო. მხედრისთვის ტყვია უნდა ესროლა საფრიდან ყოველგვარი დაყოვნების გარეშე, დრო აღარ იყო, ბოლო უნდა მოელო მისთვის, მყისვე გაენადგურებინა. მაგრამ, იქნებ კიდევ დარჩა

რაიმე იმედი, იქნებ მხედარს ჯერ არაფერი დაუნახავს და უბრალოდ წარმტაცი პეიზაჟით ტკბება? თუ არ შეაშინებს, იქნებ მშვიდად გაბრუნდეს უკან და თავის გზას გაუყვეს. როგორც კი ცხენს დაძრავს, მაშინვე შეეტყობა, გაიგო რამე თუ არა. შესაძლებელია, მისი დამაბული ყურადღება...

დრუზმა თავი მოაბრუნა და ქვემოთ ჩაიხედა ჰაეროვან სივრცეში, თითქოს ზღვის გამჭვირვალე ფსკერს ჩაჰყურებდა, და მაშინვე დაინახა ცხენოსანთა მწკრივის ზოლი, რომელიც მწვანე მოლზე მოიკლაკნებოდა. რომელიღაც იდიოტ მეთაურს ნება მიეცა ჯარისკაცებისთვის გაშლილ ადგილას წყალზე ჩაეყვანათ ცხენები და მათ ცხრა მთას იქიდანაც კი დაინახავდა კაცი.

დრუზმა თვალი მოარიდა მიწდორს და კვლავ ზეცაში მყოფ მხედარს გახედა. ისევ თავისი შაშხანის სამიზნედან გაჰყურებდა მას, მაგრამ ამჯერად მიზანში ცხენი ჰყავდა ამოღებული. გაახსენდა და ყურში კვლავ ჩაესმა მამამისის განშორების დროინდელი შეგონება: „რაც უნდა მოხდეს, ყოველთვის ისე მოიქეცი, როგორც შენი მოვალეობა მოითხოვს“. დრუზმა მოახერხა საკუთარი თავის ხელში აყვანა. კბილი კბილზე მაგრად ჰქონდა დაჭერილი, მაგრამ მშვიდად იყო, როგორც მძინარე ბავშვი – არანაირი ცახცახი. წამით შეიკავა სუნთქვა, ვიდრე მტერს მიზანში ამოიღებდა, მერე პულსი ისევ თანაბარი გაუხდა. მოვალეობის გრძნობამ გაიმარჯვა. სულმა სხეულს უბრძანა: „მშვიდად, არ იღელვო!“ დრუზმა გაისროლა.

### 3

ფედერალური არმიის ოფიცერი, რომელიც ან თავგადასავლის ჟინს შეეპყრო, ან სურდა მეტი ცნობები შეეკრიბა მტრის შესახებ, ველზე დაცემული კარვიდან გამოვიდა, კლდის ქვეშ მიმავალ ბილიკს გაჰყვა. კლდეს რომ მიადგა, შეჩერდა და დაფიქრდა, ღირდა თუ არა გზის გაგრძელება. მის წინ, მეოთხედი მილის მანძილზე, ცაში უშველებელი კლდე იყო აღმართული. კლდის ძირში ტანმალალი ფიჭვის ხეები გამწკრივებულიყვნენ. კლდე იმდენად მაღალი იყო, რომ მისი წვეტიანი, უსწორმასწორო მწვერვალის დანახვაზე ოფიცერს თავბრუ დაეხვა. ციცაბო კლდე გვერდიდან შვეულად ეშვებოდა ძირს, მისი ზედა ნაწილი ცის ლაჟვარდში იყო შეჭრილი, მიწასთან კი კლდე ხეების სიმწვანეში იყო ჩაფლული. ოფიცერი უკან

თავგადაგდებული ასცქეროდა თვალუწვდენელ მწვერვალს და უცებ განსაცვიფრებელი სანახაობა იხილა – ჰაერში ველისკენ ცხენზე ამხედრებული კაცი ეშვებოდა!

მხედარი უნაგირზე გამართული, მყარად იჯდა, აღვირს ქაჩავდა, თითქოს სურდა ოდნავ მაინც შეეკავებინა თავაწყვეტილი ცხენი. შიშველ თავზე თმა უფრიალებდა. ხელებს ცხენის აშლილი ფაფარი უფარავდა. ლარივით გაჭიმული ცხენი მიწას არ აკარებდა ფეხებს და თითქოს მიფრინავდა. შემდეგ კი ოფიცრის თვალწინ ცხენმა მდგომარეობა შეიცვალა, ოთხივე ფეხი წინ წამოყარა, თითქოს რაღაც დაბრკოლებას გადაეველო თავზე. და ეს ყველაფერი ჰაერში ხდებოდა.

გაოცებითა და შიშით შეჰყურებდა ოფიცერი ზეცაში მხედრის მოჩვენებას. უცრად ისიც კი გაიფიქრა, ნეტავ ბედმა ახალი აპოკალიფსის მემატიაწოდ ხომ არ ამირჩიაო, აღელდა, მოზღვავებულ გრძნობებს ვედარ გაუძლო, მუხლი მოეკვეთა და ჩაიკეცა. თითქმის იმავეწუთს გაისმა დალეწილი ხეების ჭახანი ხეებში. ხმა მაშინვე გაქრა ისე, რომ ექოც არ გამოხმაურებია და ირგვლივ ისევ სიჩუმე გამეფდა.

ოფიცერი წამოდგა, კანკალს ვერაფერს უხერხებდა. ნატკენი ფეხის ტკივილმა დაუბრუნა გრძნობა. ძალ-ღონე მოიკრიბა და თავქუდმოგლეჯილი დაეშვა კლდის ძირისგან საკმაოდ დაშორებული ადგილისკენ, სადაც, მისი გათვლით, მხედარი უნდა ეპოვა. მაგრამ, რა თქმა უნდა, ვერაფერი იპოვა. ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, ოფიცერი იმდენად სახტად დარჩა იმ ლაზათითა და მოხდენილობით, რითაც მხედარმა გასაოცარი ნახტომი შეასრულა, რომ აზრადაც არ მოსვლია მფრინავი მხედარი იქვე, კლდის ძირში ეძებნა.

ნახევარი საათის შემდეგ იგი ბანაკში დაბრუნდა.

ოფიცერი საკმაოდ ჭკვიანი კაცი გახლდათ. კარგად ესმოდა, რომ არავინ დაუჯერებდა, ამიტომ არავისთვის მოუყოლია რაც ნახა, მაგრამ როდესაც მეთაური დაინტერესდა, დაზვერა თუ არა ისეთი რამ, რაც საქმეს გამოადგებოდა, მან მიუგო: – დიახ, სერ, გავარკვიე, რომ ამ სამხრეთის მხრიდან ველისკენ გზა არ არის.

მეთაურს, რომელიც საკმაოდ გამოცდილი იყო, ღიმილი მოერია.

#### 4

დაცალა თუ არა თოფი, რიგითმა ჯარისკაცმა კარტერ დრუზმა ხელახლა გატენა იგი და კვლავ განაგრძო გზის თვალთვალი. ათი წუთიც არ იქნებოდა გასული, რომ მასთან ხობვით მიცოცდა ფედერალური არმიის სერჟანტი. დრუზს მისკენ თავიც არ მიუბრუნებია – კვლავ გაუნძრევლად იწვა.

– შენ ისროლე? – ჩურჩულით ჰკითხა სერჟანტმა.

– ჰო.

– ვის ესროლე?

– ცხენს. აგერ იქ იდგა, იმ კლდის თავზე, ზედ კლდის პირას. ხომ ხედავ, იქ აღარ არის.

უფსკრულში გადაეშვა.

გუმაგი გაფითრებულიყო, სხვა მხრივ კი თავი მშვენივრად ჰყავდა ხელში აყვანილი. როგორც კი კითხვაზე უპასუხა, გვერდზე მიიხედა და დადუმდა. სერჟანტმა ვერაფერი გაიგო.

– მისმინე, დრუზ, – უთხრა წუთიერი დუმილის შემდეგ, – შეეშვი მიკიბულ-მოკიბულ ლაპარაკს. გიბრძანებ გასაგებად მომახსენო, რა მოხდა, ცხენზე იჯდა ვინმე?

– კი.

– ვინ?

– მამაჩემი. სერჟანტი წამოდგა და იქაურობას სწრაფად გაეცალა.

– ღმერთო ჩემო! – ჩაილაპარაკა მან.

## მიცვალებულის მცველი

### 1

სან-ფრანცისკოს იმ ნაწილში, რომელიც ჩრდილოეთის სანაპიროს სახელით არის ცნობილი, დაცარიელებული სახლის ერთ-ერთ ზედა ოთახში ესვენა სუდარაგადაფარებული ცხედარი. დაახლოებით საღამოს ცხრა საათი იქნებოდა, ოთახს ძლივს ანათებდა ერთადერთი სანთელი. თბილი ამინდი იდგა და მიუხედავად იმისა, რომ გავრცელებული მოსაზრების თანახმად, მიცვალებულის ოთახს ანიავებენ ხოლმე, ორივე ფანჯარა დაკეტილი იყო და ფარდებიც ჩამოეშვათ. ოთახში მხოლოდ სამი ნივთი იყო – სავარძელი, პატარა პიუპიტრი, რომელზეც სანთელი ენთო, და სამზარეულოს მაგიდა, რომელზეც ცხედარი ესვენა.

დაკვირვებული თვალი შეამჩნევდა, რომ ყველა ნივთი და ასევე გვამიც, ოთახში ახლახან შემოეტანათ, რადგან მათზე მტვერი არ იდო, მაშინ როცა ყველაფერი დანარჩენი მტვერის სქელი ფენით იყო დაფარული, კუთხეებში აბლაბუდები მოჩანდა.

სუდარის ქვემოდან გარკვევით იკვეთებოდა მიცვალებულის სხეულის მოხაზულობა და სახის ნაკვთებიც კი, რომლებიც არაბუნებრივად იყო წაწვეტებული, ყველა მიცვალებულს რომ ახასიათებს თითქოს, განსაკუთრებით კი მათ, ვინც სიკვდილის წინ მძიმედ იავადმყოფა.

ოთახში გამეფებული სიჩუმე იმაზე მეტყველებდა, რომ ფანჯრები ქუჩის მხარეს არ გადიოდა. მართლაც, ისინი მაღალ კლდეს ებჯინებოდნენ, რომელშიც იყო ჩაშენებული ეს სახლი.

მაშინ, როდესაც შორიახლო მდგარი ეკლესიის სამრეკლოზე ზარმა ცხრაჯერ ჩამოკრა, თან ისე ზანტად და ისე გულგრილად, რომ კაცს გაუკვირდებოდა, ნეტავ რა ძალა ადგათ ისრებს, რომ ამ მოვალეობას ასრულებენო, ოთახის ერთადერთი კარი გაიღო და შიგნით კაცი შევიდა. კარი მაშინვე, თითქოს თავისთავად დაიხურა, მოისმა კლიტეში გასაღების გადატრიალების და დერეფანში მიმავალი ნაბიჯების ხმა, და კაცი, როგორც ჩანს, ოთახში აღმოჩნდა დამწყვდეული. იგი მაგიდას მიუახლოვდა,



ერთხანს გვამს დააცქერდა, შემდეგ მხრები აიჩეჩა, ერთ-ერთ ფანჯარასთან მივიდა და ფარდა ასწია. გარეთ სრული სიბნელე იდგა. ფანჯრის მინებს მტვერი სქლად ედო, თითოთ რომ გადაწმინდა, დაინახა, რომ იგი საგულდაგულოდ იყო დაცული რკინის ცხაურით. მეორე ფანჯარაც გასინჯა, იგივე დახვდა. კაცს სახეზე არავითარი გაკვირვება არ დასტყობია. თუ ეს კაცი ტყვე იყო, საკმაოდ თვინიერი ჩანდა. მორჩა თუ არა ოთახის დათვალიერებას, სავარძელში ჩაჯდა, ახლოს მიიჩოჩა პიუპიტრი სანთლით, უბიდან წიგნი ამოიღო და კითხვას შეუდგა.

იგი ახალგაზრდა იყო – ოცდაათ წელზე მეტის არ იქნებოდა, გამხდარი სახე ჰქონდა, სუფთად გაპარსული. წაბლისფერთმიანი იყო, კეხიანი ცხვირი ჰქონდა, ფართო შუბლი და ძლიერი

ნიკაპი, რაც, ასეთი ნიკაპის მფლობელთა ღრმა რწმენით, ხასიათის სიმტკიცეზე მიუთითებს. რუხი თვალები დაჟინებით იცქირებოდნენ, უაზროდ არ გადარბოდნენ საგნიდან საგანზე. ახლა მზერა ძირითადად წიგნზე ჰქონდა მიპყრობილი და დროდადრო თუ მოსწყვეტდა თვალს და გვამს მიაჩერდებოდა. როგორც ჩანს, ამას სჩადიოდა არარაიმე ავბედითი, მომწუსხველი ძალის ზეგავლენით, რომელიც ასეთ ვითარებაში ნებისმიერ გამბედავ ვაჟკაცსაც მოერეოდა, და არც შიშის გამო. იგი შეჰყურებდა ცხედარს, თითქოს წიგნში ისეთ ადგილს წააწყდა, რამაც შეახსენა, თუ სად იმყოფებოდა. აშკარა იყო, მიცვალებულის მცველი თავის მოვალეობას ისე ასრულებდა, როგორც მოეთხოვებოდა – გონივრულად და თავშეკავებულად.

დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ, როგორც ჩანს, ბოლომდე ჩაიკითხა თავი და მშვიდად გადადო წიგნი გვერდზე. შემდეგ წამოდგა, პიუპიტრი ასწია, ერთ-ერთ ფანჯარასთან კუთხეში მიდგა, სანთელი აიღო და ცარიელ ბუხარს მიუბრუნდა, სადაც მანამდე იჯდა. ცოტა ხნის შემდეგ მიცვალებულთან მივიდა, სუდარის კიდე ასწია და მკვდარს თავიდან გადაადრო – გამოჩნდა მუქი ფერის თმა და სახეზე გადაფარებული თხელი ცხვირსახოცი, რომლის ქვეშაც სახის ნაკვთები კიდე უფრო მკაფიოდ მოჩანდა. თავისუფალი ხელით სანთლის შუქისგან თვალები მოიჩრდილა და ასე დაჰყურებდა თავის მიცვალებულს მშვიდად, სერიოზული სახით და მოწიწებით. შემდეგ კვლავ გადააფარა სუდარა, თავის ადგილს დაუბრუნდა, რამდენიმე ღერი ასანთი აიღო შანდლიდან, თავისი ფართო პალტოს გვერდითა ჯიბეში ჩაიღო და

სავარძელში მოთავსდა. შემდეგ სასანთლიდან სანთელი ამოადრო, კრიტიკული მზერით შეათვალიერა, თითქოს სურდა გამოეცნო, რამდენ ხანს გამლებდა. სულ ცოტადა იყო – ერთი საათის შემდეგ სიბნელეში დარჩებოდა! სანთელი ისევ შანდალს მოარგო, სული შეუბერა და ჩააქრო.

## 2

კერნი-სტრიტზე ექიმის კაბინეტში მაგიდას სამი კაცი უსხდა, პუნშს სვამდნენ და ეწეოდნენ. უკვე გვიანი იყო, მალე შუალამე დადგებოდა. პუნში ბლომად ჰქონდათ დალეული. მათ შორის ყველაზე უფროსი მასპინძელი, დოქტორი ჰელბერსონი იყო, იგი დაახლოებით ოცდაათი წლისა იქნებოდა, დანარჩენები მასზე უმცროსები ჩანდნენ. სამივე ექიმი იყო.

- ცრუმორწმუნეთათვის დამახასიათებელი შიში, რაც ცოცხლებს ახასიათებთ მკვდრების მიმართ, - ამბობდა დოქტორი ჰელბერსონი, - მემკვიდრეობითი და უკურნებელი შიშია. ამ გრძნობის ადამიანს ისევე არ უნდა რცხვენოდეს, როგორც მაგალითად არ რცხვენია იმის, რომ მემკვიდრეობით არ დაჰყვა მათემატიკის, ან თუნდაც სიცრუისადმი მიდრეკილების ნიჭი. სტუმრებმა გაიცინეს.
- განა ადამიანს არ უნდა რცხვენოდეს ტყუილის თქმის? - იკითხა იქ მყოფთა შორის ყველაზე უმცროსმა, ჯერ კიდევ სტუდენტმა.
- ჰარპერ, ჩემო კარგო, მე ეგ არ მითქვამს. სიცრუისადმი მიდრეკილება ერთია და თავად სიცრუე კი სულ სხვაა.
- თქვენ ფიქრობთ, - წარმოთქვა მესამემ, - რომ მიცვალებულების წინაშე შიში ყველას ახასიათებს? მე, მაგალითად, საერთოდ არ მეშინია მათი.
- შეიძლება, მაგრამ თქვენ ის მაინც გენში გაქვთ გამჯდარი, - უპასუხა ჰელბერსონმა, - მხოლოდ შესაფერი სიტუაციაა საჭირო, რომ ამ შიშმა მთელი თავისი უარყოფითი ძალით იჩინოს თავი. რასაკვირველია, ექიმებსა და სამხედრო პირებს სხვებთან შედარებით ნაკლებად ახასიათებთ ეს შიში.
- ექიმები და სამხედრო პირებიო!.. ბარემ ჯალათებიც დაუმატეთ. მოდიოთ, გავიხსენოთ კაცისმკვლელთა ყველა კატეგორია.
- არა, ძვირფასო მენჩერ, სასამართლო და ნაფიცი მსაჯულნი არ აჩვევენ ჯალათებს სიკვდილს ისე, რომ მის წინაშე შიშს აღარ განიცდიდნენ.

ახალგაზრდა ჰარპერმა კარადიდან ახალი სიგარა აიღო და კვლავ თავის ადგილს დაუბრუნდა.

- და მაინც, თქვენი აზრით რა პირობები უნდა შეიქმნას, რომ ქალისგან ნაშობმა ნებისმიერმა ადამიანმა შეიგრძნოს ყველასთვის დამახასიათებელი სისუსტე?
- მაგალითად, კაცი რომ მთელი ღამით მიცვალებულთან მარტო ჩაკეტო, ბნელ ოთახში, დაცარიელებულ სახლში, სადაც საბანოც არ ექნება, რომ მასში გაეხვიოს, თავზე წაიფაროს და საზარელ სანახაობას არ უყუროს, თუ მთელ ღამეს ისე გაატარებს, რომ ჭკუიდან არ შეიშლება, უფლება ექნება იტრაბახოს, რომ იგი ქალს არ უშობია და არც საკუისრო გაკვეთის ნაყოფია, ვითარცა მაკდუფი.
- მე კი მეგონა, აღარ დაასრულებდით პირობების ჩამოთვლას, - თქვა ჰარპერმა, - სხვათა შორის, მე ვიცნობ კაცს, რომელიც არც ექიმია და არც სამხედრო პირი, მაგრამ წამოვა ნამღევზე და ყველა პირობაზე იქნება თანახმა, რასაც შესთავაზებთ.
- და ვინ არის ის?
- სახელად ჯერეტი ჰქვია, კალიფორნიაში ნიუ-იორკიდან არის ჩამოსული, ისევე როგორც მე. მე

იმდენი ფული არ მაქვს, სანამღელს ჩამოვიდე, მაგრამ თვითონ ყველანაირი თანხის სანაცვლოდ წავა რისკზე.

- ეგ საიდანღა იცით?
- ვიცნობ, მშიერი დარჩება, ოღონდ სანაძლეო დაადებინეთ. რაც შეეხება შიშს, ეს მისთვის რაღაც კანის დაავადებას უფრო ჰგავს.
- გარეგნობით როგორია? - ჰელბერსონს ნელ-ნელა ინტერესი გაუღვივდა.
- მენჩერს ჰგავს, - კაცმა რომ თქვას, შეიძლება მისი ტყუპისცალიც კი გეგონოთ.
- მე ვიღებ თქვენს გამოწვევას, - დაუფიქრებლად თქვა ჰელბერსონმა.
- მეტისმეტად მესიამოვნა თქვენი შედარება, - ნელა წარმოთქვა მენჩერმა, რომელსაც უკვე თვლიდა მორეოდა. - იქნებ მეც შემოვიდე ნაძლევის წილში?
- ოღონდ ჩემს საწინააღმდეგოდ არა, - უთხრა ჰელბერსონმა, - მე თქვენი ფული არ მჭირდება.
- კეთილი, - წარმოთქვა მენჩერმა, - მაშინ მიცვალებული მე ვიქნები. ყველას გაეცინა.

თუ რა მოჰყვა ამ უგუნურ საუბარს, უკვე დავინახეთ.

### 3

მისტერ ჯერეტმა სანთელი, უფრო სწორად, მისი ნამწვი იმიტომ ჩააქრო, რომ უნდოდა ის რაიმე გაუთვალისწინებელი შემთხვევისათვის შემოენახა. შეიძლება ისიც იფიქრა, რომ ადრე თუ გვიან ირგვლივ სრული სიბნელე დაისადგურებდა და თუ მდგომარეობა მთლად გაუსაძლისი გახდებოდა, ჯობდა მდგომარეობიდან თავის დაღწევისა და დამშვიდების საშუალება შემოენახა, ნამწვის შემონახვას თუნდაც იმიტომ ჰქონდა აზრი, რომ ხანდახან საათზე დახედვა მაინც შეძლებოდა.

როგორც კი სანთელი ჩააქრო და იატაკზე იქვე ახლოს დადო, მაშინვე მოხერხებულად მოთავსდა სავარძელში, უკან გადაწვა და თვალები დახუჭა იმ იმედით, რომ დაძინებას

შეძლებდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, ასეთი უძილო თავის სიცოცხლეში არ ყოფილა, ამიტომ რამდენიმე წუთის შემდეგ თავი გაანება ძილზე ფიქრს და დაძინების მცდელობაზე ხელი აიღო. მაგრამ, რა ეკეთებინა, რითი მოეკლა დრო? ხელების ფათურით ხომ არ დაიწყებდა ამ უკუნეთ სიბნელეში აქეთ-იქით ბორიალს, ხომ შეიძლება მაგიდას დასჯახებოდა და მიცვალებული შეეწუხებინა. ყველა ადამიანს ესმის, რომ მიცვალებულებს მოსვენების უფლება აქვთ მოპოვებული და მათზე ძალადობა და უხეშობა დაუშვებელია. ჯერეტმა თითქმის დაირწმუნა თავი, რომ სწორედ ამ მოსაზრებამ ააღებინა ხელი უაზრო ბორიალისგან და სავარძელზე მიაჯაჭვა.

მაშინ, როდესაც იგი ამ ფიქრებში იყო გართული, მოეჩვენა, თითქოს იმ მხრიდან, სადაც მაგიდა იდგა, სუსტი ხმა მოესმა, მაგრამ რა ხმა იყო ეს, ვერ დაადგინა. ჯერეტს თავიც არ მიუბრუნებია, ან კი რა აზრი ჰქონდა სიბნელეში ამის გაკეთებას? მაგრამ ყურადღებით უსმენდა, უცებ იგრძნო, რომ თავბრუ ეხვეოდა და სავარძლის სახელურებს ჩაებდაუჭა. ყურებში უცნაური ხმაური ესმოდა, თავი თითქოს

უსკდებოდა, ტანსაცმელი მკერდზე აწვებოდა, სუნთქვა უჭირდა. ვეღარ ხვდებოდა, რა იყო ეს? ნუთუ შიშმა შეიპყრო? მან უცებ ამოისუნთქა და ისე ღრმად ჩაისუნთქა, ფილტვები ჰაერით აევსო, თავბრუსხვევა შეუწყდა და მიხვდა, ისე დაძაბული უსმენდა, კინაღამ სული შეეხუთა. ამ აღმოჩენამ გული დასწყვიტა. წამოდგა, სავარძელს ფეხი ჰკრა, გვერდზე მიაგდო და ოთახის შუაგულისკენ გაემართა. მაგრამ სიბნელებში ხომ შორს ვერ წახვალ – ჰაერში

ხელების ცეცებით კედელს მიადგა, კუთხემდე მიჰყვა, შემობრუნდა, ორივე ფანჯარას გასცდა, შემდეგ კუთხეში მისული პიუპიტრს დაეჯახა და გადააყირავა. ბრაგუნმა შეაშინა, შეკრთა, გაღიზიანდა. „ემშაკმა დალაზხროს, როგორ დამავიწყა, სად იდგა ეს?“ – ჩაიბურტყუნა თავისთვის და მესამე კედელს გაუყვა ბუხრისკენ. „ყველაფერი თავის ადგილზე უნდა დავდგა“, – წარმოთქვა მან და იატაკზე ხელების ფათურით სანთელს დაუწყო ძებნა. როგორც კი მიაგნო, მოუკიდა და მაშინვე მაგიდისკენ გაიხედა, სადაც, რასაკვირველია, არაფერი იყო შეცვლილი. პიუპიტრი იატაკზე წაქცეული დარჩა, დაავიწყდა მისი ადგილზე დაბრუნება. ოთახი ყურადღებით მოათვალიერა, თან ლანდებს ფანტავდა სანთლიანი ხელის აქეთ-იქით ქნევით. ბოლოს ოთახი გაიარა, კარს მიადგა და მისი გაღება სცადა, თან სახელურს ეწეოდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა. კარი არ ემორჩილებოდა და ამან ოდნავ დაამშვიდა. მერე კარს ურდულიც გაუყარა, რომელიც აქამდე არ შეუნიშნავს. შემდეგ ისევ სავარძელში ჩაჯდა და საათს დახედა, მხოლოდ ათის ნახევარი იყო. გაცეცხულმა ყურზე მიიღო, საათი მუშაობდა. სანთელი კიდევ უფრო დაპატარავებულიყო, ჯერეტმა ხელმეორედ ჩააქრო იგი და ისევ ახლოს დაიდო იატაკზე.

მისტერ ჯერეტი აშკარად ვეღარ ისვენებდა, აქაურობა არ მოსწონდა და საკუთარ თავზეც ბრაზობდა. „რამ უნდა შემაშინოს? – ფიქრობდა იგი, – სისულელეა და სამარცხვინო. არ ვარ ასეთი შტერი“. მაგრამ იმის ძახილით, „არაფრის მეშინიაო“, ადამიანს გამბედაობა არ ემატება. რაც უფრო მეტად უბრაზდებოდა საკუთარ თავს, მით უფრო მეტი საბაზი ეძლეოდა ამ

ბრაზისთვის. რაც უფრო მეტ მაგალითს იხსენებდა მიცვალებულთა უწყინარობის შესახებ, მით უფრო მეტად აღელვებდა ეს მის გრძნობებს.

„როგორ შეიძლება! – ხმამაღლა წამოიძახა აფორიაქებულმა. – ცრუმორწმუნეობა ხომ ჩემგან შორსაა, არ მჯერა სულის უკვდავების, დარწმუნებული ვარ (თანაც ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე), რომ საიქიო ცხოვრება უბრალოდ აუხდენელი ოცნებაა, ნუთუ წავაგებ სანაძლეოს, დავკარგავ ღირსებას და საკუთარი თავისადმი პატივისცემას, შესაძლოა გონებასაც კი, მხოლოდ იმის გამო, რომ გამოქვაბულებსა და სოროებში შეხიზნულ ჩემს რომელიღაც ველურ წინაპრებს უაზროდ სწამდათ, თითქოს მკვდრები ღამდამობით საფლავებიდან დგებიან, თითქოს...“ და ჯერეტმა გარკვევით გაიგონა თავის ზურგს უკან მსუბუქი ნაბიჯების ხმა, თითქოს ვიღაც ფრთხილად, აუჩქარებლად უახლოვდებოდა მას.

#### 4

გამთენიისას დოქტორი ჰელბერსონი ნელა მიემგზავრებოდა ახალგაზრდა მეგობარ ჰარპერთან ერთად თავისი ეტლით ჩრდილოეთის სანაპიროს ქუჩებში.

- ახალგაზრდავ, ნუთუ ისევ გწამთ, რომ თქვენი მეგობარი მართლაც ასეთი გულადი, ან უბრალოდ რომ ვთქვათ, სქელკანიანია? - ჰკითხა ჰელბერსონმა. - და გჯერათ, რომ მე სანაძლეო წავაგე?

- დარწმუნებული ვარ, რომ წააგეთ, - მეტისმეტი დარწმუნებით წარმოთქვა მეორემ.

- გეფიცებით, გამიხარდება, თუ ასე მოხდება.

ეს სიტყვები ექიმმა თითქმის საზეიმოდ წარმოთქვა. რამდენიმე წუთის განმავლობაში ორივე დუმდა.

- ჰარპერ, - განაგრძო ექიმმა, რომლის სახეც გარედან შემოჭრილი მკრთალი ფარნების შუქზე ფრიად სერიოზული ჩანდა, - ამ ამბავში ბევრი რამ მაშფოთებს. თქვენი მეგობარი ისე აგდებულად მოეკიდა ჩემს ეჭვს მისი გამძლეობის მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ ეს წმინდა ფიზიკური თვისებაა და საწყენიც არ არის, და ძალიან ბრიყვულადაც მოითხოვა, რომ მიცვალებული აუცილებლად ექიმი უნდა ყოფილიყო, რომ თავმოყვარეობა შემიღებდა. წინააღმდეგ შემთხვევაში ასე შორს არ შევტოპავდი. რამე რომ მოხდეს, ჩვენი საქმე წასულია და, რაღა დაგიმალოთ, ვიმსახურებთ კიდევ.

- და რა უნდა მოხდეს? თუ საქმე ცუდად შემობრუნდა, რასაც სრულიად გამოვრიცხავ, საკმარისი იქნება მენჩერი მკვდრეთით აღდგეს და ყველაფერი აუხსნას ჯერეტს. გვამი რომ პროზექტურიდან გამოგვეტანა ან რომელიმე თქვენი გარდაცვლილი პაციენტი ყოფილიყო, სიტუაცია ნამდვილად გართულდებოდა. თუმცა დოქტორმა მენჩერმა სიტყვა შეასრულა, მან განასახიერა გვამი.

დოქტორი ჰელბერსონი დიდხანს დუმდა, სანამ ეტლი კუს ნაბიჯებით მილოდავდა იმავე ქუჩაზე, რომელზედაც ორ-სამჯერ უკვე გაევილო, შემდეგ წარმოთქვა:

- იმედი ვიქონიოთ, რომ თუ მენჩერს მოუწია მკვდრეთით აღდგომა, სიფრთხილეს გამოიჩენს, თორემ ასეთ სიტუაციაში ერთ მცდარ ნაბიჯს საქმის გაფუჭება უფრო შეუძლია, ვიდრე გამოსწორება.

- ჰო, - თქვა ჰარპერმა, - ჯერეტმა შეიძლება მოკლას კიდევ, თუმცა, დოქტორო, - და საათს დახედა, როცა ეტლმა ქუჩის ფარანს ჩაუარა, - მალე ოთხი გახდება.

სულ მალე ორივენი ეტლიდან გადმოვიდნენ და სწრაფად გაემურნენ სახლისკენ, რომელშიც უკვე დიდი ხანია აღარავინ ცხოვრობდა და რომელიც დოქტორ ჰელბერსონს ეკუთვნოდა. ამ

სახლში, უგუნური სანაძლეოს თანახმად, ჯერეტი იყო დამწყვედეული. სახლთან ახლოს სირბილით მომავალი კაცი შემოხვდათ.

- ხომ არ იცით, - დაუყვირა მან და ნაბიჯი შეანელა, - სად შეიძლება ექიმის პოვნა?

- რა მოხდა? - იკითხა ჰელბერსონმა.

- მიდით და თვითონ ნახეთ, - მიუგო კაცმა და გაიქცა.

ნაბიჯს აუჩქარეს. სახლს რომ მიუახლოვდნენ, დაინახეს, როგორ შევიდა შიგნით რამდენიმე აღელვებული კაცი. გვერდით და ქუჩის გადაღმა სახლების ფანჯრები გაეღოთ და იქიდან ცნობისმოყვარეებს გადმოეყოთ თავები. ყველა შეკითხვებს სვამდა, ერთმანეთს აღარ აცლიდნენ, მაგრამ პასუხის გამცემი არავინ ჩანდა. აქა-იქ ფანჯრებს ფარდები ჰქონდა ჩამოფარებული, მაგრამ შიგნით ანთებული სინათლე მოწმობდა, რომ იქ მცხოვრებნი იცვამდნენ და გარეთ გამოსვლას ჩქარობდნენ. სწორედ იმ სახლის შესასვლელთან, საითაც ჰელბერსონი და ჰარპერი მიემურობდნენ, იდგა ფარანი, რომელიც მოყვითალო შუქს აფრქვევდა და თითქოს იმის თქმა სურდა, რომ მოვინდომო, ბევრ რამეს გაგიმჟღავნებთო. კართან მისულმა ჰარპერმა ნაბიჯი შეანელა და აღელვებულმა მკლავში ხელი ჩაავლო თავის მეგობარს.

– ჩვენი საქმე ცუდადაა, დოქტორო, – წარმოთქვა აღელვებული ხმით, – ჩვენი თამაში ჩვენვე შემოგვიბრუნდა. მოდით, ნუ შევალთ. ჩემი აზრით, ახლა ჩრდილში ყოფნა ჯობს.

– მე ექიმი ვარ, – მშვიდად მიუგო ჰელბერსონმა, – შეიძლება ჩემი დახმარება გახდეს საჭირო.

კიბის საფეხურები აიარეს და შედგნენ. კარი ღია იყო. ქუჩის ფარანი ანათებდა სახლის ვესტიბიულს, სადაც უამრავი ადამიანი ირეოდა. ზოგი მათგანი უკვე კიბის ზედა ბაქანზე ასულიყო და რაკი წინ გასვლა ვეღარ მოეხერხებინათ, იდგნენ და ელოდნენ, როდის გაუღიმებდათ ბედი. ყველა ერთხმად ყაყანებდა, არავინ არავის უსმენდა. უცბად კიბისთავზე ალიაქოთი ატყდა. კარიდან კაცი გამოვარდა და ყველას მუჯღუგუნით იგერიებდა, ვინც მის დაკავებას ცდილობდა. თავქუდმოგლეჯილი დაეშვა კიბეზე, გზას მუშტებით იკვალავდა, განზემიყარ-მოყარა ყველა, ზოგი კედელს მიანარცხა, ზოგიც მოაჯირზე წააქცია, ვის ყელში წასწვდა, ვის ცხვირ-პირში დაუშინა ხელები. ბევრი კიბეზე დააგორა და ფეხით გადათელა. ქუდი არ ეხურა და ტანსაცმელი შემოფლეთოდა. მის დაფეთებულ, გიჟურ თვალებში უფრო მეტი საშინელების მომგვრელი ძალა იგრძნობოდა, ვიდრე მის არაადამიანურ, შმაგ მოქმედებაში. სუფთად გაპარსული სახე გასთეთრებოდა, თმები სულ გასჭარავებოდა.

კიბის ძირში შეგროვილმა ბრბომ უკან დაიხია, რომ მისთვის გზა დაეთმო, და იმავე წამს ჰარპერი წინ გაიჭრა. – ჯერეტ! ჯერეტ! – დაუყვირა მან.

დოქტორმა ჰელბერსონმა საყელოში სტაცა ხელი ჰარპერს და უკან გამოათრია. კაცმა უაზრო თვალებით შეხედა სახეში ორივეს, კარში გავარდა და გაქრა. ზორბა პოლიციელი, რომელმაც ვერ მოახერხა ისევე იოლად გზის გაკაფვა, ქუჩაში წამის შემდეგ გამოვარდა და უკან დაედევნა გაქცეულს, ფანჯრებიდან თავგამოყოფილმა ქალებმა და ბავშვებმა კი ხმაური ატეხეს და პოლიციელს უყვიროდნენ, გაქცეულის კვალს ასწავლიდნენ.

კიბე თითქმის დაცარიელდა, რადგან ბრბომ უმაღლვე ქუჩას მიაშურა. დოქტორმა ჰელბერსონმა კიბე აიარა, ჰარპერი უკან მიჰყვა. ზემოთ, დერეფნის კარში მათ პოლიციელი გადაედლობათ.

– ჩვენ ექიმები ვართ, – უთხრა ჰელბერსონმა და ისინი გაატარეს.

ოთახი ხალხით იყო სავსე, მათ სიბნელეში მაგიდის გარშემო მოეყარათ თავი. ახალშემოსულებმა გაჭირვებით გაიკვლიეს გზა და წინ მდგომთა მხრების მიღმა გადაიხედეს. მაგიდაზე გვამი იდო, წელს ქვევით ზეწარი ჰქონდა გადაფარებული, ფერხთით მდგომი პოლიციელის ხელის ფარნის შუქი ანათებდა. ყველა, მათ შორის პოლიციელიც, სიბნელეში იდგნენ. გვამის გადაყვითლებული სახე გულისამრევი, შემზარავი სანახავი იყო! ნახევრად

გახელილი თვალები გადაეტრიალებინა, ყბა ჩამოვარდნოდა, ტუჩებზე, ნიკაპზე ქაფი შეხმოზოდა. ვიღაც მაღალი კაცი, სავარაუდოდ, ექიმი, გვამზე დახრილიყო და ხელი გულზე დაედო. შემდეგ ორი თითი მკვდარს გაღებულ პირში ჩაუყო.

– ექვსი საათი იქნება, რაც ეს კაცი მკვდარია, – თქვა მან, – საქმე გამომძიებელს უნდა გადაეცეს.

მან ჯიბიდან სავიზიტო ბარათი ამოიღო, პოლიციელს გაუწოდა და კარისკენ გაემართა.

– ყველამ დატოვეთ ოთახი, – მკვეთრი ხმით ბრძანა პოლიციელმა და ფარანი მაღლა ასწია. სიბნელეში დარჩენილი გვამი ისე უცებ გაქრა, თითქოს მაგიდიდან ჩამოაგდესო. პოლიციელმა ფარანი ხალხის ბრბოს გადაატარა, ფარნის შუქი კედლებზე დარბოდა და ხან ერთი ადამიანის სახეს ამოანათებდა, ხან მეორისას. გასაოცარი ეფექტი იყო! შეშინებული, აღელვებული ხალხი ხმაურით მიაწყდა კარს, ერთმანეთის ხელისკვრით ცდილობდნენ გაქცევას. პოლიციელი კი დაუნდობლად უშვერდა სინათლის სხივს ამ ხალხის ზედახორას. ჰელბერსონი და ჰარპერი საერთო ნაკადმა აიტაცა, კიბეზე ჩაიტანა და ქუჩაში ამოაყოფინა თავი.

– ღმერთო ჩემო, დოქტორო! აკი გითხარით, ჯერეტი მას მოკლავს-მეთქი, – თქვა ჰარპერმა, როგორც კი ხალხის ხროვას დაადწიეს თავი.

– მგონი, მართლაც მითხარით, – უპასუხა დოქტორმა ისე, რომ დიდი მღელვარება არ დასტყობია.

მათ ჩუმად გაიარეს რამდენიმე კვარტალი. აღმოსავლეთის რუხ ფონზე გორაკებზე წამოჭიმული სახლების სილუეტები გამოიკვეთა. ქუჩაში მერძევის ფურგონი მიიზღაზნებოდა. მალე ფუნთუშების დამტარებელი ბიჭუნაც უნდა გამოჩენილიყო, გაზეთის დამტარებელიც თავის გზას გაუდგა.

– მე ვფიქრობ, ყმაწვილო, – თქვა ჰელბერსონმა, – რომ მე და თქვენ საკმაოდ დიდხანს ვისეირნეთ დილის ჰაერზე. ეს არ არგებს ჩვენს ჯანმრთელობას, გარემო უნდა შევიცვალოთ. რას იტყვით ევროპაში გასეირნებაზე?

– როდის?

– ამას არა აქვს მნიშვნელობა. ვფიქრობ, თუ დღეს ოთხ საათზე გავემგზავრებით, ჯერ კიდევ არ იქნება გვიან.

– მაშ, გემთან შევხვდებით, – უპასუხა ჰარპერმა.

შვიდი წლის შემდეგ ეს ორი ადამიანი ნიუ-იორკის მედისონ-სკვერში იჯდა და საუბრობდა. ვიღაც კაცი, რომელიც ერთხანს შეუმჩნევლად უთვალთვალებდა მათ, მიუახლოვდა, თავაზიანად მოიხადა ქუდი, თოვლივით გადათეთრებული თმა გამოაჩინა და უთხრა:

– გთხოვთ, მომიტევეთ, ჯენტლმენებო, მაგრამ მას, ვინც კაცი იმით მოკლა, რომ თავად მკვდრეთით აღდგა, ურჩევნია მოკლულს ტანსაცმელი გაუცვალოს, და როგორც კი მოახერხებს, გაქცევით უშველოს თავს.

ჰელბერსონმა და ჰარპერმა მრავალმნიშვნელოვანი მზერა გაცვალეს. ეტყობოდა, ეს სიტყვები მათ სასაცილო ეჩვენათ. ჰელბერსონმა კეთილი ღიმილით ჩახედა უცნობს თვალეში და უპასუხა:

– მეც ყოველთვის მასე ვფიქრობდი. სავსებით გეთანხმებით იმ უპირატეს...

უცბად ხმა ჩაუწყდა და მკვდრისფერი დაედო. პირდაღებული შეჰყურებდა უცნობს, ცახცახმა აიტანა.

– ოჰო! – წამოიძახა უცნობმა, – ვხედავ, თავს შეუძლოდ გრძნობთ, დოქტორო. თუ საკუთარ თავს ვერ შველით, დარწმუნებული ვარ, დოქტორი ჰარპერი დაგეხმარებათ.

– ვინ ხართ, ეშმაკმა წაგიღოთ? – უხეშად ჰკითხა ჰარპერმა. უცნობი უფრო

მიუახლოვდა, დაიხარა და ჩურჩულით უთხრა:

– ხანდახან საკუთარ თავს ჯერეტს ვუწოდებ, თქვენ კი, როგორც ძველ მეგობრებს, არ დაგიძალავთ – მე დოქტორი უილიამ მენჩერი გახლავართ. ამ სიტყვებზე ჰარპერი ფეხზე წამოხტა.

– მენჩერი! – შესძახა მან, ჰელბერსონმა კი დაუმატა:

– ვფიცავ, მგონი მართალს ამბობს!

– დიახ, – უაზროდ გაიღიმა უცნობმა, – დიახ, სწორედ ასეა.

ენა დაება, თითქოს რაღაცას იხსენებდა, მერე კი რომელიღაც მოდური ჰანგის ღიღინს მოჰყვა. თითქოს დაავიწყდა კიდევ მეგობრების იქ ყოფნა.

– მისმინეთ, მენჩერ, – მიმართა ჰელბერსონმა, – გვიამბეთ, რა მოხდა იმ ღამეს, ჯერეტს რა დაემართა, თუ გახსოვთ?

– ააა, ჯერეტს... რა თქმა უნდა, – მიუგო მენჩერმა, – უცნაურია, რომ აქამდე არ გვიამბეთ – მე ხომ ძალიან ხშირად ვყვები ამ ამბავს. რა მოხდა და, როდესაც მომესმა, როგორ ელაპარაკებოდა საკუთარ თავს, მივხვდი, რომ მაგრად იყო შემინებული. ვეღარ გავუძელი ცდუნებას, მკვდრეთით აღვმდგარიყავი და ცოტა მეხუმრა, თავი ვერ შევიკავე და რა ვქნა. ასეც მოვიქეცი, მაგრამ, ნამდვილად არ მიფიქრია, თუ ასე სერიოზულად მიიღებდა ამ ამბავს. ნამდვილად არ მიფიქრია. მერე კი მისთვის



ადგილის გაცვლა არ იყო ადვილი საქმე, მერე ისე გამიჭირდა გამოსვლა, არ მიშვებდით, ეშმაკმა წაგილოთ!

უკანასკნელი სიტყვები წარმოუდგენელი სიბრაზით წარმოთქვა. შეშინებულმა მეგობრებმა უკან დაიხიეს.

- ჩვენ? კი, მაგრამ... ჩვენ... - ჰელბერსონს ენა ებმოდა, - ჩვენ რა შუაში ვართ?
- როგორ, განა თქვენ ჰელბორნი და შარპერი არ ხართ? - იკითხა მენჩერმა, თან გაიცინა.
- დიახ, ჩემი გვარი ჰელბერსონია, ეს ჯენტლმენი კი მისტერ ჰარპერი გახლავთ, - უპასუხა ჰელბერსონმა და მენჩერის სიცილმა ცოტა დაამშვიდა. - მაგრამ ჩვენ უკვე ექიმები როდი ვართ, ჩვენ ახლა - ახა, როგორ გითხრათ, ახლა ჩვენ მოთამაშეები ვართ, ჩემო კარგო. და ეს მართალი იყო.
- მშვენიერი პროფესიაა, მართლაც საუცხოო. ჰო მართლა, იმედი მაქვს, შარპერმა გადაიხადა ჯერეტის ფული, როგორც პატიოსან მოთამაშეს შეეფერება... ძალიან კარგი, მართლაც დასაფასებელი პროფესია აგირჩევიათ, - გაიმეორა დაბნეული სახით და გაეცალა, - მე კი ისევ ძველ საქმიანობას მივდეგ. მე ბლუმინგდეილის ფსიქიატრიული საავადმყოფოს მთავარი ექიმი გახლავართ, ჩვენი ზედამხედველის მორჩენა მაქვს დავალებული.

## უგზოუკვლოდ დაკარგული

როგორც კი ოფიცერთა ჯგუფთან ხმადაბალი საუბარი დაასრულა, ჯერომ სირინგი, რიგითი ჯარისკაცი, ზურგისაკენ შებრუნდა, სახელდახელოდ აგებულ ნაგებობებს გვერდი აუარა და ტყეში მიიმალა. რიგითი სირინგი გენერალ შერმანის არმიის მსახურობდა, რომელმაც იმ დღეებში ჯორჯის შტატში, კონესოს მაღლობზე წინააღმდეგობას გაუძლო. მას არავინ შეხმინებია და არც ჯარისკაცს გამოუხატავს რაიმე, თუმცა ყველასთვის ნათელი იყო, რომ ამ მამაცმა ჯარისკაცმა ძალიან საპასუხისმგებლო და სახიფათო საბრძოლო დავალება მიიღო. მართალია სირინგი რიგითი იყო, მაგრამ გამორჩეული სამსახური ჰქონდა, დივიზიის შტაბში იყო მივლენილი შიკრიკად. „შიკრიკი“ უნივერსალური ცნებაა, ის შეიძლება იყოს მეკავშირე, გადამწერი, ოფიცრის მსახური - ვინც გნებავთ. მას შეიძლება დაევალოს ყველაფერი, რაც არ არის გათვალისწინებული სამხედრო ბრძანებითა და წესდებით. ეს დავალებები დამოკიდებულია მის პიროვნულ მონაცემებზე, უფროსობასთან დამოკიდებულებაზე, ან საერთოდ, რაიმე შემთხვევაზე. რიგითი ჯარისკაცი სირინგი, უბადლო მსროლელი, ახალგაზრდა, მონდომებული, აზრიანი, რომელმაც არ იცოდა, რა იყო შიში, მზვერავი გახლდათ.

დივიზიის გენერალს, რომელიც უფრო მსხვილი დაჯგუფების ფარგლებში მოქმედებდა, არ სჩვეოდა ბრძანების ბრმად შესრულება, თუ არ ჰქონდა მონაცემები მოწინააღმდეგის შესახებ. მას არ აკმაყოფილებდა ჩვეულებრივი წყაროებიდან მიღებული ოფიციალური ცნობები, მას მეტი ინფორმაცია სურდა, ზუსტად უნდა

გაერკვია ყველაფერი. და აი, სწორედ აქ იყო საჭირო ჯერომ სირინგი. თავისი უშიშარი გულით, უტყუარი ალლოთი, თვალმახვილი და სიმართლის მთქმელი. ამჯერად მას იოლი საქმე დაავალეს: რაც შეიძლება ახლოს მისულიყო მტრის პოზიციებთან და შეეტყო რაც შეიძლება მეტი.

ის უკვე გაუსწორდა მოწინავე საგუმაგოებს. სადაც არცთუ ღრმა სანგრებიდან მწვანე ტოტებით შენიღბული შაშხანები მოჩანდა. აქედან მტრის მოწინავე პოზიციებამდე ტყის უწყვეტი ზოლი გადაჭიმულიყო და მას ისეთი იდუმალეობა დაჰკრავდა, მეტისმეტად კარგი წარმოსახვა უნდა ჰქონოდა ადამიანს, რომ ამ ტყეში შეიარაღებული ხალხი წარმოედგინა, რომლებიც ფხიზლობდნენ და ყოველ წუთს მზად იყვნენ საბრძოლველად. სირინგი წამით დაყოვნდა ერთ პატარა სანგართან, რათა ამხანაგებისთვის თავისი გეგმები გაემხილა და შემდეგ ფრთხილი ხოხვით ისევ გაუჩინარდა ხშირ ბუჩქნარში.

– მაგის ბოლო იქ არის, – ჩაულაპარაკა ერთმა გუმაგმა მეორეს. – თავისი შაშხანა მაინც დაეტოვებინა ჩემთვის, თორემ მტერი ჩაიგდებს ხელში და ისევ ვინმე ჩვენიანს მოუღებს ბოლოს.

სირინგი კი კვლავ წინ მიხობავდა და თან ყოველ ბორცვსა და ყოველ ბუჩქს იყენებდა საფარად. მისი თვალი ყველაფერს ამჩნევდა, სმენას უმცირესი ბგერაც არ ეპარებოდა. სუნთქვას იკავებდა და ტოტის ტკაცუნზეც კი ნოტიო მიწას ეკვროდა. წინ ნელა მიიწევდა, მაგრამ მოწყენის დრო არ ჰქონდა, საშიშროება ინტერესს უღვივებდა, თუმცა სირინგს მღელვარება არ ეტყობოდა. გული ჩვეულებრივ, მშვიდად უცემდა, თითქოს წვრილ ფრინველზე სანადიროდ იყო გამოსული.

– დიდი ხანია მოვცოცავ, – გაიფიქრა მან, – მაგრამ ჯერ ისევ ცოცხალი ვარ, ე.ი. შორს არ უნდა ვიყო გასული.

მანძილის გაზომვის თავისეულ მეთოდზე სირინგს ღიმილი მოერია და ხოხვა განაგრძო. უცბად მიწას გაეკრა და გაინაბა. წუთი წუთს მისდევდა, სირინგი არ ინძრეოდა. წინ, ბუჩქებს შორის ყვითელი თიხის სანგარი დაინახა. ფრთხილად, ნელა ასწია თავი, მერე ხელებს დაეყრდნო და წამოიწია, დამაბული მისჩერებოდა მიწაყრილს. მერე უცებ მთელი ტანით წამოიმართა და თოფმოღერებული სწრაფად გაემურა წინ ისე, რომ დამალვა აღარც უცდია. მხოლოდ მისთვის გასაგები გუმანით მიხვდა, რომ მტერს უკვე დაეტოვებინა ეს პოზიციები.

გადაწყვიტა საბოლოოდ დარწმუნებულიყო, ვიდრე უკან დაბრუნდებოდა და ესოდენ მნიშვნელოვან ამბავს უპატაკებდა, ამიტომ ისევ წინ გაემურა, მიტოვებული სანგრები გადაიარა

და გამეჩხერებულ ტყეში გაირბინა, თან აქეთ-იქით იყურებოდა, რომ სადმე დამალული მტერი არ გამოჰპარვოდა. ბოლოს პლანტაციას მიადგა, ერთ-ერთს იმ მიტოვებულ, გავერანებულ კარმიდამოთაგან, რომლებიც ომის ბოლოს ბლომად გაჩნდა. იქაურობა მაყვლის ბუჩქებს დაეფარა, მორღვეულ მესერს, დანგრეულ ნაგებობებს, რომელთაც კარ-ფანჯრებიც აღარ შერჩენოდა, უბადრუკი და საცოდავი იერი ჰქონდათ. სირინგი ფიჭვებს ამოეფარა, ყურადღებით მოათვალიერა იქაურობა

და სწრაფად გადაირბინა მინდორი, ხეხილის ბაღი გადაჭრა და მცირე მალლობზე განცალკევებით მდგარ პატარა ნაგებობას მიაშურა. სირინგი ვარაუდობდა, რომ იქიდან კარგად გამოჩნდებოდა ადგილი, საითაც, მისი აზრით, მოწინააღმდეგეს უნდა დაეხია. ეს შენობა ათიოდე ფუტის ხიმინჯებს ეყრდნობოდა. მისგან მხოლოდ სახურავილა გადარჩენილიყო. ერთადერთი ოთახის იატაკი ჩაქცეულიყო, კოჭები და ფიცრები იქვე ეყარა ან უბრალოდ ეკიდა აქეთ-იქით გამოშვებული და ცალი ბოლოთი თავს ძლივსლა იკავებდნენ. ხიმინჯებიც განზე გადახრილიყვნენ, თითქოს თითის დაკარებაც საკმარისი იქნებოდა, რომ მთელი ეს ნაგებობა ჩამოშლილიყო.

კოჭებისა და ფიცრების გროვაში ჩამალულმა სირინგმა გაშლილ ადგილს მოავლო თვალი, რომელიც ნახევარ მილზე მაინც გადაჭიმულიყო კენესოს მთის ძირამდე. გზა, რომელიც მთაზე გადადიოდა, სავსე იყო ჯარით. ეს მოწინააღმდეგის არიერგარდი იხევდა უკან. თოფების ლულეებზე დილის მზის სხივები ირეკლებოდა.

სირინგმა უკვე ყველაფერი შეიტყო, რისი გაგებაც სურდა. ახლა მისი ვალი იყო, რაც შეიძლება სწრაფად დაბრუნებულიყო და ყველაფერი, რაც ნახა, უფროსებისთვის მოეხსენებინა. მაგრამ მთის ფერდობზე გაჭირვებით მიმავალ ქვეითთა რუხი კოლონა სადერდელს უშლიდა. მისი შაშხანა, ჩვეულებრივი სპრინგფილდი, რომელსაც სამიზნე ჰქონდა განსაკუთრებული და ორმაგი ჩახმახი – ადვილად მიაწვდენდა ტყვიას მტრის ბრბოს. ეს ალბათ არავითარ ზეგავლენას არ მოახდენდა ომის ხანგრძლივობასა და შედეგებზე, მაგრამ ჯარისკაცის საქმე ხომ მტრის ხოცვაა. და თუ ამასთან ერთად ჯარისკაცი კარგი მებრძოლია, ეს ჩვევად უნდა ჰქონდეს გადაქცეული. სირინგმა ჩახმახი შეაყენა და სასხლეტს თითი გამოსდო.

მაგრამ ალბათ განგებას დასაბამითვე ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ რიგითი ჯარისკაცი სირინგი ზაფხულის იმ მზიან დილას ვერც ვერავის მოკლავდა და ვერც სამხრეთელთა უკან დახევის ამბავს მიიტანდა. უთვალავ საუკუნეთა განმავლობაში მოვლენები ისე ერწყმოდა ერთმანეთს და ისეთ საოცარ მოზაიკას ქმნიდა, რომლის ბუნდოვან და გაურკვეველ ნაწილებს ჩვენ ისტორიას ვუწოდებთ, რომ სირინგის განზრახვა ჰარმონიას დაარღვევდა.

უზენაესმა ძალამ, რომელმაც გადაწყვიტა, რომ მოვლენები წინასწარ დასახული გეგმით უნდა განვითარებულიყო, ჯერ კიდევ ოცდახუთი წლის წინ მიიღო ზომები, რომ ხელი არაფერს შეეშალა. მან იზრუნა მამრობითი სქესის ჩვილის დაბადებაზე ერთ პატარა სოფელში კარპატის

მთის ძირას, გულმოდგინედ აღზარდა იგი, დაეხმარა, მიეღო განათლება, მისი მისწრაფებები სამხედრო კარიერისკენ წარმართა და როცა დრო დადგა, არტილერიის ოფიცრად აქცია. მას შემდეგ, როცა უამრავი ხელსაყრელი ფაქტორი დაემთხვა ერთმანეთს და დაძლია სხვა უამრავი არახელსაყრელი მოვლენა, არტილერიის ეს ოფიცერი იძულებული გახდა დაერღვია სამხედრო დისციპლინა და გაქცეულიყო სამშობლოდან, რათა თავი დაეღწია სასჯელის-თვის. იმავე უზენაესმა ძალამ ახალი ორლენისკენ გაუყენა გზას (ნაცვლად ნიუ-იორკისა), სადაც მას ნავმისადგომთან ოფიცერი ელოდა. იგი ჯარში მიიღეს, დააწინაურეს კიდევ, შემდეგ კი მოვლენები ისე განვითარდა, რომ ახლა იგი სამხრეთელთა ბატარეას მეთაურობდა ორი მილის

დაშორებით იმ ადგილიდან, სადაც ჩრდილოელთა მზვერავი, ჯერომ სირინგი ჩახმახშეყენებული თოფით იდგა. ამ ორი ადამიანის, მათი წინაპრებისა და თანამედროვეებისთვის, ასევე მათი წინაპრების თანამედროვეთა სიცოცხლის ყოველ საფეხურზე სწორედ ის ამბები ხდებოდა, რომელთაც უნდა განესაზღვრათ წინასწარ დასახული შედეგი. ურთიერთდაკავშირებულ მოვლენათა ამ უწყვეტ ჯაჭვში ერთი რგოლიც რომ ამოვარდნილიყო, რიგითი ჯარისკაცი სირინგი შეძლებდა ტყვია დაედევნებინა უკან დახეული სამხრეთელებისთვის, შეიძლება აეცდინა კიდევ მიზნისთვის, მაგრამ მოხდა ისე, რომ სამხრეთელთა არმიის კაპიტანმა იმის მოლოდინში, თუ როდის მოუწევდა მასაც წასვლის ჯერი, უსაქმურობის გამო ქვემეხი სწორედ იმ გორაკისკენ მიმართა, სადაც, როგორც მას მოეჩვენა, ჩრდილოელთა არმიის ოფიცრები იდგნენ და გაისროლა. ჭურვმა თავზე გადაუქროლა მიზანს.

ჯერომ სირინგი თოფმომარჯვებული გასცქეროდა სამხრეთელებს და ფიქრობდა, როგორ გაესროლა ისე, რომ რომელიმე ცოლი დაექვრივებინა, რომელიმე ბავშვი დაეობლებინა ან რომელიმე დედისთვის შვილი წაერთმია, და თუ გაუმართლებდა, შესაძლოა, სამივე ერთად მომხდარიყო. მართალია, რიგით ჯარისკაც სირინგს არაერთხელ უთქვამს უარი დაწინაურებაზე, მაგრამ მას მაინც არ აკლდა პატივმოყვარეობის გრძობა. უეცრად ჰაერში ძლიერი სტვენა მოესმა, თითქოს რომელიღაც მტაცებელი ფრინველი მსხვერპლს დაედევნა, და ვიდრე გონზე მოსვლას მოასწრებდა, ეს ხმა ჯერ ზუზუნში გადაიზარდა, მერე გრგვინვად იქცა. ჭურვი დაბლა დაეშვა, გამაყრუებელი ქუხილით მოხვდა ოჩოფეხებზე შემდგარი ფიცრულის ერთერთ ხიმინჯს, ნაფოტებად აქცია და ყურისწამლები ხმაურით მიწაზე დაამხო იგი, თან საშინელი ბული დააყენა.

როდესაც ჯერომ სირინგი გონს მოეგო, უცბად ვერც კი მიხვდა, რა მოხდა. თავიდან თვალეზი ვერ გაახილა. ეგონა, რომ მოკვდა და დამარხეს. ცდილობდა გაეხსენებინა დაკრძალვის ცერემონიის სიტყვები. მოეჩვენა, თითქოს მის ცოლს მუხლი მოეყარა მის საფლავთან და კიდევ უფრო ამძიმებდა მის გულზე დაყრილ მიწას, ორივეს, ქვრივსაც და მიწას თითქმის ჩაენგრიათ კუბო. თუ ბავშვებმა ვერ დაიყოლიეს დედა შინ წასვლაზე, მალე სული შეეხუთებოდა. სირინგი წყენამ შეიპყრო. „მე არ შემძლია მასთან დალაპარაკება, – გაიფიქრა მან, – მიცვალებულებს ხომ ხმა არა აქვთ. თვალეზს თუ გავახელ, მაშინვე მიწით ამომევესება“.

თვალეზი გაახილა. ლაჟვარდოვანი ცა, ხეთა არათანაბარი კენწეროები, წინა პლანზე რაღაც რუხი, კუთხოვანი ბორცვი ეფარებოდა ხეებს. მის შუაში კი მოელვარე ლითონის რგოლი მოჩანდა. ეს ყველაფერი იმდენად შორს იყო, რომ სირინგმა დადლა იგრძნო და თვალეზი დახუჭა. ყურებში შორეული ზღვის წყნარი, თანაბარი გუგუნის ჩაესმოდა, ტალღებად რომ ეხლებოდა ქვიშიან ნაპირს და ამ ხმაურიდან, იქნებ მის მიღმაც, განუწყვეტელ თანაბარ ბგერებთან შერწყმული, გარკვეული სიტყვები წარმოიშვა:

„ჯერომ სირინგ, გაეხი თუ არა ვირთხასავით ხაფანგში... ხაფანგში... ხაფანგში...“

უცხად სრული სიჩუმე ჩამოწვა, წყვილია დმა, უსაშველო სიწყნარემ მოიცვა იქაურობა და ჯერომ სირინგს, რომელსაც კარგად ესმოდა, რომ მართლაც ხაფანგში გაბმული ვირთხასავით იყო გამოჭერილი, ყველაფერი გაახსენდა, რაც მის თავს მოხდა. სრულიად დამშვიდდა, კვლავ გაახილა თვალები, რათა დაეზვერა იქაურობა, გაერკვია მტრის ძალები და შეემუშავებინა თავდაცვის გეგმა.

იგი ნახევრად წამოწოლილი იყო, ერთ მოზრდილ ძელს ზურგით ეყრდნობოდა და მეორე ძელი გულმკერდზე დასწოლოდა. როგორც იყო, მოახერხა ოდნავ განზე გაწევა ისე, რომ ძელი გულზე აღარ აწვებოდა, მაგრამ ადგილიდან მის დაძვრაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. მასზე მართი

კუთხით მიმაგრებულ ბიჯგს სირინგი ახორხლილ ფიცრებზე მიესრისა და მარცხენა ხელს ვეღარ ამოძრავებდა. ოდნავ აქეთ-იქით გაწეულ ფეხებზე მუხლებამდე ეყარა ნამსხვრევების და ნაგვის გროვა, რაც ჰორიზონტის ნაწილის დანახვის საშუალებას არ აძლევდა. თავი ისე ჰქონდა გაჭედული, მხოლოდ თვალების აქეთ-იქით ცეცება და ნიკაპის მობრუნება შეეძლო. მხოლოდ მარჯვენა ხელი ჰქონდა შედარებით თავისუფალი.

„აბა, შენ უნდა გვიშველო“, – უთხრა მან მარჯვენა მკლავს. მაგრამ ვერ შეძლო მისი მძიმე ძელიდან გამოძვრენა და ვერც წინ გასწია.

სირინგი არც მძიმედ იყო დაჭრილი და ვერც ტკივილს გრძნობდა. შუაზე გაპოხილმა ძელმა, რომელიც მთელი ძალით მოხვდა თავში, გრძნობა წაართვა. როგორც ეტყობა, ეს მდგომარეობა, როცა მას გრძნობა ჰქონდა დაკარგული, და ის პერიოდშიც, როცა გამოფხიზლდა და უცნაური ჰალუცინაციები ეჩვენებოდა, სულ რამდენიმე წამს გაგრძელდა, რადგან ავარდნილი ბული ჯერაც არ დამცხრალიყო.

სირინგი შეეცადა ნაწილობრივ თავისუფალი მარჯვენა ხელით კოჭს ჩასჭიდებოდა, რომელიც მისი მკერდის გასწვრივ გაჩხერილიყო, თუმცა არ ეხებოდა მას, მაგრამ ვერაფრით მოახერხა ქვემოთ დაეწია მხარი ისე, რომ იდაყვი კოჭის ქვეშ გაეტარებინა, ამის გარეშე კი მკლავს ვერ

მოხრიდა და კოჭს ვერ ჩაებლაუჭებოდა. დირეზე დამაგრებული ბიჯგი, რომელიც მართ კუთხეს ქმნიდა, საშუალებას არ აძლევდა რაიმე მოემოქმედა მარცხენა მხარეს, რადგან მანძილი ბიჯგსა და მას შორის იმის ნახევარზე უფრო ნაკლები იყო, ვიდრე იდაყვსა და ხელის მტევანს შორის. მიხვდა, რომ ხელს ვერც ზემოდან გაატარებდა, ვერც ქვემოდან, როდესაც საკუთარ უმწეობაში დარწმუნდა, იმაზე დაიწყო ფიქრი, როგორ მოემორებინა ფეხებზე დაყრილი ფიცრების გროვა.

ვიდრე ამ საკითხის გადაწყვეტას ცდილობდა და ნამტვრევების გროვას ათვალთვრებდა, მისი ყურადღება უცხად მიიპყრო რაღაც საგანმა, რომელიც პირდაპირ მისი თვალების წინ მოჩანდა, როგორც მზრწყინავი ლითონის რგოლი. პირველად მოეჩვენა, რომ ეს რკალი, რომლის დიამეტრიც ნახევარ დუიმზე ოდნავ მეტი იყო, სავსე იყო რაღაც შავი ნივთიერებით. მერე კი მიხვდა, რომ ეს სიშავე ჩრდილი იყო და რკალი კი – ნანგრევებიდან გამოშვერილი მისივე შაშხანის ლულა. დიდი დრო არ დასჭირვებია, რომ დარწმუნებულიყო თავისი ვარაუდის სისწორეში

და კმაყოფილი დარჩა ამით. სირინგმა რიგრიგობით დახუჭა ორივე თვალი და ისე შეათვალიერა ლულა იმ ადგილამდე, სადაც იგი ნაგავში იყო ჩამალული. ცალი თვალით ლულის შესაბამის მხარეს ხედავდა ერთი და იგივე კუთხით, როდესაც მარჯვენა თვალით გასცქეროდა, ლულა მისი თავისკენ მარცხნივ მიმართული ჩანდა და პირიქით. ლულას ზემოდან ვერ ხედავდა, ქვემოდან კი ოდნავ ზემოთ იყო აშვერილი. ერთი სიტყვით, თოფის ლულა პირდაპირ შუბლში ჰქონდა დამიზნებული.

როდესაც სირინგმა გაიხსენა, რომ ამ კატასტროფის წინ მან ჩახმახი შეაყენა და სასხლეტი ისეთ მდგომარეობაში დატოვა, რომ უბრალო შეხებაც კი გასროლას გამოიწვევდა, ცოტა არ იყოს, შეცბა. მაგრამ ეს არ იყო შიში. უცბად ძველი ამბავი გაახსენდა და გამხიარულდა კიდევ. მისიონერთა ქედის იერიშით აღებისას რომ შეემთხვა: როდესაც მტრის ერთ-ერთ ამბრაზურას მიუახლოვდა, საიდანაც ცოტა ხნის წინათ ქვემეხი ზედიზედ ისროდა კარტეჩებს, უცებ ეგონა, იარაღი მოაცილეს, რადგან ამბრაზურაში სპილენძის რკალის გარდა არაფერი ჩანდა. თუ რა იყო ეს, სწორედ დროზე მიხვდა, განზე გახტომა მოასწრო და ქვემეხის ლულამ ერთხელ კიდევ გადმოუშვა თავისი ხახიდან გავარვარებული ლითონი ხალხით გავსებული მინდვრისკენ. ცეცხლსასროლი იარაღის წინ პირისპირ დგომა და იარაღის უკან მტრულად მოელვარე თვალების დანახვა – ჩვეულებრივი ამბავია ჯარისკაცის ყოველდღიურ ცხოვრებაში. მიუხედავად ამისა, რიგითმა ჯარისკაცმა სირინგმა ამ ამბავში სასიამოვნო ვერაფერი დაინახა და ლულას თვალი მოაშორა.

მან უაზროდ მოაფათურა მარჯვენა ხელი და უშედეგოდ სცადა მარცხენა ხელის გათავისუფლება. შემდეგ თავის აწევა სცადა – ვერ გაეგო, რა იჭერდა მას ასე მყარად, და ამაზე ფიქრი ძალიან აღიზიანებდა. მერე ფეხების გამოხსნა დააპირა, რისთვისაც კუნთებიც კი დაჭიმა, მაგრამ მაშინვე მიხვდა, რომ თუ ზედდაყრილ ნაგავს ადგილიდან დაძრავდა, შეიძლებოდა თოფს რამე გამოსდებოდა და გაესროლა. ვერ გაეგო, რატომ არ გავარდა თოფი მაშინ, როდესაც

ჭურვი გასკდა, მაგრამ მეხსიერებამ მაშინვე შეახსენა ანალოგიური შემთხვევები, განსაკუთრებით კარგად გაახსენდა ერთი შემთხვევა, როდესაც გონებაარეულმა შაშხანის ლულას სტაცა ხელი, კონდახი თავში ჩასცხო და ტვინი გადმოანთხევინა მეორე ჯენტლმენს და მხოლოდ მერე გაახსენდა, რომ თოფი დატენილი იყო და ჩახმახიც შეყენებული. ეს რომ მის მოწინააღმდეგეს სცოდნოდა, იგი, უეჭველია, უფრო დიდხანს გაუწევდა წინააღმდეგობას. სირინგს ყოველთვის ღიმილს ჰგვრიდა თავისი გამოუცდელობის დროინდელი ამ დაუდევრობის გახსენება, მაგრამ ახლა გაღიმების თავიც აღარ ჰქონდა. მზერა კვლავ თოფის ლულას მიაპყრო და მოეჩვენა, თითქოს იგი ადგილიდან დაძრულიყო და თითქოს მიუახლოვდა.

კვლავ თვალი მოარიდა ლულას. მისი ყურადღება პლანტაციის მიღმა მდგარ ხეთა კენწეროებმა მიიპყრო. აქამდე არასოდეს შეუნიშნავს მათი სიმსუბუქე და სინაზე. როგორი ლაჟვარდოვანი იყო ცა, ტოტებს შორისაც კი, სადაც ცის ფერს ხეების სიმწვანე აფერმკრთალებდა. მის თავს ზემოთ კი ზეცა თითქმის ჩაშავებულიყო.

„დღისით აქაურობა მაგრად გახურდება, – გაიფიქრა მან, – ნეტავ რომელ მხარესაა მზე“.

ჩრდილების მიხედვით თუ იმსჯელებდა, სახე ჩრდილოეთით უნდა ჰქონოდა მიქცეული,

ყოველ შემთხვევაში, მზე თვალებში არ შეაჭყეტდა, და გარდა ამისა, ჩრდილოეთი... იქ მას ცოლი და შვილები ეგულებოდა.

„რა ხდება ჩემს თავს! – ხმამაღლა წამოიძახა მან, – იმათ ამ საქმესთან რა კავშირი აქვთ?“ თვალები დახუჭა.

„რაკი აქ გავიჭედე, იქნებ დამეძინა მაინც? მეამბოხებმა აქაურობა დატოვეს, ალბათ ჩვენები შემოეხეტებიან რაიმე სურსათ-სანოვაგის შოვნის იმედით. ჰოდა, მომაგნებენ კიდევ“.

დაძინება მაინც ვერ შეძლო. გაურკვეველი ტკივილი იგრძნო შუა შუბლში – ჯერ ყრუ, თითქმის შეუმჩნეველი, მერე კი უფრო ძლიერი და მწვავე. თვალები გაახილა, ტკივილი გაუქრა, დახუჭა – ისევ ასტკივდა.

„ეშმაკმა დალაზვროს!“ – წარმოთქვა მან და ცას შეაცქერდა. ჩიტების ჟღერტული მოესმა, გაიგონა გამორჩეული, ლითონისებური ტოროლას გალობა, თითქოს გადაჯვარედინებულმა დაშნებმა გაიწვრიალესო. იგი მთლიანად ჩაიძირა ბავშვობის სასიამოვნო მოგონებებში, კვლავ თავის და-ძმასთან თამაშით ერთობოდა, ყიჟინით დაჰქროდა მინდორში, აფრთხოვდა ბალახში

განაბულ ტოროლებს, დაეხეტებოდა უღრან ტყეში. ფრთხილი ნაბიჯებით მიჰყვებოდა მოჩვენებათა კლდისკენ მიმავალ ბილიკს და, ბოლოს, საკუთარ გულისცემას მიყურადებული, მიცვალებულის მღვიმესთან ჩერდებოდა, სურვილი წვავდა, გაეგო მისი საშინელი საიდუმლოება. მან პირველად შენიშნა, რომ ამ იდუმალებით მოცული გამოქვაბულის შესასვლელს გარშემო ლითონის რკალი ჰქონდა შემოვლებული... უცებ ყველაფერი გაქრა და იგი ისევ თავისი შაშხანის ლულას მისჩერებოდა. მაგრამ თუ მანამდე მოეჩვენა, რომ რკალი მიუახლოვდა, ახლა იგი წარმოუდგენლად შორს მოჩანდა და უფრო შემზარავად გამოიყურებოდა. სირინგმა შეჰყვირა და საკუთარმა ხმამ შეაძრწუნა, რადგან შიშის ნოტა შენიშნა, და თავის გასამართლებლად გაიფიქრა: „ახლა რომ ყვირილი არ ავტეხო, შეიძლება აქ ჩავრჩე, ვიდრე სული ამომძვრება“.

იგი უკვე აღარ არიდებდა თავს თოფის ლულის მუქარით აღსავსე მზერას. თუ უცებ მოაშორებდა თავს, მხოლოდ იმიტომ, რომ დაენახა, მოდიოდა თუ არა ვინმე მის დასახმარებლად, თუმცა ნანგრევებს იქით მაინც ვერაფერს ხედავდა. შემდეგ იდუმალი მზერით კვლავ ლულას გახედავდა. დაღლილობისგან თვალებს რომ ხუჭავდა, მაშინვე მწვავე ტკივილი მოუვლიდა შუბლში, ეს ტყვიის წინასწარი შეგრძნება და შიში იყო, ეს აიძულებდა ისევ გაეხილა თვალები.

ნერვები და გონება საშინლად დაეძაბა. ხანდახან ბუნება თუ მოევლინებოდა მხსნელად და გრძნობას აკარგვინებდა. ერთხელაც, გონს რომ მოეგო, მწვავე ტკივილი იგრძნო მარჯვენა ხელში, თითები აამოძრავა და ხელისგულზე რომ მოისვა, იგრძნო, დასველებოდა, საკუთარ ხელს ვერ ხედავდა, მაგრამ შეხებით იგრძნო, რომ

ხელისგული გასისხლიანებოდა. ალბათ, როცა გრძნობა დაკარგა, ნაგვის უსწორმასწორო ზედაპირზე გაიჭრა ხელი. გადაწყვიტა, ვაჟკაცურად შეხვედროდა სიკვდილს. ის ერთი რიგითი, ჩვეულებრივი ჯარისკაცი იყო, რომელსაც არც ღმერთი სწამდა და არც მიკიბულ-მოკიბული ფილოსოფიის გაეგებოდა რამე. იგი გმირივით ვერ მოკვდება და ვერც მაღალფარდოვან სიტყვებს წარმოთქვამდა სიკვდილის წინ, მსმენელიც რომ ჰყოლოდა, მაგრამ შეუძლია ვაჟკაცურად მოკვდეს და ასეც გააკეთებს. ოღონდ ის იცოდეს, როდის გაისვრის შაშხანა!

რამდენიმე ვირთხა, რომელთაც იმავე ფარდულში დაედოთ ბინა, გარშემო ურბენდნენ და თან სუნავდნენ. ერთი მათგანი იმ ნაგვის გროვაზე აძვრა, სადაც შაშხანა იყო გაჭედილი, შემდეგ მეორე მიჰყვა, მერე მესამე. სირინგი მათ ჯერ გულგრილად ადევნებდა თვალს, მერე ინტერესი გაუჩნდა, ბოლოს, გაოგნებულს, უცბად მოუვიდა აზრად, რომ ვირთხებს შეეძლოთ ჩახმახს გამოსდებოდნენ და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დაუყვირა:

„გაეთრიეთ აქედან! აქ არაფერი გესაქმებათ!“

ვირთხები გაიქცნენ. ალბათ მერე კვლავ მობრუნდებიან, მიესვვიან, ცხვირს მოაჭამენ, ყელს გამოლადრავენ, სირინგმა იცოდა, რომ ასე მოხდებოდა, მაგრამ იმედი ჰქონდა, რომ ამ დროს ცოცხალი აღარ იქნებოდა.

ახლა უკვე ველაფერი აიძულებდა თვალი მოეშორებინა ლითონის პატარა, შავგულიანი რკალისთვის. შუბლი აუტანლად და შეუჩერებლად სტკიოდა. ტკივილი სულ უფრო და უფრო უჯდებოდა ტვინში, ვიდრე ეს ტკივილი კეფაზე მიბჯენილმა ხის ფიცარმა შეაჩერა. მაშინ ის სულ გაუსაძლისი გახდა. სირინგმა დასისხლიანებული ხელი დაუშინა ნამსხვრევებს, რათა ეს საშინელი ტკივილი შეეჩერებინა, ნელა რომ ფეთქავდა, და ყოველი შემდგომი ბიძგი უფრო მძაფრი იყო. ხანდახან სირინგი შეჰყვირებდა, თითქოს გრძნობდა საბედისწერო ტყვიის შეხებას, აღარ ფიქრობდა აღარც სახლზე, აღარც ცოლზე, აღარც შვილებზე, აღარც სამშობლოზე, აღარც სახელზე. ყველაფერი წაიშალა მის მეხსიერებაში. სამყარომ არსებობა შეწყვიტა და კვალიც აღარ დარჩენილა მისგან. აქ, ფიცრებისა და ძელების გროვაში ჩაიკეტა მისთვის ქვეყნიერება.

აქ იყო დროის უსასრულობა – მვეთქავი ტკივილის ყოველი ბიძგი სიცოცხლის მარადიულობას აღნიშნავდა.

ჯერომ სირინგი, გამხედავი ვაჟკაცი, მტრის თავზარდამცემი მეომარი, მტკიცე, უშიშარი მებრძოლი, მოჩვენებასავით გაფითრდა. ყბა ჩამოუვარდა, თვალები შუბლზე აუვიდა, ყოველი

ძარღვი უთრთოდა და ცივმა ოფლმა დაასხა. უეცრად საზარლად შეჰყვირა, ეს არ იყო სიგიჟე, ეს იყო შიში.

დიდხანს აფათურა გასისხლიანებული ხელი და ბოლოს რომელიღაც ჯოხს დასწვდა, გამოსწია და იგრძნო, რომ მოჰყვებოდა. ჯოხი მისი სხეულის პარალელურად იდო. მკლავს იდაყვში იმდენად ხრიდა, რამდენადაც ამის საშუალებას შეზღუდული სივრცე აძლევდა, ჯოხი ნელ-ნელა თავისკენ გამოაჩოჩა. ბოლოს იგი, როგორც იქნა,



მოშორდა ნაგვის იმ გროვას, რომელიც ფეხებზე ეყარა. ახლა შეეძლო ჯოხი აეღო კიდეც. გულში იმედი ჩაესახა: იქნებ როგორმე მაღლა აეწია ჯოხი, ისე, რომ შაშხანა გვერდზე გადაეგდო ჯოხის ბოლოთი, ან, თუ თოფი მაგრად იქნებოდა გაჭედილი, ჯოხი ისე დაეჭირა, რომ ტყვია მას ასცდენოდა. თანდათან უკან დასწია ჯოხი, სუნთქვას ვერ ბედავდა და თან თვალს არ აშორებდა თოფს, რომელსაც ნებისმიერ დროს შეეძლო თავისი საქმე შეესრულებინა. რადგან თავის გადარჩენის შანსი გაუჩნდა, მწვავე ტკივილი შუბლში ისე აღარ აწუხებდა და აღარც ყვიროდა. მაგრამ შიშს მაინც ვერ სძლია და კბილს კბილზე ისე აცემინებდა, რომ რაკარუკი გაუდიოდა.

ახლა ჯოხი აღარ ემორჩილებოდა მისი ხელის მოძრაობას. მაშინ რაც ძალი და ღონე ჰქონდა, უბიძგა ისე, რომ მიმართულება შეუცვალა, მაგრამ ჯოხი რაღაცას წამოედო. მისი წინა ბოლო ძალზე შორს იყო, რომ თოფის ლულას მისწვდენოდა, თუმცა ჯოხი სასხლეტამდე კი აღწევდა,

რომელიც ნაგვით არ იყო დაფარული და რომელსაც სირინგი მარჯვენა თვალით ხედავდა. სცადა ხელით გადაეტეხა ჯოხი, მაგრამ იდაყვი ვერაფერს მიაბჯინა. რაკი მიხვდა, რომ ვერაფერს გახდებოდა, შიში ისევ დაბრუნდა, თანაც, გაათმაგებული ძალით. შავი ლაქა ახლა უფრო ულმობელ და გარდუვალ სიკვდილს უქადდა მას, რათა ამ ამბოხისთვის დაესაჯა. ტყვიის შეგრძნება შუბლში აუტანელ ტკივილად იქცა. იგი კვლავ კანკალმა აიტანა.

უცხად დამშვიდდა. აღარ კანკალებდა. კბილი კბილს დააჭირა და თვალი გაახილა. მას ჯერ კიდეც არ ამოუწურავს გადარჩენის ყველა საშუალება. თავში ახალი აზრი გაუჩნდა – ბრძოლის ახალი გეგმა. ჯოხის წინა ბოლო ასწია და ფრთხილად გაატარა ნაგავში თოფის გასწვრივ. ვიდრე მეორე ბოლო სასხლეტს არ მიაბჯინა. შემდეგ ფრთხილად გასწია განზე მეორე ბოლო, სანამ არ დარწმუნდა, რომ ჩახმახი თავისუფალი იყო და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, სასხლეტს უბიძგა. თოფი არ გავარდა. იგი დაიცალა მაშინ, როცა ხელიდან გაუვარდა, შენობის ჩამონგრევასთან ერთად, მაგრამ ჯერომ სირინგი უკვე მკვდარი იყო.

ლეიტენანტი ადრიან სირინგი, მოწინავე მზვერავთა მეთაური, სანგრების ხაზის იმ ადგილთან იდგა თავისი ხალხით, სადაც დაზვერვაზე წასულმა მისმა ძმამ, ჯერომმა გაიარა, მიწაყრილზე დაჯდა და სმენად გადაიქცა. უბრალო ჩქამიც კი არ ეპარებოდა მის მახვილ სმენას. უცხად სწორედ სანგრების პირდაპირ გაისმა რაღაც ყრუ, გაურკვეველი, დახშული ხმა, თითქოს შენობა

ჩამოიქცაო. ლეიტენანტმა საათზე დაიხედა. ექვსი საათი და თვრამეტი წუთი იყო. იმავე წამს ადრიან სირინგს უკნიდან ადიუტანტი მიუახლოვდა და ჯარისკაცულად მიესალმა.

„ლეიტენანტო, – უთხრა მან, – პოლკოვნიკი გიბრძანებთ წინ წაიწიოთ და მტერი დაზვეროთ. თუ მას ვერ მიაგენით, წინსვლა განაგრძეთ, სანამ შეჩერების ბრძანებას არ მიიღებთ. როგორც ეტყობა, მტერმა უკან დაიხია“.

ლეიტენანტმა უხმოდ დაუქნია თავი. ადიუტანტი წავიდა. სერჟანტებმა ჯარისკაცებს ხმადაბლა ამცნეს, რაც ევალეობოდათ, რამდენიმე წუთის შემდეგ ჯარისკაცებმა თავიანთი სანგრები მიატოვეს და მწყობრად გაეშურნენ წინ.

მსროლელთა მწკრივი პლანტაციის გავლით მთისკენ გაემართა. ორივე მხრიდან გარს შემოუარეს დანგრეულ შენობას ისე, რომ არაფერი შეუმჩნევიათ. ოდნავ მოშორებით მეთაური, ლეიტენანტი ადრიან სირინგი მიჰყვებოდათ. მან ყურადღებით დაათვალიერა ნანგრევები და ფიცრებსა და ძეგლებს შორის სანახევროდ ჩაფლული გვამი დაინახა. ისეთი სქელი მტვერი ედო, რომ მისი ტანსაცმელი სამხრეთელთა ნაცრისფერ ფორმას ჰგავდა. სახე გადაფითრებული ჰქონდა, ლოყები ჩაცვენილი, საფეთქლები ჩავარდნილი, ძვლები მკვეთრად ამოწეული, შუბლი საშინლად დავიწროვებოდა. ტუჩებს შორის ერთმანეთზე მჭიდროდ დაჭერილი თეთრი კბილები

მოუჩანდა. თმები ოფლისგან ჰქონდა სველი და სახეც დანამული. იმ ადგილიდან, სადაც ოფიცერი შეჩერდა, თოფი არ მოჩანდა, ამიტომ იფიქრეს, კაცი ალბათ სახლის ჩამოქცევისას დაიღუპაო.

„ერთი კვირის მკვდარი მაინც იქნება“, – მოკლედ მოსჭრა ოფიცერმა, გვამს გვერდი აუარა, გზა განაგრძო და უნებურად საათი ამოიღო, თითქოს სურდა თავისი ნათქვამი შეემოწმებინა. ექვსი საათი და ორმოცი წუთი იყო.

# მიცვალებულთა ქალაქი

სიკვდილის სხვადასხვა სახეობა არსებობს: ისეთი, როცა სხეული თვალსაჩინო რჩება და ისეთი, როცა ისიც უკვალოდ ქრება მისგან გარიდებულ სულთან ერთად. ეს უკანასკნელი ჩვეულებრივ ადამიანთა თვალთაგან შორს ხდება (ასეთია ღვთის ნება) და მაშინ, რაკი არ ვართ ადამიანის გარდაცვალების თვითმხილველნი, ვამბობთ, რომ იგი დაიკარგა ან რომ შორეულ გზას დაადგა – და ასეც არის. მაგრამ ხანდახან, და ამას ცოტა თვითმხილველი როდი ჰყავს, გაქრობა უამრავი ადამიანის თანდასწრებითაც ხდება. ასევე არსებობს სიკვდილის სახეობა, რომლის დროსაც სული კვდება, სხეული კი ცოცხლობს. ზუსტად არის დადგენილი, რომ ხანდახან სული სხეულთან ერთად კვდება, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ ისევ ჩნდება დედამიწაზე და ყოველთვის იმ ადგილებში, სადაც სხეულია დამარხული.

...ამ სიტყვებზე ვფიქრობდი, რომლებიც ჰალის ეკუთვნის (ღმერთმა აცხონოს მისი სული). ვცდილობდი მათ აზრს ბოლომდე ჩავწვდომოდი, როგორც ადამიანი, რომელიც თქმულის აზრს დაიჭერს და საკუთარ თავს ეკითხება, ხომ არ არის აქ სხვა, დაფარული მნიშვნელობა. ამ ფიქრებში გართული ვერც ვამჩნევდი, სად დავბოდიასობდი, როცა მოულოდნელად სახეზე ცივმა ქარმა დამიბერა და რეალობაში დამაბრუნა. მიმოვიხედე და გოცებით შევნიშნე, რომ

გარშემო ყველაფერი უცხო იყო. ორივე მხრიდან უკაცრიელი გორები აღმართულიყო, მაღალი, დიდი ხნის გაუთიბავი, ხმელი ბალახით მოფენილი, რომელიც შემოდგომის ქარში შარიშურობდა და ქშინავდა – ღმერთმა იცის მხოლოდ, რა იდუმალი და სახიფათო მნიშვნელობა იფარებოდა ამ ხვნეშაში. ერთმანეთისგან დიდ მანძილზე უცნაური მოხაზულობის ქვების გროვა აღმართულიყო, ჩანდა, მათ შორის რაღაც იდუმალი თანხმობა არსებობდა და ერთმანეთში მრავალმნიშვნელოვან ავისმომასწავებელ მზერას ცვლიდნენ, კისერგამოწვდილები, რათა რომელიღაც ნანატრი მოვლენა არ გამოჰპარვოდათ. აქა-იქ გამხმარი ხეები მოჩანდა, ამ ბოროტი შეთქმულების წინამძღოლებივით, რომლებიც მდუმარე მოლოდინში გარინდულიყვნენ.

აღბათ შუა დღეს კარგად იყო გადაცილებული, მაგრამ მზე არ ჩანდა. ვაცნობიერებდი, რომ ჰაერი ნესტიანი და ტენიანი იყო, მაგრამ ამას რაღაც გონებრივად ვგრძნობდი და არა ფიზიკურად – სიცივე არ განმიცდია. უღიმღამო პეიზაჟის თავზე ავი წყველასავით ეკიდა ლეგა ღრუბლები. ყველაფერში რაღაც საფრთხე იგრძნობოდა – ბოროტმოქმედების უწყება, განწირულობის ნიშანი. გარშემო არც ფრინველი ჰაჰანებდა, არც ცხოველი, არც მწერი. ქარი მკვდარი ხეების შიშველ ტოტებში კვნესოდა. მიწისკენ დახრილი ნაცრისფერი ბალახი მას თავის საშინელ საიდუმლოს ანდობდა. და მეტი არა ხმა, არა მოძრაობა არ არღვევდა უკაცრიელი ფერდობის პირქუშ სიმშვიდეს.

ბალახში ავდრის მიერ დანგრეული ლოდები დავლანდე, ერთ დროს ადამიანის ხელით მოპირკეთებული. ქვები გაბზარულიყვნენ, ხავსი მოჰკიდებოდათ, ნახევრად მიწაში ჩაფლულიყვნენ. ზოგიერთი ბრტყლად გართხმულიყო, სხვები სხვადასხვა მხარეს ეყარა. სწორად არც ერთი არ იდო. ჩანდა, საფლავის ქვები იქნებოდა, მაგრამ

თვით საფლავები აღარ არსებობდა, მათგან არც მალლობები დარჩენილიყო, არც ჩაღრმავებები – დრომ ყველაფერი გადაასწორა. სადღაც უფრო მსხვილი ქვის გორბებიც ხვდებოდა თვალს: თითქოს რომელიღაც მედიდური საფლავი, რომელიღაც ქედმაღალი ძეგლი მივიწყებას ესროდა თამამ გამოწვევას. ისეთი ძველი ჩანდა ეს ნანგრევები, ადამიანური პატივმოყვარეობის ეს ნაკვალები, ღვთისმოშიშობისა და ერთგულების ნიშანი, ისეთი გამოფიტული, დამსხვრეული და გაჭუჭყიანებული, და ისეთი უდაბური, მიტოვებული და ყველასგან დავიწყებული იყო ეს არემარე, უნებურად თავი რაღაც პრეისტორიული ტომის სამარხის ახალადმოძრენად წარმოვიდგინე, რომლის სახელწოდებაც კი აღარ შემორჩენილიყო.

ამ ფიქრებში ჩაღრმავებულს სულ მიმავიწყდა ყველა უწინდელი მოვლენა, რაც ამ ყოველივეს უძლოდა წინ და უცებ გავიფიქრე: „ნეტავ აქ როგორ მოვხვდი?“

წუთიერი განსჯის შემდეგ ამოხსნაც ვიპოვე (თუმცაღა საკმაოდ დამთრგუნველი) იმ იდუმალებისა, რომლითაც შეამკო ჩემმა ფანტაზიამ ნანახი და მოსმენილი. მე ავად ვიყავი.

გამახსენდა, როგორ მტანჯავდა საშინელი ციებ-ცხელება და ჩემი ოჯახის წევრების ნაამბობის თანახმად, ბოდვის დროს როგორ ვითხოვდი თავისუფლებასა და სუფთა ჰაერს, ახლობლები კი ძალით მაჩერებდნენ ლოგინში, სახლიდან გაქცევის საშუალებას არ მძლევედნენ. მაგრამ მაინც მოვატყუე ფხიზელი ექიმები და ნათესავები და ახლა აღმოვჩნდი – მაგრამ სად? ეს არ ვიცოდი. აშკარა იყო, რომ მშობლიურ ქალაქს ძალიან დავშორდი – ძველებურ განთქმულ ქალაქ კარკოზას.

არაფერი არ მიანიშნებდა აქ ადამიანის არსებობაზე. არ ჩანდა კვამლი, არ ისმოდა ძაღლის ყეფა, ძროხების ღმუილი, მოთამაშე ბავშვების ჟრიამული – არაფერი, სევდიანი სასაფლაოს გარდა, რომელიც იდუმალებითა და შიშით იყო მოცული, ჩემი ავადმყოფური წარმოსახვის მიერ შექმნილი. ნუთუ ისევ ცხელება მეწყება და არავისგან არ უნდა ველოდო შველას? ხომ არ იყო ყოველივე გარემომცველი ჩემი სიგიჟის პირმშო? ცოლისა და შვილების სახელებს ვყვიროდი, მათ უხილავ ხელებს ვეძებდი, ქვების ნატეხებს შორის ვიკვლევდი გზას დამჭუნარ, გათელილ ბალახში.

ხმაურმა მაიძულა უკან მივბრუნებულიყავი. ველური ნადირი მიახლოვდებოდა – ფოცხვერი.

„თუ ისევ ციებ-ცხელება მომივლის აქ, ამ უდაბნოში, ფოცხვერი გამგლეჯს“, – გამიელვა თავში.

ხმამაღალი ღრიალით გავიქეცი მისკენ. ფოცხვერმა უშფოთველად ჩამირბინა გვერდზე, გაშლილი ხელის მანძილზე, და ერთ-ერთი ლოდის უკან თვალს მიეფარა. ერთი წუთის შემდეგ იქვე ახლოს, თითქოს მიწიდან ამოყო თავი, ადამიანი გამოჩნდა – დამრეც ფერდობზე მოაბიჯებდა, რომლის წვერი ოდნავ უფრო მაღლა იყო გარემომცველ გორებზე. მალე მთელი ფიგურაც ამოიშართა ნაცრისფერი ღრუბლის ფონზე. მის შიშველ სხეულს ტყავის შესამოსელი ფარავდა. დაუვარცხნელი თმა ბუწუწებდა ეყარა, გრძელი წვერი გასწეწვოდა. ერთ ხელში მშვილდ-ისარი ეჭირა, მეორეში – ანთებული ჩირაღდანნი, რომელიც გზად შავ კვამლს ტოვებდა. კაცი

წყნარად და ფრთხილად მოდიოდა, თითქოს მაღალი ბალახის ქვეშ ჩამალულ საფლავში ჩავარდნის ეშინოდა. უცნაურმა ხილვამ გამაოცა, მაგრამ არ შემაშინა და პირდაპირ მისკენ წასული მივესალმე:

– ღმერთმა დაგლოცოს! თითქოს არ გაუგონიაო, თავისი გზა გააგრძელა ისე, რომ ნაბიჯიც არ შეუწელებია.

– კეთილო უცნობო, – განვაგრძე მე, – მე ავად ვარ, დავიკარგე. გთხოვ, კარკოზისკენ გზა მასწავლე.

კაცმა გვერდით ჩამიარა და უკვე მოშორებულმა, ველური სიმღერა ააგუგუნა, ჩემთვის უცნობ ენაზე. ნახევრად დამპალი ხის ტოტიდან ავისმომასწავებლად დაიკვივლა ბუმ, სადღაც შორს მეორეც გამოეხმაურა. ზემოთ ავიხედე და ღრუბლების ნაგლეჯებს შორის აღდებარანი და ჰიადები დავინახე. ყველაფერი იმაზე მიანიშნებდა, რომ დადამდა: ფოცხვერი, კაცი ჩირაღდნით, ბუ. თუმცა მე მათ ისე მკაფიოდ ვხედავდი, როგორც დღისით – ვარსკვლავებსაც კი ვჭკრეტდი, თუმცა კი გარშემო არ ყოფილა ღამის წყვილი! დიახ, ვხედავდი, მაგრამ თვითონ უხილავი ვიყავი და უხმო. ნეტავ რა წყევლამ მომაჯადოვა?

მაღალი ხის ფესვებზე ჩამოვჯექი, რომ საკუთარი მდგომარეობა გამეაზრებინა. ახლა დავრწმუნდი, რომ შევიშალე, თუმცა ამ მოსაზრებაშიც რჩებოდა ადგილი ეჭვებისთვის. ციებ-ცხელების არავითარი ნიშანი არ მქონდა. უფრო მეტიც, აქამდე განუცდელი ძალისა და სიმხნევის ნაკადი მეწვია, ერთგვარი სულიერი და ფიზიკური აღზნება. ჩემი ყველა გრძნობა უჩვეულოდ იყო გამძაფრებული: ჰაერის სიმკვრივეს ვგრძნობდი, სიჩუმისა მესმოდა.

მძლავრი ხის შიშველ ფესვებს, რომლის ტანსაც მივეყრდენი, გრანიტის ფილა ჩაეხუტებინათ, რომლის ერთი ბოლო ხის ქვეშ ჩაზრდილიყო. ფილა ამგვარად ოდნავ გადარჩენოდა წვიმებსა და ქარებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, გვარიანად დაზიანებულიყო. წახნაგები მოზღაგვებოდა, კუთხეები მოსტეხვოდა, ზედაპირი ბზარებსა და ამონატეხებს დაემახინჯებინა. ეს ფილა ერთ

დროს ალბათ საფლავის თავზე იდგა, რომლიდანაც მრავალი საუკუნის წინ ხე ამოიზარდა. ხარბმა ფესვებმა დიდი ხანია დააცარიელეს სამარე, საფლავის ქვა კი ტყვედ ჩაიგდეს.

მოულოდნელად ქარმა ლოდინდან გამხმარი ფოთლები და ტოტები გადაყარა: ამობურცული წარწერა დავინახე და დავიხარე, რომ წამეკითხა. ღმერთო მოწყალეო! ჩემი სრული სახელი! ჩემი დაბადების თარიღი! ჩემი გარდაცვალების თარიღი! მეწამული ფერის ჰორიზონტალური სხივი დაეცა ხის ღეროს იმ მომენტში, როცა დაზაფრული ფეხზე წამოვხტი. აღმოსავლეთით მზე იღვიძებდა. ხესა და უშველებელი ალისფერი მზის დისკოს შორის ვიდექი – მაგრამ ხის ტანზე არ ჩანდა ჩემი ჩრდილი!

დაღლილი მგლის ხროვა ალიონს ეგებებოდა. მგლები საფლავის გორაკებსა და ბორცვებზე სათითაოდ და მცირე გუნდებად ისხდნენ; მთლად ჰორიზონტამდე

ვხედავდი მხეცებს. და მივხვდი, რომ უძველესი და განთქმული ქალაქ კარკოზის ნანგრევებს შორის ვიდექი!

ასეთია ფაქტები, რომლებიც მედიუმ ბეიროულუს ჰოსიებ ალარ რობარდინის სულმა გადმოსცა.

## ამაო გარჯა

ჰენრი სეილორი, რომელიც ანტონიო ფინჩთან ჩხუბში მოკლეს ლივინგსტონში, ცინცინატიის გაზეთ „კომერშელის“ კორესპონდენტი იყო. 1859 წელს ერთმა სახლმა ვაინ-სტრიტზე ცინცინატიში ადგილობრივ მცხოვრებლებს ინტერესი გაუჩინა, რადგან, როგორც ამბობდნენ, ეს დაცარიელებული შენობა ღამდამობით უცნაური სანახაობებითა და ხმებით ივსებოდა. როგორც ახლომახლო მცხოვრები ბევრი ღირსპატივსაცემი პიროვნება ადასტურებდა, ეს ყველაფერი ვერ ეთანხმებოდა ზოგიერთი ადამიანის ვარაუდს, თითქოს სახლი მოჯადოებული იყო. ტროტუარზე თავმოყრილი ბრბო ხედავდა, როგორ შედიოდნენ და გამოდიოდნენ სახლში უცნაური გარეგნობის არსებანი. ვერავინ ამბობდა, ზუსტად სად ჩნდებოდნენ, საიდან შედიოდნენ შენობაში, საიდან მიდიოდნენ სადარბაზო შესასვლელისკენ, და ვერც იმას, სად უჩინარდებოდნენ გარეთ გამოსულნი. მიუხედავად იმისა, რომ ყოველი ადამიანი დარწმუნებული იყო იმაში, რასაც საკუთარი თვალით ხედავდა, ერთნაირი აზრის მქონე ორ კაცს მაინც ვერ ნახავდით, ყველა განსხვავებულად აღწერდა ამ არსებებს. ზოგიერთმა გულადმა ცნობისმოყვარემ რამდენჯერმე გაბედა ფეხის გადადგმა სახლის ზღურბლზე, რათა გზა გადაეღობა მათთვის, ან, თუნდაც ახლოდან შეეხედა ამ არსებებისთვის. როგორც ამბობენ, ამ გამბედავმა ადამიანებმა ვერ შეძლეს საერთო ძალით შეემტვრიათ კარი – რაღაც უხილავმა

ძალამ კიბიდან უკანვე გადმოტყორცნა ისინი და მძიმედ დაშავდნენ. კარი კი ამის შემდეგ უმაღლეს იღებოდა. როგორც ჩანდა, თავისით, რათა შიგნით შეეშვა ან გარეთ გამოეშვა რომელიმე აჩრდილი-სტუმარი. ამ სახლს როსკოუ ჰაუსი ერქვა და ამ გვარის ოჯახი რამდენიმე წელს ცხოვრობდა, შემდეგ კი ერთიმეორის მიყოლებით გაქრნენ და უკანასკნელი მათგანი ერთი დედაბერი იყო. გავრცელდა ხმები რაღაც მძიმე ბოროტმოქმედებასა და მკვლელობებზე, მაგრამ სინამდვილე ვერასოდეს ვერავინ დაადგინა.

ერთ დღეს, როდესაც საყოველთაო მღელვარებამ პიკს მიაღწია, სეილორი „კომერშელის“ რედაქციაში გამოცხადდა დავალების მისაღებად. მან რედაქტორისგან მიიღო ბარათი, სადაც ეწერა: „წადით და ერთი ღამე გაატარეთ მარტომ მოჯადოებულ სახლში ვაინსტრიტზე და თუ რაიმე საყურადღებო მოხდა, დაწერეთ წერილი ორ სვეტზე“. სეილორი დაემორჩილა უფროსს, რადგან ვერაფრით შეელოდა თავის ადგილს ამ გაზეთში.

მას შემდეგ, რაც პოლიციას თავისი განზრახვა ამცნო, სეილორი უკანა ფანჯრიდან დაბნელებამდე შევიდა შენობაში, გაიარა დაცარიელებული ოთახები, რომლებშიც ავეჯიც კი არ იდგა, მტვერს დაეფარა იქაურობა, და ბოლოს სასტუმრო ოთახში

მოთავსდა ერთ ძველ დივანზე, რომელიც მეორე ოთახიდან გამოათრია. ყურადღებით შეათვალიერა ირგვლივ ჩამოწოლილი სიბნელე. ვიდრე სულ ჩამოზნელებოდა, ცნობისმოყვარეთა ბრბო კვლავ

შეგროვდა ქუჩაში და ჩვეულებისამებრ იცდიდა, შიგადაშიგ ვინმე უნდობლობას იჩენდა და სითამამეს იმით ამჟღავნებდა, რომ დამცინავ რეპლიკას წამოისროდა ან უწმაწურ ფრაზას წამოიძახებდა. არავინ იცოდა, რომ სახლში დაინტერესებული ჟურნალისტი იყო ჩასაფრებული. იგი ვერ ბედავდა სინათლის ანთებას, უფარდო ფანჯრები მაშინვე გასთქვამდნენ მას და ველარ შეძლებდა თავი დაეღწია გარეთ მყოფი ბრბოსგან. გარდა ამისა, პატიოსნება ნებას არ აძლევდა ისეთი რამ ჩაედინა, რაც შთაბეჭდილებას გაუწელებდა. და არც ის სურდა, ვითარება შეეცვალა, რომელშიც შესაძლო თავგადასავალი უნდა გამოვლენილიყო.

გარეთ უკვე ბნელოდა, ქუჩიდან შემოჭრილი სინათლე სუსტად ანათებდა იმ ოთახის ნაწილს, სადაც იგი იმყოფებოდა. მან გააღო ყველა კარი მთელ სახლში, მაღლაც და დაბლაც, თუმცა ჩაკეტილი იყო გარეთ გამავალი კარები. ქუჩაში ატეხილმა მოულოდნელმა შეძახილებმა იგი აიძულა ფანჯარასთან მისულიყო და გარეთ გაეხედა. აშკარად დაინახა გაზონებზე გადმოსული, სახლისკენ მომავალი ვიღაც კაცის ფიგურა – დაინახა, როგორ ამოვიდა იგი კიბეებზე, შემდეგ შენობის წინგამოწეულმა ნაწილმა შთანთქა ამ კაცის ლანდი. გაისმა სადარბაზო კარის გაღებისა და დახურვის ხმა. მერე გაიგონა სწრაფი, მძიმე ნაბიჯები დერეფანში – მოესმა, როგორ ამოიარეს ამ ნაბიჯებმა კიბეები – გაიგონა მათი ხმა იატაკზე მის თავზე მდებარე ოთახში.

სეილორმა მაშინვე რევოლვერი იძრო, ხელის ფათურით აიარა კიბე და ქუჩიდან შემოსული

შუქით განათებულ ოთახში შევიდა, საიდანაც ნაბიჯების ხმა შემოესმა. ოთახში არავინ დახვდა, მაგრამ ნაბიჯების ხმა მეზობელი ოთახიდან შემოესმა და იქით გაემურა. ამ ოთახშიც სრული სიბნელე და მდუმარება სუფევდა. უცბად ფეხი იატაკზე დაგდებულ რაღაც საგანს წამოჰკრა, დაიჩოქა და ხელი გადაუსვა ამ საგანს. ეს იყო ადამიანის თავი – უფრო ზუსტად, ქალის თავი. კაცმა ყველანაირად მოთოკა ნერვები, თმაში ხელი ჩასჭიდა თავს, მაღლა ასწია და ნახევრად განათებულ ქვემო ოთახში დაბრუნდა, ფანჯარასთან მივიდა და ყურადღებით შეათვალიერა თავი. ვიდრე ამ საქმით იყო გართული, იგრძნო როგორ სწრაფად გაიღო და დაიხურა გარეთა კარი და ირგვლივ ფეხების ტყაპატყუპი შემოესმა. თვალი მოაცილა შემზარავ თავს, აიხედა და დაინახა, რომ გარშემორტყმული იყო მამაკაცებისა და ქალების ბუნდოვანი ფიგურებით, ოთახი სავსე იყო ხალხის ბრბოთი. სეილორს ისინი გარედან შემოჭრილი ადამიანები ეგონა.

„ბატონებო და ქალბატონებო, – გულგრილად წარმოთქვა მან, – თქვენ მე საეჭვო ვითარებაში მხედავთ, მაგრამ...“ უეცრად მისი ხმა გამაყრუებელმა ხარხარმა ჩაახშო – ასეთი ხარხარი ალბათ მხოლოდ საგიჟეთში შეიძლება მოისმინოს კაცმა. მის გარშემო მყოფმა არსებებმა ხელები გამოიშვირეს საგნისკენ, რომელიც ჟურნალისტს ხელში ეჭირა, უეცრად თავი ხელიდან გაუვარდა და მათ ფეხებთან გაგორდა, ამის დანახვაზე

ბრბოს ხორხოცმა კიდევ უფრო იმატა. მათ ცეკვა-თამაში გააჩაღეს ამ თავის გარშემო და თან უცნაურად შლიდნენ ხელებს, წარმოუდგენლად იკლაკნებოდნენ. ფეხისკვრით გააგორ-გამოაგორეს თავი ოთახში ერთი

კედლიდან მეორე კედლამდე, თან ყირაზე გადადიოდნენ, რათა ერთმანეთისთვის დაესწროთ და ფეხი გაეკრათ თავისთვის, ყურისწამლებად წიოდნენ, კიოდნენ უწმაწური სიმღერების ნაწყვეტებს, იგინებოდნენ და ილანძვებოდნენ. ნაგვემ-ნაცემი თავი კი ოთახში დაქროდა და ცდილობდა როგორმე გაქცეოდა მათ წიხლებს. ბოლოს იგი დარბაზისკენ გამავალ კარებში გავარდა და ყველა უკან მიჰყვა. კარი საშინელი გრუხუნით დაიხურა. სეილორი მარტო დარჩა სამარისებურ სიჩუმეში.

მან ფრთხილად ჩაიდო ჯიბეში რევოლვერი, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში ხელში ეჭირა, ფანჯარასთან მივიდა და გარეთ გაიხედა. ქუჩაში აღარავინ ჩანდა და დუმილი გამეფებულიყო, ნათურები ჩამქრალიყო; შენობათა სახურავები და საკვამლე მიწები მკვეთრად მოჩანდა ცის კიდურთან მოციალე სინათლის ფონზე. სახლიდან გამოვიდა, კარი ადვილად გაიღო, როგორც კი ხელი შეახო, და „კომერშელის“ რედაქციისკენ გაეშურა. რედაქტორი ისევ თავის კაბინეტში იჯდა და მაგიდაზე თავდადებულს ეძინა. სეილორმა გააღვიძა და უთხრა:

– ვიყავი იმ მოჯადოებულ სახლში.

რედაქტორი უაზროდ მიაჩერდა, თითქოს ჯერ კიდევ ვერ გამოფხიზლებულიყო.

– ღმერთო ჩემო! – წამოიძახა მან. – ეს შენ ხარ, სეილორ?

– დიახ... და რა?..

რედაქტორს პასუხი არ გაუცია, ისევ გაუნძრევლად მისჩერებოდა.

– როგორც ჩანს, მე იქ მთელი ღამე გავატარე, – თქვა სეილორმა.

– მითხრეს, უჩვეულო სიწყნარე ყოფილა თურმე იქ, – თქვა რედაქტორმა, თან ხელში კალამს ათამაშებდა. – მოხდა რამე?..

– არა, სრულიად არაფერი.



# ცივი საღამო

აი, რა მიაშობო განსვენებულმა ბენსონ ფოულიმ, სან-ფრანცისკოს მკვიდრმა:

„1881 წლის ზაფხულში შევხვდი ვინმე ჯეიმზ ჰ. კონვეის, ტენესის შტატის ქალაქ ფრანკლინის მცხოვრებს. იგი სან-ფრანცისკოში ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ჩამოვიდა, გულგატეხილი იყო და სარეკომენდაციო წერილი გადმომცა ლორენს ბარტინგისგან. ბარტინგს ვიცნობდი როგორც სამოქალაქო ომის პერიოდში ფედერალური არმიის კაპიტანს, ომის დამთავრებისთანავე ფრანკლინში დასახლდა და დროთა განმავლობაში, როგორც ჩანდა, კარგადაც მოიკიდა ფეხი, როგორც ადვოკატმა. ბარტინგი ყოველთვის პატიოსან და ალაღმართალ კაცად მიმაჩნდა და მისი მეგობრული სიტყვები, რომლითაც ბარათში კონვეი ჰყავდა დახასიათებული, საკმაო საფუძველი იყო იმისთვის, რომ ეს ადამიანი ჩემი ნდობისა და პატივისცემის ღირსად ჩამეთვალა. ერთ დღეს, სადილობისას, კონვეიმ მიაშობო, როგორ მისცეს ერთმანეთს სიტყვა მან და ბარტინგმა, ვინც პირველი წავიდოდა ამ ქვეყნიდან, საიქიოდან რაიმე უტყუარი ნიშანი მოეწვდინა მეორისთვის, თუ ეს შესაძლებელი იქნებოდა. როგორ უნდა გაეკეთებინათ ეს, ამის გადაწყვეტა გარდაცვლილს მიანდეს, ჯობდა მას იმ შესაძლებლობის გამოყენებით ემოქმედა, რასაც მას შეცვლილი სიტუაცია შეუქმნიდა.

რამდენიმე კვირა რომ გავიდა ამ საუბრის შემდეგ, რომელშიც კონვეიმ ბარტინგთან დადებული შეთანხმება გამაცნო, შევხვდი კიდევ მას. იგი ნელი ნაბიჯით ჩამოდიოდა მონტგომერის ქუჩაზე და გონებაგაფანტულ იერზე ეტყობოდა, რომ ღრმა ფიქრებში იყო წასული. ცივად მომესალმა, მარტო თავი დამიქნია და გვერდით ისე ჩამიარა, რომ ხელგაწვდილი დავრჩი შუა ქუჩაში, გაოცებული და, რა თქმა უნდა, ნაწყენი.

მეორე დღეს ისევ გადავაწყდი მას სასტუმრო „პალასის“ ჰოლში და როგორც კი შევატყვე, რომ გუშინდელივით აპირებდა თავისი უზრდელობის გამეორებას, კარის ზღურბლზე წინ გადავუდექი, მივესალმე და საკმაოდ მკვახედ მოვთხოვე, აეხსნა თავისი უცნაური საქციელი. წამით შეყოყმანდა, მერე პირდაპირ თვალეში შემომხედა და მითხრა:

- არა მგონია, ბატონო ფოული, უფლება მქონდეს, კვლავაც ვიქონიო თქვენი მეგობრობის იმედი, რაკი თავად ბატონმა ბარტინგმა დაივიწყა ჩემ მიმართ თავისი კეთილგანწყობა, მიზეზს ვერ მოგახსენებთ. თუ თქვენთვის ჯერ არაფერი შეუტყობინებია, ალბათ მალე მოგაწვდენთ ხმას.
- კი, მაგრამ, – მივუგე მე, – მე ჯერ არაფერი მსმენია ბატონი ბარტინგისგან!
- როგორ თუ არაფერი გსმენიათ! – გაიმეორა მან, თან სახეზე განცვიფრება აესახა. – როგორ

გეკადრებათ. ბარტინგი აქ გახლავთ. მე იგი გუშინ ვნახე. ათი წუთით ადრე, სანამ თქვენ შეგხვდებოდით. მე თქვენ ზუსტად ისე მოგესალმეთ, როგორც ის მომესალმა. მე მას კვლავ შევხვდი ამ თხუთმეტიოდე წუთის წინ, და ზუსტად ისე მომესალმა, მხოლოდ თავი დამიკრა და გვერდით ჩამიარა. მე დიდხანს მემახსოვრება თქვენი

სიკეთე, რაც ჩემდამი გამოიჩინეთ. მშვიდობიანი დილა გქონდეთ, ჩემო ბატონო, ან თუ ეს უფრო მეტ სიამოვნებას მოგანიჭებთ, სულ კარგად ბრძანდებოდეთ.

ეს ყველაფერი უცნაურ თავაზიანობად და ზრდილობიან ქცევად მეჩვენა ბატონი კონვეის მხრიდან.

რადგან სიტუაციათა დრამატიზება და ლიტერატურული ეფექტი არ წარმოადგენს ჩემს მიზანს, ამიტომ უბრალოდ გეტყვით, რომ ბარტინგი მკვდარი გახლდათ. იგი გარდაიცვალა ნეშვილში ოთხი დღით ადრე ჩვენს საუბრამდე. მეც ავდექი და მივადექი ბატონ კონვეის, მოვახსენე ჩვენი მეგობრის გარდაცვალების ამბავი და ვაჩვენე გაზეთები, სადაც ამის შესახებ ეწერა. მან ისე შეიცხადა, რომ თავს უფლება ვეღარ მივეცი ეჭვი შემეტანა მის გულწრფელობაში.

– წარმოუდგენელი ამბავია, – ჩაილაპარაკა მან ჩაფიქრებულმა, – როგორც ჩანს, შემეშალა და სხვა ვიღაც მეგონა ბარტინგი. და იმ კაცის ცივი სალამი უბრალოდ იმას ნიშნავდა, რომ მიხვდა

ჩემს შეცდომას, მაგრამ არ შეიმჩნია. მართლაც, ახლა მახსენდება, რომ მას არ ჰქონდა ულვაშები, ბარტინგს კი ჰქონდა!

– უეჭველია, სხვა იქნებოდა, – დავუდასტურე მე და ამ თემაზე მას შემდეგ აღარასოდეს გვისაუბრია, მაგრამ მე ჯიბეში მედო ბარტინგის ფოტოსურათი, რომელიც მისი ქვრივის მიერ გამოგზავნილ ბარათს ახლდა თან. ეს ფოტო გარდაცვალებამდე ერთი კვირით ადრე იყო გადაღებული და მასზე ბარტინგს ულვაშები არ ჰქონდა.

# ფილოსოფოსი პარკერ ადერსონი

- თქვენი სახელი, ტყვევ?!
  - რადგან მას ხვალ დილას განთიადზე უნდა გამოვეთხოვო, რაღა აზრი აქვს დამალვას, პარკერ ადერსონი.
- თქვენი წოდება...
- ჩვენი არმიის ოფიცრებს ძნელად იმეტებენ ისეთი სარისკო საქმისთვის, როგორიც ჯაშუშობაა. სერჟანტი გახლავართ.
- რომელი პოლკიდან?
- მაპატიეთ, მაგრამ ჩემი პასუხით შეიძლება მიხვდეთ, რა ჯარის ნაწილები დგანან თქვენ წინ. მე კი აქ იმისთვის უფრო გეახელით, რომ სწორედ ასეთი ცნობები ჩამეგდო ხელთ, თანაც თქვენთვის არ ვაპირებდი მომეხსენებინა.
- მახვილგონიერება ნამდვილად არ გაკლიათ.
- თუ ხვალამდე მოთმინება გეყოფათ, დილით საკმაოდ მოსაწყენ არსებად მოგეჩვენებით.
- რა იცით, რომ ხვალ დილას მოკვდებით?
- ღამით შეპყრობილი ჯაშუშისთვის ასეა დაწესებული, დილით უნდა დაისაჯოს. ეს ხომ უკვე ჩვეულებაა.

გენერალს უცებ დაავიწყდა, რომ კონფედერატთა არმიის მაღალი ჩინის მქონე ოფიცრს ღირსების უმაღლესი გრძნობა მოეთხოვებოდა და გაიღიმა. მაგრამ ეს ღიმილი არც მისი გულკეთილობის გამომხატველი ყოფილა და არც გადამდები, რადგან იქ მყოფთაგან არავის გაღიმებია – არც დატყვევებულ ჯაშუშს, რომელმაც გენერალს ეს ღიმილი მოჰგვარა, და არც შეიარაღებულ გუშაგს, რომელმაც ტყვე კარავში შემოიყვანა, ახლა ოდნავ მოშორებით იდგა და თვალს არ აცილებდა ტუსაღს, სანთლის ალით განათებულ მის სახეს. გუშაგს საერთოდაც არ ევალეობდა გაღიმება. საუბარი კვლავ განახლდა.

- მაშასადამე, თქვენ აღიარებთ, რომ ჯაშუში ხართ, შემოიპარეთ ჩვენს ბანაკში კონფედერატთა არმიის ჯარისკაცად გადაცმული, რათა ხელთ გეგდოთ საიდუმლო ინფორმაცია ჩვენი ჯარის ნაწილებისა და მათი განლაგების შესახებ?
- ძირითადად რაოდენობა მაინტერესებდა. მათი განლაგება ჩემთვის უკვე ცნობილი იყო. იგი სავალალოა.

გენერალს კვლავ ღიმილი მოერია, გუშაგის სახეზე კი, რომელსაც ღრმად ჰქონდა გამჯდარი პასუხისმგებლობის გრძნობა, სიმკაცრე აისახა. ჯაშუში ხელში თავის რუხ, ფარფლებჩამოყრილ ქუდს ატრიალებდა და ზანტად ათვალიერებდა იქაურობას. ირგვლივ სისადავე იგრძნობოდა. ჩვეულებრივი კარავი ერთადერთი სანთლით იყო განათებული, რომელიც ხიშტის ფუძეში ჩაესვათ, ხიშტი კი უბრალო, ფიჭვის ხის

ტაბლაზე იყო დარჭობილი, რომელსაც გენერალი უჯდა, რაღაცას გულმოდგინედ წერდა და თითქოს მიავიწყდა კიდევ თავისი სტუმარი. მიწურ იატაკზე ძველი, ჭუჭყიანი ფარდაგი ეფარა. კარავში კიდევ იყო ძველი ტყავის ჩანთა, მეორე სკამი და ერთად დახვეული საბნები. შემოსასვლელთან აღმართულ სვეტში ჩარჭობილ ლურსმანზე ეკიდა ხმალი, დამბაჩა თავისი ბუდით და დიდი სანადირო დანა. ამ არასამხედრო იარაღზე გენერალი ხშირად ამბობდა, იმ მშვიდობიან დღეებს მახსენებს, როდესაც სამოქალაქო პირი ვიყავიო.

ქარიშხლიანი ღამე იყო. კოკისპირული წვიმა კარვებს ხმაურით ეხეთქებოდა და დოლის ბრაგუნს ჰგავდა. როდესაც კარავს გაშმაგებული გრიგალი აწყდებოდა, ძელებითა და ბაწრებით შეკოწიწებული ნაგებობა ერთიანად ირყეოდა.

გენერალი წერას მორჩა, ქაღალდი შუაზე გაკეცა და ადერსონის მცველ ჯარისკაცს მიმართა:

- ტასმან, ეს წერილი გენერალ-ადიუტანტს წაუღე და ისევ დაბრუნდი.
- მერედა ტყვეს რა ვუყოთ, გენერალო? – ჰკითხა ჯარისკაცმა, ხელით სამხედრო სალამი აიღო და თვალეზით გენერალს დატუსაღებულზე მიანიშნა.
- ის გააკეთე, რაც გითხარი, – მოკლედ მოუჭრა გენერალმა.

ჯარისკაცმა ბარათი აიღო და კარვიდან გავიდა. გენერალი კლავერინგი ისევ ტყვეს მიუბრუნდა, თვალეზში ჩახედა და უთხრა:

- მძიმე ღამეა, ჩემო კარგო.
- დიახ, ჩემთვის.
- თუ მიხვდით, რა დავწერე იმ ბარათში?
- ალბათ რაიმე საინტერესო, საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენის არ ვარ, მაგრამ ვფიქრობ, მასში მეც მახსენეთ.
- დიახ, ეს გახლავთ განკარგულება იმის თაობაზე, რომ გაიცეს თქვენი დახვრეტის ბრძანება და ჯარის ნაწილებს განთიადზე წაუკითხონ. გარდა ამისა, სამხედრო პოლიციის უფროსსაც მივეცი მითითებები, როგორ უნდა ჩატარდეს მთელი ეს ცერემონია.
- იმედი მაქვს, გენერალო, ყველაფერი კარგად ჩაივლის, რადგან, მოგეხსენებათ, მაგ სანახაობას მეც უნდა დავესწრო.
- იქნებ თქვენც გაქვთ რაიმე წინადადება ამ ცერემონიის ჩატარებასთან დაკავშირებით. მაგალითად, მღვდელთან შეხვედრა გინდათ?
- არა მგონია, ამან სიმშვიდე გამიხანგრძლივოს.
- ღმერთო ჩემო! ნუთუ სიკვდილსაც ოხუნჯობით გინდათ შეხვდეთ? იცით კი, რა სერიოზული რამ არის სიკვდილი?

– რა გითხრათ, ჩემს ცხოვრებაში ჯერ არც ერთხელ არ მოვმკვდარვარ. გამიგონია, რომ სიკვდილი სერიოზული მოვლენაა, მაგრამ არასოდეს მსმენია მის შესახებ იმ ხალხისგან, ვინც თვითონ გამოსცადა ეს.

გენერალი გაჩუმდა. აშკარა იყო, ამ კაცმა ინტერესი აღუძრა, შეიძლება ართობდა კიდევ, აქამდე არასოდეს შეხვედრია ასეთ პიროვნებას.

- იცით, სიკვდილი, – თქვა მან ბოლოს, – ეს ხომ დანაკარგია, იმ ბედნიერების დანაკარგი, რაც ჩვენ გაგვაჩნია, და უფრო მეტი ბედნიერების იმედის დანაკარგიც.
- ისეთი დანაკარგი, რომელსაც ჩვენ ვერ შევიგრძნობთ, ალბათ იოლი გადასატანია და არც შეიძლება რაიმე წინათგრძნობა გაგვაჩნდეს მის მიმართ. თქვენ ალბათ დაჰკვირვებხართ, გენერალო, რომ არც ერთ მიცვალებულს, რომელთა გვამებითაც მოფენილია თქვენი ჯარისკაცული ღირსების გზა, სახეზე არ ჰქონია აღბეჭდილი სინანულის რაიმე ნიშანი.
- თუ სიკვდილი არ აჩენს სინანულის გრძნობას, მაშინ სიკვდილთან მიახლოება და თავად კვდომა ნამდვილად ამაზრზენი გრძნობა უნდა იყოს იმისთვის, ვისაც საერთოდ არ დაუკარგავს შეგრძნების უნარი.
- რასაკვირველია, ტკივილი ცუდი შეგრძნებაა. მე თვითონაც მეტ-ნაკლებად მიჭირს ხოლმე მისი გაძლება. მაგრამ რაც უფრო დიდხანს ცოცხლობს კაცი, მით უფრო ხშირად გრძნობს ტკივილს. ის, რასაც თქვენ კვდომის პროცესს უწოდებთ, ტკივილის უკანასკნელი შეგრძნება გახლავთ და მეტი არაფერი. არავითარი კვდომის შეგრძნება სინამდვილეში არ არსებობს. მაგალითად, მე რომ გაქცევა ვცადო, თქვენ ხომ ამოიღებთ რევოლვერს, რომელიც უბეში გაქვთ დამალული და...

გენერალი გაწითლდა, მერე ხმადაბლა გაიცინა, თეთრად მოქათქათე კბილები გამოაჩინა, ლამაზად მოყვანილი თავი ოდნავ წინ დახარა და ხმა არ ამოუღია. ჯაშუშმა განაგრძო:

- მესვრით და ტყვიაც ჩემს მუცელში აღმოჩნდება. დავეცემი, თუმცა მაშინვე არ მოვკვდები. ნახევარსაათიანი წამების შემდეგ გავთავდები. მაგრამ ამ ნახევარი საათის ნებისმიერ მომენტში მე ან ცოცხალი ვარ, ან მკვდარი, გარდამავალი პერიოდი არ არსებობს. იგივე მოხდება ხვალ დილასაც, როდესაც ჩამომახრჩობენ. ვიდრე შეგრძნების უნარი მექნება, ცოცხალი ვიქნები. მოვკვდები და ეს უნარიც აღარ მექნება. გამოდის, რომ ბუნებას ამ შემთხვევაში ყველაფერი ჩემ სასარგებლოდ გადაუწყვეტია, დიახ, ყველაფერი უბრალოდ და მოწყობილი, – დაუმატა მან ღიმილით, – მაგრამ არ ვიცი, ღირს კი ამ ყველაფრის გაგება ჩამოხრჩობად?

ჯაშუშის ამ სიტყვებს ხანგრძლივი დუმილი მოჰყვა. გენერალი გაუნძრევლად იჯდა და ტყვეს მისჩერებოდა, თითქოს მისი ნათქვამი არც კი გაუგონია. თვალებით მისჩერებოდა, მაგრამ გონებაში ალბათ სულ სხვა აზრები უტრიალებდა. მცირე ხნის შემდეგ ოხვრა აღმოხდა, შეაჟრჟოლა, და თითქოს საშინელი სიზმრისგან გამოფხიზლდაო, ოდნავ გასაგონად წაიჩურჩულა:

– სიკვდილი საშინელებაა! – და ეს წარმოთქვა კაცმა, რომელიც ირგვლივ სიკვდილს თესავდა.

ქარი თითქოს ჩადგა, ღამეული იდუმალემა დაეუფლა ფიქრებს და ზებუნებრივი შიშის ელფერი გადაეკრა. შეიძლება ამ ყველაფერში წინათგრძნობის ძალაც ერია.

– არ ვისურვებდი სიკვდილს, – თქვა გენერალმა, – ამაღამ მაინც.

მას სიტყვის ბოლომდე თქმა არ დასცალდა – თუკი საერთოდ აპირებდა კიდევ რაიმეს თქმას, – კარავში მისი შტაბის ოფიცერი, სამხედრო პოლიციის უფროსი, კაპიტანი ჰასტერლიკი შემოვიდა. მისმა გამოჩენამ გენერალი ფიქრებიდან გამოარკვია. თვალეში უაზრო გამოხედვა გაუქრა.

– კაპიტანო, – თქვა გენერალმა და შემოსულს სამხედრო სალამი დაუბრუნა, – ეს კაცი ჩვენი ნაწილების განლაგებაში შეიპყრეს. იგი იანკების შემოგზავნილი ჯაშუშია, რასაც ადასტურებენ საბუთები, რომლებიც მას ვუპოვეთ. ყველაფერში გამოტყდა კიდევ, როგორი ამინდია გარეთ?

– ქარი ჩადგა, სერ, მთვარემ გამოანათა.

– ძალიან კარგი, წაიყოლეთ რამდენიმე კაცი, გაიყვანეთ ტყვე სერზე და ახლავე დახვრიტეთ.

ჯაშუშმა შემზარავად დაიყვირა. წინ გამოვარდა, კისერზე ძარღვები დაებერა, თვალეები გადმოკარკლა და ხელეები მომუშტა.

– ღმერთო ჩემო! – შეჰყვირა მან ჩახლეჩილი ხმით, – თქვენ ამას არ ჩაიდენთ. ალბათ დაგავიწყდათ, რომ დილამდე ცოცხალი უნდა დამტოვოთ.

– მე თქვენთვის არაფერი მითქვამს დილის შესახებ, – გულგრილად მიუგო გენერალმა, – ეგ თქვენი ფანტაზიის ნაყოფი იყო, თქვენ ახლავე მოკვდებით.

– დიახ, გენერალო, მაგრამ გთხოვთ, გემუდარებით, გაიხსენეთ, მე ხომ უნდა ჩამომახრჩოთ!

სახრჩობელის აღმართვას კი მცირე დრო მაინც სჭირდება, ორი ან ერთი საათი. ჯაშუშებს სახრჩობელაზე კიდებენ, სამხედრო კანონი მე ამის უფლებას მაძლევს, ღვთის გულისთვის, გენერალო, დაფიქრდით... – კაპიტანო, ახლავე შეასრულეთ ჩემი ბრძანება.

ოფიცერმა ხმალი იშიშვლა, ტყვეს მიაჩერდა და უსიტყვოდ ანიშნა გასასვლელისკენ. ტყვე ყოყმანობდა, ოფიცერმა მას საყელოში წაავლო ხელი და ოდნავ უბიძგა. მაგრამ როგორც კი კარვის სვეტს გაუსწორდნენ, გაშმაგებულმა ტყვემ ისკუპა, მარდად სტაცა ხელი სანადირო დანას და ბუდიდან გამოაძრო, კაპიტანს ხელი ჰკრა, გვერდზე მიაგდო, გააფთრებული ეცა გენერალს, დაბლა დააგდო და თვითონაც ზედ დააცხრა. მაგიდა გადაყირავდა, ჭრაქი ჩაქრა და ორთაბრძოლა უკუნ სიბნელეში გრძელდებოდა. სამხედრო პოლიციის უფროსი გენერალს მივარდა დასახმარებლად და თვითონაც მეზრძოლთა შორის გაიხლართა. ისმოდა ტკივილისგან გამოწვეული ღმუილის ხმა. ამ ზედახორაში კარავი ჩამოიქცა და მის ქვეშ კვლავ გრძელდებოდა

ბრძოლა. რიგითი ჯარისკაცი ტასმანი, რომელსაც დავალება შეესრულებინა და დაბრუნდა, კარგად ვერ გაერკვა, რა ხდებოდა. თოფი გადააგდო, დასწვდა დაშლილ კარავს და ამაოდ ცდილობდა მეზრძოლებისთვის მის გადაძრობას. გუშაგმა, რომელიც იქვე ბოლთას სცემდა და სრულიად დარწმუნებული იყო, რომ არ უნდა მიეტოვებინა სადარაჯო, თუნდაც ცა

ჩამოქცეულიყო, თოფი დაცალა. სროლის ხმამ მთელი ბანაკი წამოჰყარა ფეხზე. ატყდა დოლის ბრაგუნი, ბუკმა ყველას თავმეყრა ამცნო და მთვარის შუქზე ყოველი მხრიდან გამოცვივდა ნახევრად ჩაცმული ხალხი; ჯარისკაცები გზადაგზა იკრავდნენ ღილებს და ფაცაფუცით ეწყობოდნენ მწკრივში მეთაურთა შემახილზე. როგორც იქნა დალაგდნენ და ბრძანების მოლოდინში, მხარზე თოფგადებულნი, გაჭიმული იდგნენ, ვიდრე შტაბის ოფიცრებმა და გენერლის პირადმა მცველებმა წესრიგი არ დაამყარეს, მოჩხუბრებს ზედ დამხობილი კარავი გადააძრეს და ძლივს გააშველეს თავპირდასისხლიანებულები, რომლებიც სულს ძლივს ითქვამდნენ.

ერთ-ერთი მათგანი აღარც სუნთქავდა, კაპიტანი მკვდარი იყო, სანადირო დანის ტარი ნიკაპის ქვეშიდან მოუჩანდა, დანის პირი კი ყბის ძვალში ჰქონდა ჩაჭედილი. მას, ვინც დარტყმა მიაყენა, როგორც ჩანს, ძალა აღარ ეყო, რომ იარაღი უკანვე გამოეძრო. მოკლულს ხელში თავისი ხმალი ეჭირა, თანაც, ისე ჩაებლუჯა ვადა, რომ ვერავინ შეძლო მისთვის ხელი გაეშლევინებინა. ხმალიც სულ სისხლით იყო მოსვრილი.

გენერალი ფეხზე წამოაყენეს, მაგრამ ის ისევ უკან გადაიქცა და კვლავ გრძნობა დაკარგა. მაგრად იყო ნაცემი და თან ორი ჭრილობა ჰქონდა მიყენებული ფერდსა და მხარში ხმლით.

ყველაზე იოლად ჯაშუში გადარჩა. მხოლოდ მარჯვენა მკლავი ჰქონდა მოტეხილი, დანარჩენ ადგილებზე კი უბრალო ნაკაწრები ეტყობოდა, მაგრამ იგი გაოგნებული იდგა და ვერ მიმხვდარიყო, რა მოხდა. უცბად ხელიდან დაუსხლტა ჯარისკაცებს, მისთვის რომ დახმარების გაწევას ცდილობდნენ, მოიკუნტა და გაუგებრად რაღაც წაილულლულა, ცემისგან დასივებული, სისხლშემხმარი და გადაფითრებული სახე აბურძგნილი თმის ქვემოდან მიცვალებულივით მოუჩანდა.

– ეს კაცი გიჟი არ არის, – უპასუხა ექიმმა ვიღაცის შეკითხვას და თან ჭრილობების გადასახვევად ბინტებს ამზადებდა, – შიშისგან არის რეტდასხმული, ვინ არის, რას წარმოადგენს იგი?

რიგითი ჯარისკაცი ტასმანი ახსნა-განმარტებას შეუდგა. იგრძნო, რომ თავის გამოჩენის საშუალება მიეცა, ყველაფერს მოჰყვა, არაფერი გამოუტოვებია, რაც კი მნიშვნელოვნად მიაჩნდა მომხდარ ამბავში. როცა თხრობას მორჩა და მზად იყო ისევ თავიდან დაეწყო, დაინახა, რომ ყურს არავინ უგდებდა.

ამასობაში გენერალი გონს მოეგო. იგი იდაყვს დაეყრდნო, მიიხედა-მოიხედა და კოცონთან ჩაკეცილი ჯაშუში რომ დაინახა, რომელსაც თავზე მცველი ედგა, მოკლედ მოჭრა:

– გაიყვანეთ ეს კაცი სერზე და დახვრიტეთ.

– მგონი გენერალს გონება აერია, – თქვა ახლოს მდგომმა ოფიცერმა.

– არაფერიც არ არევია, – მიუგო გენერალ-ადიუტანტმა, – მაგ კაცის შესახებ მე ბარათი გამომიგზავნა. ასეთივე ბრძანება ჰასტერლიკმაც მიიღო, – გენერალ-ადიუტანტმა მოკლულისკენ ანიშნა ხელით, – და, აღვასრულებ კიდეც.

ათი წუთის შემდეგ ფედერალური არმიის სერჟანტი პარკერ ადერსონი, ფილოსოფოსი და გონებაგამჭრიახი კაცი, მთვარით განათებულ სერზე დაჩოქილი ხმადაბლა ევედრებოდა ჯარისკაცებს შეწყალებას. ის ოცმა კაცმა დახვრიტა. როგორც კი შუალამის სუსხიანმა ჰაერმა შთანთქა თოფების უკანასკნელი გამოძახილი, გენერალმა კლავერინგმა, რომელიც კოცონთან იწვა და კოცონის ალის შუქზეც კი ფერმიხდილი ჩანდა, დიდრონი ლურჯი თვალები გაახილა, ალერსიანად მოავლო მზერა ირგვლივ მდგომებს და თქვა:

– რა სიწყნარეა! ექიმმა გენერალ-ადიუტანტს გადახედა მრავლისმეტყველი და შემფოთებული სახით.

დაჭრილმა თვალები დახუჭა და ასე გაუნძრევლად იწვა ერთხანს. შემდეგ სახეზე ნეტარების ღიმილი გადაეფინა და ძლივს გასაგონი ხმით წარმოთქვა:

– ალბათ ეს არის სიკვდილი, – და იმავე წამს სული განუტევა.



# სინდისის ქენჯნა

1

კაპიტანი პეროლ ჰარტროი თავისი საყარაულო უბნის წინა სადარაჯოსთან იდგა და ხმადაბლა ესაუბრებოდა გუშაგს. გზისპირას მდგარი სადარაჯო ორ ნაწილად ყოფდა კაპიტანის ბანაკს, რომელიც ნახევარი მილით იყო უკან დაწეული, თუმცა ამ ადგილიდან არ მოჩანდა. კაპიტანი ჯარისკაცს ალბათ რაღაც მითითებებს აძლევდა, ან შესაძლოა, უბრალოდ ეკითხებოდა, სიმშვიდე თუ იყო ირგვლივ. იმ დროს, როდესაც ისინი საუბარში იყვნენ გართულნი, მათ ბანაკის მხრიდან მომავალი ვიღაც კაცი მიუახლოვდა, უცნობი უდარდელი სტვენით მოაბიჯებდა და გუშაგმა მაშინვე შეაჩერა. ეტყობოდა, სამოქალაქო პირი უნდა ყოფილიყო – ტანმაღალი, უბრალოდ ჩაცმული, რუხი ფერის შინ დამზადებულ სამოსში გამოწყობილი. ეს ტანსაცმელი კონფედერაციის ომის ბოლო წლებში მამაკაცების ერთადერთი შესაძლებელი იყო. თავზე ჩამოეფხატა ფეტრის ქუდი, რომელიც ალბათ ერთ დროს თეთრი იყო, ქუდის ქვეშ კი უწესრიგოდ ჩამოშლილი იყო თმა, რომელსაც მაკრატლისა და სავარცხლის მიკარების კვალიც კი არ ეტყობოდა. სახეც ძალზე თავისებური ჰქონდა, ფართო შუბლი, კეხიანი ცხვირი, ჩაცვნილი ყბები. ხშირ შავ წვერში პირი არც კი უჩანდა, წვერი კი ისევე მოუვლელი ჰქონდა, როგორც თმა.

დიდი თვალები ჰქონდა, გამოხედვა მკაცრი და დაკვირვებული, რაც ხშირად გონიერებასა და ისეთ ნებისყოფაზე მეტყველებს, იოლად რომ ვერ გადაახვევინებ არჩეული გზიდან. ერთი სიტყვით, ეს ისეთი კაცი გახლდათ, რომელსაც ადამიანი ინტერესით შეხედავდა და თვითონაც ესამოვნებოდა მისი შემოხედვა. ხელში ჯოხი ეჭირა, რომელიც ახლახან მოეტეხა ტყეში, გაცვეთილ ფეხსაცმელზე სქელ ფენად ეყარა მტვერი.

„თქვენი საბუთი!“ – უთხრა ფედერალური არმიის ჯარისკაცმა ცოტა არ იყოს ზედმეტად მბრძანებლური კილოთი იმის გამო, რომ იქვე, გზის პირას იდგა მისი მეთაური და გამოსცქეროდა.

„ვერ მიცანი, უფროსო? – მშვიდად მიმართა მგზავრმა და უბის ჯიბიდან ქაღალდი ამოიღო. მის ხმაში ოდნავი ირონია გაკრთა, რის გამოც გუშაგს სახეზე უფრო მეტი სიმკაცრე აღებეჭდა. – მესმის, რომ მომეტებული სიფხიზლე გმართებთ, – დაუმატა კაცმა ფრთხილად, თითქოს ებოდიშებოდა, რომ შეაჩერეს და მის გამო შეწუხდნენ.

ჯარისკაცმა თოფი ძირს დაუშვა, ქაღალდი ჩაიკითხა, პატრონს უკანვე დაუბრუნა ხმის ამოუღებლად, თოფი მხარზე მიიღო და თავის მეთაურს მიუბრუნდა. უცნობმა გზა გადაჭრა და როგორც კი ტყეში შეაბიჯა, კვლავ სტვენას მოჰყვა და მალე თვალს მიეფარა კიდეც, გაუყვა გზას,

რომელიც ტყეში იკარგებოდა. უცბად კაპიტანმა ბუდიდან რევოლვერი დააძრო და ელვისებური სისწრაფით იმავე მიმართულებით გაიჭრა, საითაც უცნობი წავიდა. გაოცებისგან გუშაგმა პირი დააღო. იგი ჯერ დაფეთებული ეცა აქეთ-იქით და ერთი ლაზათიანადაც შეიკურთხა, მერე კი კვლავინდებურად გაიჭიმა, როგორც სადარაჯოზე ფხიზლად მყოფ ჯარისკაცს შეშვენიის.

## 2

კაპიტანი ჰარტროი დამოუკიდებლად ხელმძღვანელობდა თავის ნაწილს, რომელიც ქვეითთა რაზმისგან, ცხენოსანთა ესკადრილისა და საარტილერიო ჯგუფისგან შედგებოდა. იგი თავის არმიას დაშორდა, რათა დაეცვა ხეობა ტენესის შტატში, კამბერლენდის მთებში. ჰარტროი უფროსი ოფიცრის ბრძანებით დააწინაურეს, ვიდრე მას „შეამჩნევდნენ“, მანამდე უმცროსი ოფიცრის ჩინით თავისთვის წყნარად მსახურობდა. ახლა კი მისი საგუშაგო ერთ-ერთ ყველაზე საშიშ ადგილზე იყო განლაგებული, მისი დაცვა დიდ პასუხისმგებლობას აკისრებდა მცველებს და ამიტომაც გონივრული გადაწყვეტილებით, კაპიტანი სათანადო დამოუკიდებელი უფლებებით აღჭურვეს. ამის საჭიროებას ისიც ამდაფრებდა, რომ საგუშაგო გვარიანად იყო დაშორებული მთავარ არმიას, კავშირის საშუალებებს ვერ დაეყრდნობოდა და დაუდგრომელი

მტრის არარეგულარულ რაზმებს აკლებული ჰქონდათ იქაურობა. კაპიტანმა საიმედოდ გაამაგრა თავისი პატარა ბანაკი ერთ სოფელში, სადაც ექვსიოდე კომლი და ერთი დუქანიღა შემორჩენილიყო, და სურსათ-სანოვაგეც მოიმარაგა. მცირერიცხოვან ადგილობრივ მცხოვრებლებს, ვინც ნდობას იმსახურებდა, ვისთანაც აღებ-მიცემობა აწყობდა და ხანდახან მოიმსახურებდა კიდევ, კაპიტანი ქაღალდზე დაწერილ საშვებს ამღევდა მისი ნაწილის ტერიტორიაზე გასასვლელად. კაპიტანს ისიც ესმოდა, რომ მტრის ინტერესებისთვის ამ საშვის ბოროტად გამოყენებას სერიოზული შედეგები შეიძლებოდა მოჰყოლოდა, ამიტომ ბრძანება ჰქონდა გაცემული, რომელიც უკვე მოქმედებდა კიდევ, ადგილზე დაეხვრიტათ, თუკი ვინმეს მოიხელთებდნენ ასეთ დანაშაულზე.

ვიდრე გუშაგი მგზავრის საშვს ამოწმებდა, კაპიტანმა დაკვირვებით შეათვალიერა გამვლელი მამაკაცი. მისი გარეგნობა ეცნო და თავდაპირველად ეჭვი არ შეჰპარვია, რომ თვითონვე ჰქონდა მიცემული მისთვის საშვი, რომელიც გუშაგმა შეამოწმა და საექვო ვერაფერი აღმოაჩინა. მაგრამ როგორც კი უცნობი თვალს მოეფარა და სტვენის ხმაც მიწყდა, კაპიტანს ელდასავით დაჰკრა თავში და გაახსენდა, სად ჰყავდა ის ნანახი. და როგორც ჭემმარიტ ჯარისკაცს შეეფერებოდა, კაპიტანმა თვალის დახამხამებაში მიიღო გადაწყვეტილება, როგორ უნდა მოქცეულიყო ამ შემთხვევაში.

## 3

ძნელი იქნებოდა არ შეშინებოდა კაცს, თავით ფეხებამდე შეიარაღებული, სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ოფიცრის დანახვაზე, რომელსაც ცალ ხელში ხმალი ეჭირა, მეორეში ჩახმახშეყენებული დამბაჩა და გამალებული მირბოდა მისკენ. ის კი, ვისაც მისდევდნენ, ამ სანახაობამ თითქოს უფრო დააწყნარა კიდევ. მიუხედავად იმისა, რომ ადვილად შეეძლო თავი დაეღწია მდევრისთვის და ტყეში მიმალულიყო, მან მოქმედების სხვა გზა აირჩია – შებრუნდა, კაპიტანის წინ გაჩერდა და მშვიდად უთხრა:

– ალბათ რაიმეს თქმა დაგავიწყდათ, არა, მეზობელო?

მაგრამ „მეზობელმა“ უსიტყვოდ, ფრიად არამეზობლურად მიუშვირა სასხლეტზე თითგამოდებული დამბაჩა.

– დამნებდი, – უთხრა კაპიტანმა რაც შეეძლო მშვიდად, სირბილისგან ოდნავ აქომინებულმა, – თორემ ახლავე მოგკლავ.

მის მოთხოვნაში მუქარა არ ისმოდა, მაგრამ იგრძნობოდა რაღაც შიშის მომგვრელი ცივი, ჭრელ

თვალეში, რომლებიც რევოლვერს მიღმა ჩანდა. რამდენიმე წუთს ორივე იდგა და ჩუმად მისჩერებოდა ერთმანეთს. შემდეგ სამოქალაქო პირმა, რომელსაც შიშის ნატამალიც არ დასტყობია, თითქოს არაფერი მომხდარაო, გულგრილად, დინჯად ამოიღო ჯიბიდან ქალაქი, რომელიც გუშაგისთვის საკმარისი გამოდგა, კაპიტანს გაუწოდა და უთხრა:

– მე მგონი, ეს საშვია, რომელიც მისტერ ჰარტროიმ...

– ეგ საშვი ყალბია, – შეაწყვეტინა კაპიტანმა. – კაპიტანი ჰარტროი მე ვარ, თქვენ კი დრეიმერ ბრუნი ხართ.

მახვილი თვალი შეამჩნევდა, რომ უცნობმა ამ სიტყვებზე ოდნავ ფერი დაკარგა და ერთადერთი, რამაც გასცა იგი, ის იყო, რომ ხელიდან გაუვარდა საბუთი, გზაზე დავარდა, უყურადღებოდ დარჩენილი ნივთი გააფრიალა და შემდეგ წყნარად მიაგდო ერთ ადგილას, ზედ მტვერიც მიაყარა იმის ნიშნად, რომ დაემცირებინა ზედ დაწერილი სიყალბისთვის და სიცრუისთვის. ერთმა წამმა განვლო და მოქალაქემ, რომელიც ისევ მშვიდად შეჰყურებდა მისკენ მიშვერილ დამბახის ლულას, თქვა:

– დიახ, მე დრეიმერ ბრუნი ვარ, კონფედერატთა ჯაშუში და თქვენი ტყვე. მე თან მაქვს თქვენი

ციხესიმაგრის და მისი აღჭურვილობის გეგმა, თქვენი ჯარისკაცების განლაგების აღწერილობა და ინფორმაცია მათი რაოდენობის შესახებ, ასევე ახლომახლო მიდამოების რუკა, რომელზედაც აღნიშნულია თქვენი ყველა საგუშაგო. ჩემი სიცოცხლე სრულიად სამართლიანად არის თქვენს ხელში, მაგრამ თუ თქვენ ამარიდებთ სირცხვილს, რაც მოშვერილი დამბახის წინ სიარულით უნდა განვიცადო, პირობას გაძლევთ, რომ არც გაგიძალიანდებით, არც გაგეცევით და არც არაფერს ჩავიდენ გარდა იმისა, რომ დავემორჩილები ნებისმიერ განაჩენს, რომელსაც გამომიტანენ.

ოფიცერმა დამბაჩა დაუშვა, სასხლეტს თითი მოაცილა და ქამარზე დამაგრებულ ბუდეში ჩაიდო. ბრუნმა ნაბიჯი გადმოდგა და მარჯვენა ხელი გაუწოდა.

– ეგ მოლალატისა და ჯაშუშის ხელია, – ცივად მიუგდო კაპიტანმა და არ ჩამოართვა.

ტყვემ თავი დაუქნია.

– წავიდეთ ბანაკში, ხვალ დილამდე არ დაგხვრეტო.

მან ზურგი შეაქცია ტყვეს და ეს ორი უცნაური ადამიანი უკანვე გამოუყვა გზას. მალე მათ

ჩაუარეს გუშავს, რომელმაც თავისი დამოკიდებულება გაურკვეველი სიტუაციისადმი იმით გამოხატა, რომ სრულიად მოულოდნელად წინ გაეჭიმა თავის მეთაურს და ზედმეტად გადაპრანჭული სალამი მისცა.

#### 4

მეორე დილას, ადრე, ორივე კაპიტან ჰარტროის კარავში ისხდნენ. შუაში მაგიდა იდგა, რომელზედაც ღამის განმავლობაში კაპიტნის მიერ დაწერილი მრავალი ოფიციალური და პირადი ბარათი ეყარა, მათ შორის ჯაშუშის მამხილებელი საბუთებიც, რაც მას ჩხრეკისას უპოვეს. ტყვემ ღამე მეზობელ კარავში გაათია მცველის გარეშე. ახლა კი საუზმე მოეთავებინათ და სიგარებს აბოლებდნენ.

- მისტერ ბრუნ, - მიმართა კაპიტანმა ჰარდროიმ, - თქვენ ალბათ გიკვირთ, როგორ გიცანით გადაცმული, ან საიდან ვიცი თქვენი სახელი.
- მაგის გაგებას არც ვცდილობ, კაპიტანო, - მშვიდად მიუგო ტყვემ.
- მაინც მინდა იცოდეთ, თუ ამ ამბის მოყოლით არ გაწყენინებთ. მე თქვენ 1861 წლის შემოდგომიდან მახსოვხართ. მაშინ რიგითი ჯარისკაცი იყავით ოჰაიოს ერთ-ერთ პოლკში - მამაცი და ერთგული ჯარისკაცი. თქვენი ოფიცრები და მეგობრები გაცემბულები და შეწუხებულები დარჩნენ, როდესაც თქვენ მიატოვეთ ისინი და მტრის მხარეზე გადახვედით. ამის შემდეგ მალე ტყვედ ჩავარდით ერთ-ერთი შეტაკების დროს, გიცნეს, სამხედრო ტრიბუნალმა გაგასამართლათ და დახვრეტა მოგისაჯათ. სასჯელის მოლოდინში თქვენ, მსჯავრდებული, ხელფეხშეუბორკავი, საბარგო მანქანაზე მოგათავსეს, რომელიც რკინიგზის გვერდით მიმავალ გზაზე იდგა.
- ეს გრაფტონში მოხდა, ვირჯინიის შტატში, - თქვა ბრუნმა და სიგარიდან ფერფლი ჩამოხერტყა.
- დიახ, გრაფტონში, ვირჯინიის შტატში, - გაიმეორა კაპიტანმა. - ერთ ქარიშხლიან ღამეს. დარაჯად ჯარისკაცი მოგიჩინეს, რომელიც ახალი დაბრუნებული იყო ხანგრძლივი ლაშქრობიდან. იგი ყუთზე იჯდა მანქანაში კართან ახლოს, თოფი გატენილი ჰქონდა და ხიშტიც მომარჯვებული. თქვენ კუთხეში იყავით მიმჯდარი. მას ნაბრძანები ჰქონდა მყისვე მოეკალით, თუ წამოდგომას შეეცდებოდით. დრო უხმაუროდ და ნელა გადიოდა, ამიტომ ჯარისკაცს ბუნებამ სძლია და საკუთარ თავს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა, რადგან პოსტზე სამსახურის დროს ჩაემინა.

- მართალი ხართ, სწორედ ასე მოხდა.

- როგორ! მიცანით? და მთელი ამ ხნის განმავლობაში იცოდით, რომ ეს მე ვიყავი?

კაპიტანი წამოხტა და აღელვებული კარავში სიარულს მოჰყვა. სახეზე წამოწითლდა, მის ჭრელ თვალებს ცივი, სასტიკი გამოხედვა მოსცილდა, წინა დღეს ბრუნმა რომ შენიშნა მოღერებული რევოლვერის მიღმა.

- მე გიცანით, - თქვა ჯაშუშმა მშვიდად, - მაშინვე, როცა წინ გადამიდექით და მომთხოვეთ დაგნებოდით. იმ სიტუაციაში აზრი არ ჰქონდა მაგ ამბების

გახსენებას. მე ჯაშუში ვარ, შეიძლება მოლალატეც, მაგრამ არც მიფიქრია, ხვეწნა-მუდარა დამეწყო.

კაპიტანმა სიარული შეწყვიტა და ტყვეს მიაჩერდა. როდესაც ისევ დაილაპარაკა, ხმაში ოდნავ ხრინწი გაერია.

– მისტერ ბრუნ, ვინც უნდა იყოთ და რის ნებასაც უნდა გაძლევდეთ თქვენი სინდისი, თქვენ მე სიცოცხლე შემინარჩუნეთ და ისიც იცოდით, რომ ეს შეიძლებოდა თქვენვე დაგჯდომოდით სიცოცხლის ფასად. ვიდრე გუშინ დაგინახავდით, როდესაც ჩემმა გუშაგმა გაგაჩერათ, მეგონა

მკვდარი იყავით, მეგონა მაინც დაგატყდათ თავს ის უბედურება, რაც ჩემი შეცდომის წყალობით შეგეძლოთ თავიდან აგეშორებინათ. თქვენთვის საკმარისი იყო ერთი ნაბიჯი გადმოგედგათ მანქანიდან და მე შეგეტოვებინეთ დამსჯელთა თოფებისთვის. თქვენ კი რატომღაც სიბრაღულმა შეგიპყროთ. შეგეცოდეთ, რადგან დაღლილი ვიყავი, ძილი დამაცალეთ, მყარაულობდით და როდესაც დადგა ჩემი შემცვლელი ყარაულის მოსვლის დრო, რომელიც ჩემს დანაშაულს ყველას გაანდობდა, ფრთხილად გამაღვიძეთ. აჰ, ბრუნ, ღმერთო ჩემო, რა საოცარი საქციელი იყო თქვენი მხრიდან, თითქმის წარმოუდგენელი...

კაპიტანს ხმა ჩაუწყდა, ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა სახეზე და წვერსა და მკერდზე ეპკურებოდა. იგი ისევ მაგიდას მიუჯდა, თავი ხელეებში ჩარგო და ხმამაღლა ატირდა. ირგვლივ დუმილი იყო გამეფებული.

უცბად გაისმა ბუკის მკვეთრი ხმა, რომელიც ყველას შეკრებისკენ მოუწოდებდა. კაპიტანი შეკრთა და ცრემლებით დანამული სახე ასწია. ძალიან ფერმკრთალი იყო. გარედან შემოდის ხმა, თუ როგორ ეწყობოდნენ ჯარისკაცები მწკრივში. გაისმა სერჟანტების ხმა, გვარებს რომ ყვიროდნენ, ისმოდა დოლების ბრახაბრუხი. კაპიტანი კვლავ ალაპარაკდა.

– მე უნდა მეღიარებინა ჩემი დანაშაული და ყველასთვის მეამბა თქვენი დიდსულოვნების

ამბავი. იქნებ ეპატიებინათ კიდევ თქვენთვის. უამრავჯერ გადავწყვიტე ამის გაკეთება, მაგრამ სირცხვილის გრძნობა არ მიშვებდა. გარდა ამისა, თქვენ მიმართ გამოტანილი განაჩენი სამართლიანი იყო. ღმერთმა მაპატიოს და ამიტომ აღარაფერი ვთქვი, ჩემი პოლკი მალე ტენესის შტატში გადაიყვანეს და თქვენ შესახებ აღარაფერი მსმენია.

– ყველაფერი კარგად აეწყო, – თქვა ბრუნმა, მას აღელვება არ ეტყობოდა, – მე მაინც გავიქეცი და ჩემს ნაწილში დავბრუნდი, ისევ კონფედერატებს შევუერთდი. იმას კი გეტყვით, რომ ვიდრე ფედერალურ არმიაში სამსახურს მივატოვებდი, მოვითხოვე ჯარიდან გამათავისუფლეთ, რადგან რწმენა შევიცვალე-მეთქი, თუმცა პასუხად სასჯელი მივიღე.

– თუმცა მე რომ მაშინ ჩემი დანაშაულისთვის დავესაჯეთ, ან ჩემთვის რომ სიცოცხლე არ გეჩუქებინათ, რისთვისაც მე მაღლობაც არ მითქვამს, თქვენ ახლა აღარ მოგადგებოდათ სიკვდილის აჩრდილი და საშიშროება.

ტყვე შეცბა და სახეზე შეშფოთება დაეტყო, თითქოს გაოცდა კიდეც, ამ დროს კარვის შემოსასვლელთან ადიუტანტი გამოჩნდა და მისალმების ნიშნად ხელი ასწია.

– კაპიტანო, – თქვა მან. – ბატალიონი მზად გახლავთ. კაპიტან ჰარტროის კვლავ სიმშვიდე დაეუფლა. იგი ოფიცერს მიუბრუნდა და უთხრა:

– ლეიტენანტო, წადით კაპიტან გრეჰემთან და გადაეცით, რომ მე მას ვაბარებ ბატალიონის მეთაურობას. მოაწყვეთ ბატალიონი. ეს ჯენტლმენი დეზერტირი და ჯაშუშია და ჯარის თანდასწრებით უნდა დახვრიტოთ. იგი უკან გამოგყვებათ, ნურც ხელებს შეუკრავთ და ნურც მცველს გააყოლებთ, არ არის საჭირო.

ადიუტანტი გარეთ გავიდა და კართან ელოდა, კარავში ორივე მამაკაცი წამოდგა და ერთმანეთს მდაბლად დაუკრა თავი. ბრუნი მაშინვე გარეთ გავიდა.

ნახევარი საათის შემდეგ მოხუცი ზანგი მზარეული, ერთადერთი ადამიანი, რომელიც ბანაკში მეთაურის გარდა დარჩა, უცებ თოფების გრილის ხმაზე ისე შეხტა, რომ ხელიდან გაუვარდა ქვაბი, რომელსაც ცეცხლიდან დგამდა. ქვაბიდან სითხე ნაკვერჩხლებზე გადმოიღვარა და შიშინის ძლიერი ხმა გაისმა, მაგრამ მზარეულმა მაინც გაიგონა იქვე ახლოს დამბაჩის გასროლის ხმა, კაპიტანმა ჰარტროიმ სიცოცხლე მოისწრაფა, მას სინდისის ქენჯნამ ათქმევინა უარი სიცოცხლეზე.

კაპიტანი ჰარდროი ისე დამარხეს, როგორც თავად მოითხოვა დატოვებულ ბარათში – როგორც

დეზერტირი და ჯაშუში, სამხედრო პატივის გარეშე, იმ დიდებული მთის მყუდრო ჩრდილქვეშ, რომელმაც არც კი იცის, რა არის ომი. მას მერე ორივე მშვიდად განისვენებს დიდი ხნის მივიწყებულ საფლავებში.

# ავაზის თვალები

## 1. ყოველი შეშლილი როდია თანახმა ქორწინებაზე

კაცი და ქალი – ბუნებამ შეჰყარა ისინი ერთად – სალამოს ერთ უბრალო სკამზე ისხდნენ. კაცი შუახნის იყო, ტანადი, სახეგარუჯული, პოეტის გამომეტყველებით და მეკობრის აღნაგობით, რომელსაც გვერდით ისე ვერ ჩაუვლიდით, უკან რომ არ მიგეხედათ. ქალი კი – ახალგაზრდა, ქერა, მოხდენილი. მისი ტანისა და მოძრაობების ყურებისას უნებურად წამოგცდებოდათ სიტყვა „მოქნილი“. ნაცრისფერი, ყავისფერწინწკლებიანი კაბა ეცვა. ძნელი იყო თქმა, ლამაზი გახლდათ თუ არა, რადგან ყურადღებას პირველ რიგში მისი თვალები იტაცებდნენ. მომწვანო-რუხი ფერის, განზე გაჭრილი თვალების უცნაური გამომეტყველების დაჭერა შეუძლებელი იყო. ამავე დროს ისინი სულს გიფორიაქებდნენ. კაცი და ქალი საუბრობდნენ.

– ღმერთია მოწმე, რომ მიყვარხართ, – ამბობდა ქალი, – მაგრამ ვერ გამოგყვებით ცოლად, არ შემიძლია, არ მინდა.

– აირინ, ეგ ბევრჯერ გითქვამთ ჩემთვის, მაგრამ არასოდეს მიხსნით მიზეზს. მე უფლება მაქვს ვიცოდე, მესმოდეს, ვგრძნობდე, და დაგიდასტუროთ კიდეც ჩემი სულის სიმტკიცე, თუკი საჭირო იქნება. გამაგებინეთ, რა ხდება?

– რა გაგაგებინოთ, რატომ მიყვარხართ?

ქალი იღიმებოდა, თუმცა ცრემლები ჩამოსდიოდა და ფერიც წასვლოდა. კაცი ხუმრობის ხასიათზე არ ჩანდა.

– არა, მაგის განმარტებას არ გთხოვთ. გამაგებინეთ, რა გიშლით ხელს. მე უფლება მაქვს ვიცოდე და გავიგებ კიდეც.

კაცი წამოხტა და ქალს მუშტებშეკრული დაუდგა წინ, სახე მოელუშა, განრისხებაც დაეტყო. ისე იყურებოდა, თითქოს მზად იყო ქალი დაეხრჩო, ოღონდ ის შეეტყო, რისი გაგებაც სურდა.

ქალი აღარ იღიმებოდა – იჯდა და კაცს გაუნძრევლად შესცქეროდა, გაქვავებული თვალებით, რომლებშიც არანაირი განცდა არ გამოსჭვიოდა, და მაინც, ქალის გამოხედვაში რაღაცამ უცბად მონუსხა და შეაკრთო კაცი.

– გინდათ აუცილებლად გითხრათ მიზეზი? – ჰკითხა ქალმა მშვიდად, ისეთი ხმით, რომელიც მის გამოხედვას შეეფერებოდა. – რა თქმა უნდა, მგონი მეტისმეტს არ მოვითხოვ.

ეტყობოდა, რომ უკან არ დაიხევდა.

– მაშინ კარგი, გეტყვით, რომ მე შეშლილი ვარ.

კაცი შეკრთა, მერე ქალს უნდობლად შეხედა და გაიფიქრა, ალბათ მეხუმრებაო, თუმცა საკუთარ თავში იუმორის გრძნობა ვერ გააღვიძა და ძალიან ააფორიაქა ქალის ნათქვამმა, არც კი დაუჯერებია.

– ალბათ ასე იტყოდნენ ექიმები, – განაგრძო ქალმა, – რომსცოდნოდან ჩემი ამბავი. მე კი მგონია, ჩემზეა ნათქვამი, წერას ატანილიაო, მომისმინეთ, რასაც გიამბობთ.

კაცი ჩუმად ჩამოჯდა მის გვერდით უბრალო სკამზე. ჩამავალი მზის სხივები წითლად აელვარებდა პირდაპირ, მინდვრის აღმოსავლეთ მხარეს გამწვრივებულ გორაკებს და ირგვლივ

მდუმარება სუფევდა. ამ იდუმალი სიჩუმის ნაწილი კაცის განწყობილებასაც გადაედო. ცდილობდა, ქალის გამოხედვას არ გადასწყდომოდა და თან გრძნობდა, რომ მიუხედავად ველური მომხიბვლელობისა, ეს თვალები მას გაურკვეველ შიშსა და ძრწოლას ჰგვრიდნენ. ჯენერ ბრეიდინგმა მდუმარედ მოისმინა აირინ მარლოს ნაამბობი. რადგან მკითხველმა შესაძლოა ეჭვის თვალით შეხედოს გამოუცდელი მოსაუბრის გადმოცემის ნიჭს, მკითხველისადმი პატივისცემის გამო ავტორი თავს ნებას აძლევს თავისი შეხედულებისამებრ შეცვალოს მისი მონათხრობი. **2.** ოთახში შეიძლება ვერ დაეტიოს სამი, თუმცა ერთი გარეთ იმყოფება

მორებით ნაგებ პატარა ქოხში, რომელიც ერთი ღარიბული, უბრალოდ მორთული ოთახისგან შედგებოდა, იატაკზე კედელთან მიკრუნჩხული ქალი იჯდა და მკერდზე ბავშვი მიეხუტებინა. ირგვლივ, მრავალი მილის მანძილზე, გაუვალი, უღრანი ტყე გადაშლილიყო. ღამე იყო და ოთახში ბნელოდა. ადამიანის თვალი ვერ გაარჩევდა ბავშვიან ქალს. და მაინც, მათ თვალს ადევნებდნენ, ისე ფხიზლად, რომ წამითაც არ შეუწყნებელიათ ყურადღება. ეს გახლავთ მთავარი ძაფი, რომელზეც აგებულია მთელი მოთხრობა.

ჩარლზ მარლო იმ ადამიანთა კატეგორიას მიეკუთვნებოდა, რომელიც ამჟამად ჩვენს ქვეყანაში გადაშენებულია – ადამიანებს, ვისაც თავიანთ სანუკვარ მიზნად მიაჩნდათ განმარტოებული ცხოვრება ტყეში, რომელიც მისისიპის ველის აღმოსავლეთ ფერდობზე გადაჭიმულიყო, დიდი ტბებიდან მექსიკის ყურემდე. მთელი ასი წლისა და უფრო მეტი ხნის განმავლობაში ეს ადამიანები მედგრად მიიწევდნენ დასავლეთისკენ, ერთი თაობა, მერე მეორე, თოფებითა და ნაჯახებით ხელში, ბუნებას ხელიდან სტაცებდნენ მივარდნილი ნოყიერი მიწის ნაკვეთებს და დამუშავებას ვერ ასწრებდნენ, ისე უთმობდნენ უფრო გამბედავ და უფრო იბლიან მემკვიდრეებს, რომლებიც მათ ფეხდაფეხ მისდევდნენ. ასე იკაფავდნენ ტყეში გზას, გაშლილ ადგილებზე გადიოდნენ და მერე უკვალოდ ქრებოდნენ.

უდაბურ ტყეში ჩარლზ მარლოსთან ერთად ამ უჩვეულო, არასახარბიელო ცხოვრების საშიშროებას, სიძნელეებსა და გასაჭირს მისი ცოლი და შვილი იზიარებდნენ, რომლებიც კაცს, თავისი ჯიშის ხალხის დარად, ვინც ოჯახურ სიკეთეს აღმერთებდა, მთელი არსებით უყვარდა. ცოლი ახალგაზრდა ქალი იყო, სიცოცხლით სავსე. მას ჯერაც არ შეეგრძნო განმარტოებული ცხოვრების მთელი სიმძიმე. მთელი მისი დრო საოჯახო საქმიანობას, ბავშვს, ქმარსა და რამდენიმე მარტივად აღსაქმელ წიგნს ხმარდებოდა.



ზაფხულის ერთ დილას მარლომ კედელზე დამაგრებული ხის კაუჭიდან თოფი ჩამოხსნა და განაცხადა, სანადიროდ მივდივარო.

- ხორცი საკმარისი გვაქვს, - უთხრა ცოლმა, - გთხოვ, ნუგახვალ დღეს გარეთ! წუხელ ცუდი სიზმარი ვნახე. ახლა ველარც კი ვიხსენებ, მაგრამ თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ამიხდება, თუ სახლიდან გახვალ.

გულისტკივილით უნდა აღვნიშნოთ, რომ მარლოს შესაბამისი ყურადღება არ გამოუჩენია ამ ავბედითი სიტყვების მიმართ, რომლებიც კარზე მომდგარ უბედურებას მოასწავებდნენ. სიმართლე რომ ვთქვათ, გაიცინა კიდეც.

- აბა, ის მაინც გაიხსენე, - უთხრა ცოლს, - იქნება სიზმარში ნახე, რომ ამ ბავშვს მეტყველების უნარი წაერთვა!

ასეთი ხუმრობა იმან მოაგონა, რომ ბავშვი თავისი კოტიტა თითებით ამ დროს მამის სანადირო ქურთუკის კალთას ებლაუჭებოდა და მის თავზე უცნაური ფორმის ქუდს რომ ხედავდა, აღფრთოვანებული ჭყლოპინით იკლებდა იქაურობას.

ქალი დაემორჩილა, რადგან იუმორის გრძნობას მოკლებული იყო, ვერაფერი დაუპირისპირა მეუღლის გახუმრებას. ქმარმა ჯერ ცოლი გადაკოცნა, მერე შვილი, გავიდა და სამუდამოდ გამოკეტა თავისი ბედნიერების კარი.

ჩამოხსნა, მაგრამ ქმარი არსად ჩანდა. ცოლმა ვახშამი მოამზადა და ისევ ელოდა. შემდეგ თავისი პატარა გოგონა საწოლში ჩააწვინა და წყნარი ხმით უმღეროდა, ვიდრე ბავშვს ჩაეძინა. ამასობაში კერიაში ცეცხლი ჩაქრა და ოთახს ერთადერთი სანთელი ანათებდა. ქალმა სანთელი ღია ფანჯარაზე გადადგა, როგორც გზის მაჩვენებელი ნიშანი და მისალმება მონადირისთვის, თუ იგი ამ მხრიდან დაბრუნდებოდა. მან გულმოდგინედ ჩაკეტა კარი და ურდულიც გაუყარა, რათა თავი დაეცვა გარეული მხეცებისგან, რომელთაც კარიდან შემოჭრა ერჩივნათ ღია ფანჯრიდან გადმოძრომას. დაღამდა, დრო ნელა გადიოდა, ქალს შემფოთება არ განელებია, ძილი კი თანდათან ერეოდა. ბოლოს ბავშვის საწოლს ჩამოეყრდნო და თავი ხელებზე ჩამოდო. ფანჯარაზე მდგარი სანთელი ბოლომდე ჩაიწვა და შეუმჩნეველად ჩაქრა, ქალს უკვე ეძინა და სიზმარს ხედავდა.

ესიზმრა, თითქოს მეორე ბავშვის აკვანთან იჯდა. პირველი მოჰკვდომოდა, მამაც მომკვდარიყო. ტყეში მდგარი სახლი გამქრალიყო და ოთახი, სადაც ახლა იგი იმყოფებოდა, მისთვის სრულიად უცხო იყო. ოთახს მძიმე მუხის კარი ჰქონდა, ფანჯრების რკინის რიკულები ქვის სქელ კედელში იყო მოქცეული გარედან, ალბათ უცხოთაგან დასაცავად. ქალმა ეს ყველაფერი შეამჩნია და საკუთარი თავი შეებრაღა, თუმცა არ გაცეცხულა - ეს გრძნობა ხომ სრულიად უცნობია სიზმარში. ბავშვი საწოლში არ ჩანდა, რადგან საბანი ეფარა. რაღაც ძალამ აიძულა ქალი, ბავშვისთვის გადაეძრო საბანი. ასეც მოიქცა და გარეული მხეცის თავი დაინახა!

საშინელი სანახაობით თავზარდაცემულს უეცრად გამოეღვიძა, ისევ ბნელოდა, ქალი თავის ქოხში იყო და მთელი ტანით კანკალებდა.

როდესაც თანდათანობით გონს მოეგო, მაშინვე ბავშვს ეცა. ეს უკვე ცხადში ხდებოდა და ბავშვის სუნთქვამ დაარწმუნა, რომ ყველაფერი რიგზე იყო. მაინც ვერ შეიკავა თავი და ხელი ფრთხილად მოუსვა ბავშვს სახეზე. შემდეგ, თითქოს რაღაც ძალამ აიძულა, წამოდგა, ბავშვი ხელში აიყვანა და მაგრად ჩაიხუტა გულში. ბავშვის საწოლი თავით კედელზე იყო მიდგმული და ქალმა წამოდგომისთანავე ზურგი შეაქცია კედელს. მაღლა რომ აიხედა, ორი განათებული წერტილი დაინახა, რომლებიც სიბნელეში მოწითალო-მომწვანოდ ელავდნენ. ქალს ისინი ბუხარშიმოგიზგიზე ორი ნაკვერჩხალი ეგონა, მაგრამ, როდესაც მიხვდა, რომ ბუხრის მხარეს არ იყურებოდა, შემფოთებულმა შენიშნა, რომ ისინი ოთახის სხვა მხარეს ციალებდა და, გარდა ამისა, მეტად მაღლა, თითქმის მისი თვალების დონეზე. ეს ავაზის თვალები იყო.

მხეცი ღია ფანჯარასთან იყო მომდგარი, სწორედ ქალის პირდაპირ, მხოლოდ ხუთ ნაბიჯზე. გარეთ სხვა არაფერი ჩანდა, გარდა ამ საშინელი თვალებისა. და იმ ძრწოლის მიუხედავად, რამაც მთლიანად მოიცვა ქალი ამის დანახვაზე, მაინც მიხვდა, რომ ნადირი უკანა ფეხებზე იყო შემდგარი და წინა თათები ფანჯრის რაფაზე დაებჯინა. ეს მის გაავებულ ზრახვას უფრო გამოხატავდა, ვიდრე უწყინარ ცნობისმოყვარეობას. ამან ქალი კიდევ უფრო შეაშინა. ეს შიში კი

ამ გოროზი თვალების გამომეტყველებამ გაუმძაფრა და ერთიანად დაკარგა, თუკი რაიმე ძალა და გამბედაობა გააჩნდა. ქალი უცებ კანკალმა აიტანა და ცუდად გახდა, მუხლები მოეკვეთა და ნელ-ნელა, ისე ფრთხილად, რომ უეცარი მოძრაობის გამო ნადირი თავს არ დასხმოდა, იატაკზე დაეშვა, კედელს აეკრა და ათრთოლებული ბავშვს გადაეფარა, თან თვალს არ აშორებდა თვალის მოელვარე გუგებს, რომლებიც სიკვდილს ახსენებდნენ. ამ შემზარავ წამს ქალს ქმარი არ გახსენებია – მისი გადარჩენისა და საშიშროებიდან თავის დაღწევის იმედი. მისი ფიქრი და განცდა ერთადერთ გრძნობას მოეცვა – ეს იყო შიში ნადირის ნახტომის წინაშე, მისი მძლავრი ტორების დარტყმისა და იმ შეგრძნების წინაშე, როგორ ესობოდნენ მტაცებლის კბილები ყელში და როგორ ფატრავდა ნადირი მის შვილს. გაუნძრევლად, ჩუმად ელოდა ქალი თავის აღსასრულს, წუთები საათებად იქცნენ, წლებად, საუკუნეებად... ბოროტად ანთებული თვალები კი კვლავ მისჩერებოდნენ მას.

გვიან ღამით ზურგზე ირემმოკიდებული ჩარლზ მარლო თავის ქოხს მიუახლოვდა და კარს ფეხი ჰკრა. კარი არ გაიღო, დააბრახუნა, მაგრამ არავინ გამოეხმაურა. მაშინ ირემი ძირს დააგდო და ფანჯრისკენ გაემართა. ქოხის კუთხეს რომ შემოუარა, თითქოს ფრთხილი ნაბიჯების ხმა და ტყეში ჩუმი შრიალი შემოესმა, მაგრამ მისი გაწაფული სმენისთვისაც კი ეს ხმა ძალზე სუსტი იყო, რომ რაიმე აზრი გასჩენოდა. ფანჯარასთან მივიდა და გაოცდა – ის ღია დახვდა. კაცი ფანჯრის რაფას გადაევიდა და ოთახში გადახტა. იქაურობა სრული წყვილიადითა და სიჩუმით

იყო მოცული. ხელის ფათურით გაიგნო გზა მაგიდამდე, ასანთს გაჰკრა და სანთელი აანთო. მიიხედ-მოიხედა და დაინახა, რომ იატაკზე მოკუნტული, კედელზე მიყრდნობილი იჯდა მისი ცოლი, მკერდში ბავშვი ჰყავდა ჩაკრული. როდესაც ქმარი მასთან მიიჭრა, ქალი წამოდგა და ხარხარი ატეხა – ხმამაღალი, შემზარავი და უსიცოცხლო, ყოველგვარ აზრსა და ხალისს მოკლებული – ხარხარი, რომელიც ბორკილების ჩხარუნს უფრო ჰგავდა. კაცმა აღარ იცოდა რა გაეკეთებინა და ხელები

გაიწოდა მისკენ. ქალმა გაშლილ ხელებზე ბავშვი დაუდო, იგი მკვდარი იყო – დედის მკლავებში დამხრჩვალყო.

### 3. დაცვის მიერ წამოყენებული ვერსია

ეს ამბავი ერთ ღამეს ტყეში მოხდა, მაგრამ აირინ მარლოს ყველაფერი არ მოუყოლია ჯენერ ბრეიდინგისთვის, რადგან არ იცოდა. როდესაც თხრობა დაასრულა, მზე უკვე ჩასული იყო და ზაფხულის ბინდ-ბუნდი ჩამოწოლილიყო. რამდენიმე წუთს ბრეიდინგი ჩუმად იჯდა, ელოდა, რომ ქალი ამბის მოყოლას გააგრძელებდა, რაც მას საშუალებას მისცემდა წინა ლაპარაკს მიბრუნებოდა, მაგრამ ქალი, რომელსაც სახე განზე მიებრუნებინა, დუმდა. ხელები კალთაში ეწყო, მექანიკურად შლიდა და კუმშავდა თითებს.

- მართლაც ძალიან სამწუხარო, შემზარავი ამბავია, – წარმოთქვა ბოლოს ბრეიდინგმა.
- მაგრამ მაინც არაფერი მესმის. თქვენ ხომ ჩარლზ მარლოს მამას ეძახით. ის რომ ნაადრევად დაბერებული და რაღაც დიდმა მწუხარებამ გატეხა, ესეც შევნიშნე, მაგრამ, მაპატიეთ, მაგრამ თქვენ თქვით, რომ თქვენ... რომ თქვენ...
- რომ მე გიჟი ვარ, – თქვა ქალმა ისე, რომ თავი არც მოუბრუნებია და არც განძრეულა.
- აირინ, გეთაყვა, თვალს ნუ მარიდებთ, თქვენ ხომ თქვით, რომ ბავშვი მოკვდა და არა ჭკუიდან შეიშალა.
- დიახ, ის პირველი ბავშვი იყო, მე მეორე ვარ. მე იმ ღამიდან სამი თვის შემდეგ გავჩნდი. ღმერთმა მოწყალებით გადმოხედა დედაჩემს და მისი სული მაშინ მიიბარა, როდესაც მან მე სიცოცხლე მაჩუქა.

ბრეიდინგი კვლავ დადუმდა. იგი შეძრწუნებული იყო და ხმას ვეღარ იღებდა. ქალი ისევ განზე იცქირებოდა. დაბნეული კაცინ უნებურად მის ხელებს წაეტანა, რომლებიც ქალს მუხლებზე ეწყო და ხან კუმშავდა, ხან შლიდა, მაგრამ რაღაცამ, ბრეიდინგი ვერც კი მიხვდა რამ, შეაჩერა იგი. მაშინვე გაახსენდა, რომ არასოდეს გასჩენია ამ ხელების შეხების სურვილი.

- განა შესაძლებელია, – განაგრძო ლაპარაკი ქალმა, – რომ ასეთ სიტუაციაში დაბადებული ადამიანი ისეთივე ნორმალური იყოს, როგორც სხვები, ანუ, როგორც ამბობენ, სადი გონების?

ბრეიდინგს არაფერი უთქვამს. მას თავში ახალი აზრი უტრიალებდა და თანდათან იკვეთებოდა. ამ აზრს შეეძლო ახალი, თუმცაღა ავბედითი შუქი მოეფინა იმ ეჭვებზე, რომლებსაც ქალის სულიერი მდგომარეობა იწვევდა.

ახალმოსახლეები იმ ადგილებში არცთუ დიდი ხნის წინ გამოჩნდნენ და სოფლებს მიღმა აქა-იქ თუ სახლობდა ვინმე. პროფესიონალი მონადირე იმ დროს ჩვეულებრივი მოვლენა იყო და მის ნადავლს ხშირად მოზრდილი ნადირის თავიც და ტყავიც მოჰყვებოდა, ხანდახან ვრცელდებოდა მეტ-ნაკლებად სარწმუნო ხმები უკაცრიელ გზებზე გარეულ ნადირთან ღამეული შეხვედრის შესახებ. ეს ხმები ჯერ მთელი ძალით ვრცელდებოდა ხალხში, შემდეგ მინელდებოდა და მერე დავიწყებას ეძლეოდა. ბოლო დროს ბევრ ოჯახში გაჩნდა ჭორი ავაზაზე, რომელმაც რამდენიმე

ადამიანი დააფრთხო ღამლამობით ფანჯრებში ცქერით. ამ ამბავმა ზოგიერთი ააღელვა და მათი მონათხრობი ადგილობრივი გაზეთის ფურცლებზეც დაიბეჭდა. ბრეილინგს ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია. თუმცა წუთის წინ მოსმენილ ნაამბობთან მსგავსებამ აფიქრებინა, რომ ეს დამთხვევა შემთხვევითი არ უნდა ყოფილიყო.

ბრეილინგმა გაიხსენა ქალის ცხოვრების ზოგიერთი გარემოება და მისი ხასიათის თავისებურებანი, რომლებითაც იგი აქამდე მხოლოდ იმიტომ არ დაინტერესდა, რომ სიყვარულს ცნობისმოყვარეობა არ სჩვევია. თუნდაც მამასთან ერთად განმარტოებული ცხოვრება და ისიც, რომ, როგორც ჩანდა, მათთან სტუმრად იშვიათად მიდიოდა ვინმე, ასევე მისი უცნაური შიში სიბნელის წინაშე. ვინც მას იცნობდა, სწორედ ამ შიშით ხსნიდა იმას, რომ დაბნელების შემდეგ ქალი გარეთ აღარ გამოდიოდა. ადვილი მისახვედრია, რომ მის ცნობიერებაში მოხვედრილი შემთხვევითი ნაპერწკალი შეიძლება გაღვივებულიყო და უმალ ცეცხლივით მოსდებოდა მთელ მის არსებას. აირინი რომ შემლილი იყო, ბრეილინგს ეჭვი აღარ ეპარებოდა, თუმცა ეს ფიქრი გულს სტკენდა, აირინს ერთმანეთში არეოდა თავისი შემლილობის შედეგები და მიზეზი, და თან თავისი მონათხრობი ადგილობრივ მცხოვრებთა მონაჩმახისთვის დაეკავშირებინა. ბრეილინგს სურვილი გაუჩნდა, შეემოწმებინა თავისი ვარაუდი, თუმცა ჯერ ნათლად ვერ წარმოედგინა, როგორ უნდა შესდგომოდა საქმეს, იმიტომ სერიოზული სახით და ცოტა გაუბედავად წარმოთქვა:

– აირინ, ძვირფასო, მითხარით, ოღონდ გთხოვთ, ნუ გამიბრაზდებით...

– მე ხომ უკვე გითხარით, – მყისვე შეაწყვეტინა ქალმა, რითაც ბრეილინგი სახტად დატოვა, – გითხარით, რომ ცოლად ვერ გამოგყვებით, სხვა რაღა გითხრათ?

ვიდრე ბრეილინგი მის შეჩერებას მოასწრებდა, ქალი წამოხტა და ჩუმად, ისე, რომ მისთვის აღარ შეუხედავს, ფეხაკრეფით გაუყვა გზას და თავისი სახლისკენ გაემართა. ბრეილინგი წამოდგა და ხმის ამოუღებლად გასცქეროდა, ვიდრე ქალი სიბნელემ შთანთქა. უცბად იგი ტყვიანაკრავით შედრკა, სახეზე გაოცება და შემფოთება აღებეჭდა, სიბნელეში, სადაც ქალი მიიმალა, ბრეილინგმა ცხადად დაინახა, როგორ გაიელვეს ცეცხლივით მოგიზგიზე თვალებმა! წამით თავზარდაცემული, გაშეშებული

იდგა, შემდეგ ქალს გაეკიდა და ტყეში შევარდა ყვირილით: „აირინ, აირინ, ფრთხილად!.. ავაზა!.. ავაზა!..“

ბრეილინგი სწრაფად გაიჭრა ღია ადგილზე და თვალი მოჰკრა, ქოხის ზღურბლზე როგორ გაიელვა ქალიშვილის ნაცრისფერმა კაბამ, თუმცა ავაზა არსად ჩანდა.

#### 4. უმაღლესი სამართლიანობა

ჯენერ ბრეილინგი, ადვოკატი, ქალაქის განაპირას კოტეჯში ცხოვრობდა. სწორედ მისი სახლის უკან იწყებოდა ტყე. რაკი ადვოკატი უცოლო იყო, და მამასადამე, იმ დროს გამეფებული მორალის თანახმად, ვერც მოახლეს აიყვანდა და ვერც მზარეულ ქალს – მოსამსახურე კაცზე კი იმ მხარეში არც არაფერი სმენოდათ – ბრეილინგი სასტუმროში სადილობდა, იქვე იყო

განთავსებული მისი კანტორაც. ტყის პირას მდგარი კოტეჯი მნიშვნელოვანი ხარჯების გაწევის გარეშე იყო აგებული და მხოლოდ და მხოლოდ მისი პატრონის კეთილდღეობასა და რესპექტაბელურობას მოწმობდა. მისთვის, ვისაც ადგილობრივი გაზეთი ამაყად უწოდებდა „ჩვენი დროის გამოჩენილ იურისტს“, საკმაოდ უხერხული იყო ოჯახის გარეშე ყოფნა, თუმცა თავადაც მშვენივრად იცოდა, რომ „სახლ-კარი“ და „ოჯახი“ ყოველთვის ერთსა და იმავეს არ ნიშნავდა. რაკი ეს განსხვავება კარგად ჰქონდა შეგნებული, ლოგიკურად ისიც ესმოდა, რომ საჭირო იყო ამ შეუსაბამობის მოგვარება. იმასაც ამბობდნენ, რომ კოტეჯის აშენების შემდეგ მისმა მფლობელმა მალევე სცადა დაოჯახება, რაც იმით დამთავრდა, რომ განმარტოებით მცხოვრები მოხუცი მარლოს ლამაზი, მაგრამ ფრიად ექსცენტრიკული ქალიშვილისგან უარი მიიღო. ეს ყველამ დაიჯერა, რადგან ამის შესახებ თავად ბრეიდინგი ლაპარაკობდა, ქალს კი ერთი სიტყვაც არ დასცდენია არავისთან – არადა, ჩვეულებრივ, პირიქით ხდება ხოლმე, თუმცა ამ შემთხვევაში ეჭვი არავის არაფერში შეჰპარვია.

ბრეიდინგის საწოლი ოთახისახლისუკანა ნაწილში მდებარეობდა და მისი ერთადერთი ფანჯარა ტყეს გაჰყურებდა. ერთ დამეს იგი ფანჯარასთან უცნაურმა შრიალმა გააღვიძა. ძნელი სათქმელი იყო, რა იწვევდა ამ ხმაურს. ბრეიდინგს უსიამოდ გააჟრჟოლა, ლოგინში წამოჯდა და ბალიშის ქვეშ ამოდებულ რევოლვერს დაავლო ხელი. მსგავსი წინდახედულობა სავსებით გასაგებია იმ ადამიანისთვის, რომელიც მიჩვეულია ძილის დროს ფანჯრის ღიად დატოვებას.

ოთახში უკუნი სიბნელე იდგა, მაგრამ ადვოკატს შიში არ გაჰკარებია და რადგანაც იცოდა, საით უნდა ეცქირა, იყურებოდა კიდეც ფანჯრისკენ, თან ჩუმად ელოდა, რა მოხდებოდა. სიბნელეს თვალი უკვე შესჩვეოდა და ბუნდოვნად არჩევდა სარკმელს. და უცებ, სარკმლის ქვედა კიდეზე ორი ანთებული თვალი გამოჩნდა, რომელთა ბოროტი ელვარება ენით აუწერელი საშინელებით იყო აღსავსე! ბრეიდინგს გული კინაღამ გაუჩერდა, ტანში ჟრუანტელმა დაუარა და თმა ყალყზე დაუდგა, იგრძნო, როგორ გაეყინა მარღვებში სისხლი. დაყვირება ვერ შეძლო, რომ შველა ეთხოვა, მაგრამ რადგან საკმაოდ მამაცი იყო, ვერც მორთავდა ყვირილს და ვერც ვერავის მოუხმობდა საშველად, რომც შესძლებოდა ხმის ამოდება. შეშინებული სხეულისთვის იქნებ ეჯობნა კიდეც ჟრუანტელს, მაგრამ სული უფრო მტკიცე ჰქონდა. მოეღვარე თვალეი ნელ-ნელა ზევით მოიწევდნენ, თითქოს უახლოვდებოდნენ და ასევე ნელა იწევდა ზევით ბრეიდინგის მარჯვენა ხელი, რომელშიც დამბაჩა ეკავა. და ბრეიდინგმა გაისროლა!..

გასროლამ თვალი მოსჭრა და ხმამ სმენა წაართვა, მაგრამ ბრეიდინგმა გაიგონა, ან შეიძლება მოეჩვენა, რომ გაიგონა ავაზას ველური, ყურისწამლები შეკვივლება, რომელიც ადამიანის ხმასავით გაისმა ავბედით ღამეში. ბრეიდინგი საწოლიდან გადმოხტა, სწრაფად ჩაიცვა, დამბაჩით ხელში გარეთ გამოვარდა და გზაზე მისი სახლისკენ გამოქცეულ ორ-სამ ადამიანს შეეფეთა. მოკლე ახსნა-განმარტების შემდეგ სახლი გულმოდგინედ გაჩხრიკეს. ფანჯრის ქვეშ ბალახი გათელილი ჩანდა და უსწორმასწორო კვალი, რომელიც ფარნის შუქზე აღმოაჩინეს,

ბუჩქებისკენ მიემართებოდა. ვილაცამ წაიბორძიკა და დაეცა. როცა წამოდგა და ხელების წმენდას მოჰყვა, ზედ ბლანტი სისველე იგრძნო, დახედეს და სისხლი გამოდგა.

დაჭრილ ავაზასთან შეუიარაღებლად პირისპირ შეხვედრა არავის მონდომებია. ყველა, გარდა ბრეიდინგისა, უკან გაბრუნდა. ადვოკატი კი ფარანს დასწვდა და დამბაჩამომარჯვებული გაბედულად შევიდა ტყეში. ხშირ ბუჩქნარში გაძვრა თუ არა, პატარა მდელოზე გავიდა და აქ მისი სიმამაცე დაფასდა, რადგან მცირე წააწყდა თავის მსხვერპლს. მაგრამ ეს არ იყო ავაზა. იმას, თუ რა იყო ეს, ახლაც ადასტურებს დროთა განმავლობაში წაშლილი საფლავის ქვა სოფლის სასაფლაოზე. იმასვე ყოველდღე მოწმობდა მრავალი წლის განმავლობაში საფლავის პირას მდგარი მოხუც მარლოს მოხრილი ფიგურა და მწუხარებისგან დაღარული სახე ღმერთმა მშვიდად განუსვენოს მის სულს და მისი შეშლილი, უბედური ქალიშვილის სულს მშვიდობა და ზიარება არ მოაკლოს!

## დაგმანული ფანჯარა

1830 წელს მხოლოდ რამდენიმე მილის დაშორებით იმ ადგილიდან, სადაც ამჟამად აღმართულია დიდი ქალაქი ცინცინატი, გადაჭიმული იყო უშველებელი, თითქმის გაუვალი ტყე. მთელი ეს მხარე აქა-იქ უკვე დაეკავებინათ „ფრონტირის“ მკვიდრთ – მოუსვენარ ადამიანებს, რომლებიც ვერც კი ასწრებდნენ საცხოვრებლად ვარგისი თავშესაფრის აგებას უღრან ტყეში და ისეთი ფუფუნების მიღწევას, რაც დღეს, პრინციპში, ხელმოკლეობად მიიჩნევა. რაღაც შეუცნობელი ალლო აიძულებდა მათ მიეტოვებინათ ყველაფერი, კვლავ დამრულიყვნენ დასავლეთისკენ, ახალი ფათერაკებისა და გასაჭირის შესახვედრად, რომ ებრძოლათ ისეთივე უბადრუკი პირობებისთვის, რაზედაც ეს-ეს იყო ნებაყოფლობით თქვეს უარი.

ბევრმა მათგანმა უკვე მიატოვა კიდევ ის ადგილები და შორეული მიწების საძიებლად გაემურა. დარჩენილთა შორის იყო ერთი ადამიანი, რომელიც აქ ერთ-ერთი პირველთაგანი დასახლდა. იგი მარტო ცხოვრობდა ხშირი ტყით გარშემორტყმულ, ფიცრებით აგებულ ქოხში და თითქოს იქ გამეფებული მდუმარების შემადგენელ ნაწილად ქცეულიყო. იგი არავის უნახავს გაღიმებული და არც ზედმეტი სიტყვა გაუგია ვინმეს მისგან. თავის უბრალო მოთხოვნილებებს იმით იკმაყოფილებდა, რომ გარეული ცხოველების ტყავს ყიდდა ან გასაცვლელად მიჰქონდა

მდინარის პირას მდებარე ქალაქში. მიუხედავად იმისა, რომ მიწის ნაკვეთში არავინ ეცილებოდა, იქ არაფერი მოჰყავდა. თუმცა ზოგიერთი ქმედება მაინც მოწმობდა მისი ათვისების მცდელობას – სახლის მომიჯნავე რამდენიმე აკრ მიწაზე ხეები გაეკაფათ და გამხმარი ჯირკები უკვე დაეფარა ახალ ნერგებს და ცოტათი გამოეცოცხლებინა გაპარტახებული ადგილი. ეტყობოდა, აქ ბინადარი კაცისთვის რაღაც გაურკვეველ გრძნობას მთლიანად გაენელებინა მიწის დამუშავების სურვილი.

პატარა ქოხს, რომელსაც საკვამლე მილიც ჰქონდა დატანებული, მორყეულ სახურავს განივად გადებული ბოძები უნარჩუნებდა წონასწორობას. კედლის ხვრელები თიხით იყო ამოლესილი. ქოხს ერთადერთი კარი ჰქონდა, მის მოპირდაპირე მხარეს კი ფანჯარა იყო გამოჭრილი, რომელიც მუდმივად დაგმანული იყო და არავის ახსოვდა, როდის დაგმანეს იგი. არც არავინ იცოდა, რატომ იყო იგი ჩაკეტილი. თუმცა ამ ქოხის ბინადარს ვერავინ დასდებდა ბრალს, სინათლე და ჰაერი არ უყვარსო, რადგან იმ იშვიათ შემთხვევებში, როდესაც რომელიმე მონადირე ჩაივლიდა განმარტოებულ ქოხთან, ყოველთვის ხედავდა, როგორ ეფიცებოდა მზეს კარის ზღურბლზე მჯდარი კაცი, თუკი ბუნება კარგ ამინდს მოუვლენდა. ახლა, ალბათ, თითო-ოროლა კაციღა თუ შემორჩა ცოცხალი იმათგან, ვინც ამ ფანჯრის საიდუმლოება იცოდა და, როგორც მალე მიხვდებით, ერთ-ერთი მათგანი მე გახლავართ.

როგორც ამბობენ, ამ კაცს სახელად მერლოკი ერქვა. იგი სამოცდაათი წლის ბერიკაცს ჰგავდა, თუმცა სინამდვილეში ორმოცდაათის იქნებოდა. ასაკის გარდა სხვა რამეს დაეხერხებინა. თმა და გრძელი წვერი გასთეთრებოდა, ჭრელი, სხივჩამქრალი თვალები ჩასცვენოდა, ნაოჭებს მთლად დაედარათ მისი სახე. მაღალი და გამხდარი იყო, მხრებში მოხრილი, თითქოს მძიმე ტვირთი ეკიდა. პირადად მე არასოდეს მინახავს იგი, პაპაჩემისგან ვიცი ამ კაცის ამბავი ბავშვობიდანვე. პაპაჩემი მას იცნობდა, რადგან მისგან არცთუ შორს სახლობდა იმ დროს.

ერთ დღესმერლოკი სახლშიმკვდარი უპოვიათ. მაშინ იქ არც გაზეთები იყო, არც გამომძიებლები, და საზოგადოებაც იმაზე შეთანხმდა, ალბათ ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალაო. ეს რომ ასე ყოფილიყო, ალბათ ბავშვობაში მეტყოდნენ და დავიმახსოვრებდი კიდეც. ის კი ვიცი, რომ ხალხმა ის ქოხთან ახლოს დამარხა ცოლის საფლავის გვერდით.

მერლოკის გარდაცვალებიდან უკვე იმდენი დრო იყო გასული, რომ ადგილობრივ მითქმა-მოთქმაში მისი არსებობის ნატამალიც კი არ ჩანდა. აქ დასრულდა ეს მართალი ამბავი და იმის დამატებაღაა საჭირო, რომ მრავალი წლის შემდეგ მე, ჩემნაირ ცელქ და ანც ბავშვებთან ერთად, ხშირად მივპარულვარ მერლოკის ქოხთან, ქვები დამიშენია მისთვის და მერე თავქუდმოგლეჯილი გავქცეულვარ, რომ არ გადავწყდომოდი აჩრდილს, რომელიც, როგორც ყველა იქაურმა ბიჭმა კარგად იცოდა, ამ ადგილებში დაძრწოდა. ახლა კი ჩემი თხრობის დასაწყისს მივუბრუნდები, რომელიც პაპაჩემმა მიაძმო.

იმ დროს, როდესაც მერლოკმა ქოხი ააგო და თავგამოდებით კაფავდა ტყეს თავისი ფერმისთვის, თან ნადირობით ირჩენდა თავს. ახალგაზრდა იყო, ჯანმრთელი და მომავალსაც იმედის თვალით შეჰყურებდა. იგი აღმოსავლეთის მხრიდან მოვიდა აქ და, როგორც წესი მოითხოვდა, თან ჩამოიყვანა ცოლი, ახალგაზრდა ქალი, რომელიც სავსებით იმსახურებდა მის სიყვარულს. ცოლი სიხარულითა და მხიარულებით იზიარებდა ქმართან ერთად ყველა ჭირ-ვარამს, რაც მათთვის ბედს მოჰქონდა. ცოლის სახელი არავინ იცის. არც მისი სულიერი და გარეგნული ღირსებების შესახებ შემორჩენილა რაიმე ინფორმაცია, ასე რომ, მსურველებს შეუძლიათ ნებისმიერი სახე შექმნან თავიანთ წარმოდგენაში. მათ სიყვარულსა და ბედნიერებაზე აშკარად მეტყველებს ყოველი დღე, რომელიც მერლოკმა ქვრივობაში გაატარა. წმინდა

მოგონებათა უდიდესი ძალის გარდა სხვა რა ძალას შეეძლო ამ დაუდგრომელი სულის მქონე კაცის ასეთ დღეში ჩაგდება?..

ერთ დღეს მერლოკი ნადირობიდან დაბრუნდა და ნახა, რომ მისი ცოლი ლოგინში იწვა, სიცხისგან აბოდებდა და მთელი ტანით აკანკალებდა. მრავალი მილის მანძილზე არც ექიმი იყო სადმე, არც მეზობელი, არც ავადმყოფის დატოვება შეიძლებოდა, რომ დამხმარე მოეძებნა. მაშინ მერლოკმა გადაწყვიტა თავად მიეხედა ცოლისთვის, მაგრამ მესამე დღეს, საღამო ხანს, ავადმყოფმა გრძნობა დაკარგა და ისე გარდაიცვალა, რომ არ გონს აღარც მოსულა.

იმის მიხედვით, რაც ასეთი ბუნებისა და ხასიათის ადამიანებზეა ცნობილი, შეგვიძლია აღვადგინოთ იმ სიტუაციის ზოგიერთი დეტალი, რომელიც პაპაჩემმა მიაშრო. როცა დარწმუნდა, ცოლმა სული განუტევაო, მერლოკს მაინც ეყო იმის გონება, რომ საჭირო იყო მიცვალებულის გაპატიოსნება. ამ წმინდა მოვალეობის შესრულებისას წარამარა შეცდომას უშვებდა, რაღაც-რაღაცები ეშლებოდა, ზოგ რამეს რამდენჯერმე აკეთებდა. ისიც უკვირდა, რომ არ უტირია, უკვირდა და, ცოტა არ იყოს, რცხვენოდა კიდეც, რა წესია, კაცმა მიცვალებული არ იგლოვოსო.

– ხვალ, – ხმამაღლა წარმოთქვა მან, – კუბოს გაკეთება და საფლავის გათხრა იქნება საჭირო, აი, მაშინ კი მართლა ვიგრძნობ უმისობას, რაკი ვეღარ დავინახავ. ახლა კი, მიუხედავად იმისა, რომ მკვდარია, მაინც ყველაფერი კარგადაა. სიკვდილი არც ისეთი საშინელება ყოფილა, როგორც ჩვენ გვგონია.

იგი თავზედგა გვამს, რომელსაც სანთლის მქრქალი შუქი ეფინებოდა, თმას უსწორებდა და უწესრიგებდა უბრალო მორთულობას. ამ ყველაფერს მექანიკურად აკეთებდა, თითქოსდა უგულოდ. მიუხედავად ამისა, მაინც არ შორდებოდა იმის ბუნდოვანი შეგრძნება, რომ ყველაფერი კარგად იყო, რომ ცოლი ისევ მის გვერდით იქნებოდა და ისევ ბედნიერები იქნებოდნენ. ადრე არასოდეს განეცადა მწუხარება და არც იცოდა, როგორ უნდა ეგლოვა. მისი

გული ვერ იტევდა მთელ წუხილს და არც იმდენი წარმოსახვა გააჩნდა, რომ მთელი ამ ტრაგედიის სიღრმეს ჩასწვდომოდა. ვერც იმას ხვდებოდა, რამდენად იყო გაოგნებული თავს დატეხილი უბედურებისგან. ამას იგი მოგვიანებით შეიგრძნობდა და ვეღარც შეძლებდა ამ განცდისგან გათავისუფლებას. დარდი ადამიანში ხომ ისეთ განსხვავებულ ძალებს აღვიძებს, როგორი განსხვავებულიც ის ინსტრუმენტებია, რომლებზეც სამგლოვიარო ჰანგებს აჟღერებენ. ზოგიერთი მკვეთრ, შემადრწუნებელ ბგერებს გამოსცემს, სხვები დაბალ, მწუხარე ჰანგებს, ზოგის ხმა დოლის ყრუ ბრაგუნით ისმის. ასევეა უეცარი ელდა – ზოგს შეადრწუნებს, ზოგს ადუნებს, ზოგს ისარივით განგმირავს, ზოგს გრძნობასა და გონებას უფხიზლებს, ზოგს კი აბრუებს, თითქოს დიდი ჯოხი დაჰკრეს თავშიო.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მწუხარებამ სწორედ ასეთი გავლენა მოახდინა მერლოკზე, რადგან, თუ ფრიად სარწმუნო ფაქტებს მოვიშველიებთ, როგორც კი თავის საღვთო საქმეს მორჩა, მძიმედ დაეშვა სკამზე მაგიდის გვერდით, სადაც მისი ცოლის ცხედარი ესვენა და გარშემო ჩამოწოლილ სიბნელეში ბუნდოვნად მოჩანდა ქალის გადათეთრებული სახის ნაკვთები. მერლოკმა ხელები მაგიდის კიდე



დააყრდნო და თავი ზედ ჩამოსდო ისე, რომ ერთი წვეთი ცრემლიც არ ჩამოვარდნია. საშინელ დაღლილობას გრძნობდა. სწორედ ამ დროს ღია ფანჯრიდან გაბმული ყმუილი მოესმა, თითქოს ბნელ, უღრან ტყეში გზააბნეული ბავშვი ტიროდა. მერლოკი არ განძრეულა. მალე, უფრო ახლოს, ისევ გაისმა ეს შემადრწუნებელი

გოდება, რომელიც უკვე ძლივს აღწევდა გადაღლილი მერლოკის გონებამდე, რომლისთვისაც უკვე ძილს წაერთმია თავი. შესაძლოა, ეს გარეული ცხოველის ყმუილი იყო, იქნებ მერლოკს მოეჩვენა კიდეც, რადგან უკვე ღრმა ძილს წაერთვა მისთვის თავი.

რამდენიმე საათის შემდეგ, როგორც ეს შემდეგ გაირკვა, მერლოკს გაეღვიძა. თავი წამოსწია და, თვითონაც არ იცოდა, რატომ, სიბნელეს მიაყურადა. უეცრად ყველაფერი გაახსენდა, რაც მოხდა. სიბნელეში, გვამის გვერდით მჯდომი დაძაბული მისჩერებოდა სიბნელეს, თუმცა თვითონაც არ იცოდა, რისი დანახვა სურდა. შეგრძნების უნარი გაუმძაფრდა, ძარღვებში სისხლის დინება შეუწყლდა, თითქოს მდუმარების დარღვევას ვერ ბედავდა. ვინ ან რამ გააღვიძა ასე უეცრად და სად იყო ეს ვიღაც თუ რაღაც?

უცხად მის მკლავებზე მავიდა შექანდა და იმავე წამს მსუბუქი, ფრთხილი ნაბიჯების ხმა მოესმა, ან იქნებ მოეჩვენა კიდეც, თითქოს იატაკზე ვიღაც შიშველი ფეხებით დატყაპუნობდა.

შიშისგან თავზარდაცემული მერლოკი ველარ ინძრეოდა, დაყვირებაც ვერ შეძლო. თითქოს გაქვავდა, დრო უსასრულოდ იწელებოდა, იჯდა და იცდიდა სიბნელეში, გამოუთქმელი შიშით მოცული, რაც ადამიანმა მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ შეიძლება გადაიტანოს, რომ მერე სხვებს უამბოს. ამაოდ ცდილობდა წარმოეთქვა მიცვალებულის სახელი, ამაოდ ცდილობდა

ხელი გაეწია და მოესინჯა, იქ იყო თუ არა ისევ გვამი. ყელი გაუშრა, ხელები დაუმძიმდა. მერე კი უფრო შემზარავი რაღაც მოხდა: ვეებერთელა, გაურკვეველი სხეული მაგიდას ისეთი ძალით დაეძგერა, რომ მერლოკი კინაღამ სკამიდან გადმოვარდა. მაშინვე გაიგონა და იგრძნო, როგორ მოადინა რაღაცამ ბრაგვანი იატაკზე ისე ძლიერად, რომ მთელი სახლი შეზანზარდა. ამას რაღაც ძიძგილაობა მოჰყვა, თან ისეთი საზარელი ხროტინი ისმოდა, რომ შეუძლებელია ამის ენით აღწერა და გადმოცემა. მერლოკი ფეხზე წამოვარდა. შიშმა საბოლოოდ დაუკარგა განცდის ყველანაირი უნარი. მაგიდაზე ხელი მოაფათურა... ცარიელი იყო!..

ხანდახან ისევ ხდება, რომ გადამეტებული ელდა ადამიანს გონებას უკარგავს და შიშისგან დაფეთებული კაცი მაშინვე მოქმედებას იწყებს. მერლოკი, ისე, რომ არც რაიმე მიზანი ჰქონია და სიგიჟეს უფრო ემორჩილებოდა, გადარეული ეცა კედელს, ხელის ცეცებით თოფს მისწვდა და დაუმიზნებლად გაისროლა სიბნელეში. სროლის გაეღვივებამ კაშკაშა სინათლე მოჰფინა ოთახს და მერლოკმა უშველებელი ავაზა დაინახა, რომელიც კბილებით ყელში სწვდომოდა მკვდარ ქალს და ფანჯრისკენ მიათრევდა. მერე ისევ სიჩუმე და უკუნის სიბნელე გამეფდა.

როდესაც მერლოკი გონს მოეგო, მზე ამოსულიყო და მთელ ტყეში ფრინველების გალობა და ჟრიამული იდგა. მისი ცოლის გვამი ფანჯარასთან ეგდო, იქ იგი სროლის გაღვებითა და ხმაურით დამფრთხალ და გაქცეულ ნადირს მიეტოვებინა. ქალს ტანსაცმელი ასწეწოდა, თმა

აჩეჩვოდა, ხელ-ფეხი აქეთ-იქით გადაეყარა, გამოღადრული ყელიდან გადმოდენილ სისხლს ჯერ ვერ მოესწრო შედედება. ბაფთა, რომლითაც ქალს მაჯები ჰქონდა შეკრული, გაგლეჯილი იყო, თითები მოეკრუნჩხა, კბილებში კი ავაზის ყურის ნაგლეჯი ჰქონდა გაჩრილი.

## დატყვევება

კენტუკის მკვიდრი ორინ ბროუერი, რომელმაც ცოლისძმა მოკლა, მართლმსაჯულებას გაექცა. ოლქის ციხიდან, სადაც იგი საქმის გარჩევამდე ჩასვეს, თავის დადწევა იმით შეძლო, რომ ციხის მცველს თავში რკინის ჯოხი ჩასცხო, გასაღებები წაართვა, გასასვლელი კარი გააღო და ღამის წყვდიადს შეეფარა. ციხის მცველს იარაღი არ ჰქონია და ამიტომ ვერც ბროუერმა ჩაიგდო ხელთ ისეთი რამ, რაც მას მოპოვებული თავისუფლების დასაცავად დაეხმარებოდა. როგორც კი ქალაქს გასცდა, მაშინვე დაუფიქრებლად ტყეს შეაფარა თავი. ეს ამბავი მრავალი წლის წინ მოხდა და იმ დროს ის მხარე ახლანდელზე მეტად იყო დაფარული ხშირი, უღრანი ტყით.

უკუნი ღამე იყო, არც მთვარე ანათებდა და არც ვარსკვლავები ჩანდა ზეცაზე. ბროუერს იმ მიდამოებში ადრე არასოდეს უცხოვრია და ამიტომ არც იქაურ ადგილებს იცნობდა, ამიტომაც მალე გზა აებნა. ვეღარ იგებდა, შორდებოდა თუ უახლოვდებოდა ქალაქს – ამას კი ორინ ბროუერისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. იცოდა, რომ ორივე შემთხვევაში ქალაქის მცხოვრებნი უკან დაედევნებოდნენ და მეძებრებსაც ჩაუყენებდნენ კვალში. გადარჩენის იმედი თითქმის გადაწურული ჰქონდა, მაგრამ მაინც არ უნდოდა მდევნელებისთვის საქმე გაემარტივებინა, რადგან მისთვის იმასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ერთი საათით მაინც თუ

გაიხანგრძლივებდა თავისუფლებას. უეცრად ტყიდან ერთ მივარდნილ გზაზე ამოყო თავი და თითქოს ბუნდოვნად დაინახა შორიახლოს, სიბნელეში გაუნძრევლად მდგარი ადამიანის ფიგურა. უკან დახევა უკვე გვიანი, იყო, ციხიდან გამოქცეულმა იგრძნო, რომ როგორც კი ტყისკენ მიბრუნებას შეეცდებოდა, მაშინვე (ასე ახსნა მან შემდგომში) „ზურგში ტყვიას დაახლიდნენ“. ამიტომ ორივენი გახევებული იდგნენ, ბროუერი, რომელიც შიშისგან აფართხალეულ გულს მკერდში ვერ იჩერებდა, და მეორე, რომლის განცდებზეც ჩვენთვის არაფერია ცნობილი.

გავიდა ერთი წუთი, შეიძლება ერთი საათიც, ღრუბლებიდან ცაზე მთვარემ გამოანათა და გამოქცეულმა გარკვევით დაინახა, როგორ აღმართა მართლმსაჯულების ამ განსახიერებამ ხელი და მის უკან მიმავალ გზაზე მიუთითა. ბროუერი მიუხვდა. ზურგი შეაქცია თავის დამატყვევებელს და მორჩილად გაჰყვა ნაჩვენები მიმართულებით მიმავალ გზას ისე, რომ აქეთ-იქით ყურებაც აღარ დაუწყია, თან სუნთქვა ეკვროდა, გულს ბაგა-ბუგი გაუდიოდა, კეფასა და ზურგში სროლის მოლოდინით ტკივილს გრძნობდა.

ბროუერი საკმაოდ მამაცი ადამიანი იყო. ეს მაშინაც კარგად გამოჩნდა, როდესაც საკუთარ თავს დამტყვარი საფრთხე აინუნშიც არ ჩაუგდია და მაინც გამოასალმა სიცოცხლეს თავისი ცოლისძმა. აქ ნამდვილად ზედმეტია დაპირისპირებისა და მკვლელობის ამბების აღწერა. ამ

ყველაფერმა საქმის გარჩევისას იჩინა თავი და თავისმა სიმშვიდემ კინალამ სასჯელიც კი ააცილა ბროუერს. მაგრამ, ახლა რაღა უნდა ექნა? თუ მამაც კაცს აჯობებს, სხვა რა გზა რჩება გარდა იმისა, რომ ბედს დამორჩილდეს.

მოკლედ, ასე იყო თუ ისე, მათ ორივემ განაგრძეს გზა ტყის გავლითსაპატიმროსკენ. ბროუერმა მხოლოდ ერთხელ მოიკრიბა გამბედაობა და უკან მიაბრუნა თავი. ისიც მაშინ, როცა თვითონ ჩაბნელებულ ჩრდილში მოექცა და იცოდა, რომ მეორეს მთვარის შუქი ანათებდა. მისი დამატყვევებელი ბერტონ დაფი აღმოჩნდა, ციხის მცველი. სახეზე მკვდრისფერი ედო და წარბს ზევით საზარლად უელავდა ჭრილობა, რომელიც ბროუერმა რკინის ჯოხით მიაყენა. მას შემდეგ ბროუერს უკან აღარ მიუხედავს.

ბოლოს, როგორც იქნა, ქალაქში შევიდნენ. ქუჩა შუქით იყო გაჩახჩახებული, მაგრამ არავინ ჩანდა, თითქოს ყველა სადღაც გახიზნულიყო. ბროუერი პირდაპირ ციხისკენ გაემართა, მთავარ შესასვლელს მიაშურა, მძიმე რკინის კარის სახელურს წაეტანა, ხელისკვრით შეაღო ისე, რომ თქმაც არ დასჭირვებია, შევიდა და მაშინვე ექვსი შეიარაღებული კაცის წინ აღმოჩნდა. მხოლოდ მაშინღა გაბედა და უკან მიიხედა. კარში მის გარდა სხვა არავინ შემოსულა.

მის წინ დერეფანში კი მაგიდაზე გაშხლართული ეგდო ბერტონ დაფის უსულო სხეული.

# მაკარჯერის ველის საიდუმლო

მაკარჯერის ველი ინდიელთა გორაკიდან ცხრა მილის დაშორებით, ჩრდილოდასავლეთით მდებარეობს. კაცმა რომ თქვას, ეს ველი კი არა, პატარა ღარტაფი უფროა დაბალი ტყით მოსილ ორ ფერდობს შორის. მანძილი მდინარის შესართავიდან მის სათავემდე ორ მილს არ აღემატება, ხოლო კალაპოტი ყველაზე განიერ ადგილას თორმეტიოდე იარდია. მდელო მთელი სიგანეზე პატარა ნაკადულითაა დაფარული, რომელიც ზამთრობით წყალუხვია, ადრე გაზაფხულზე კი ისე შრება, რომ მხოლოდ კალაპოტი ყოფს ერთმანეთისგან ორ დაქანებულ ფერდობს, რომელიც გაუვალი ეკალბარდებითა და კენკრის ბუჩქებითაა დაფარული. მაკარჯერის ველზე ცოცხალი სულიერი არსება არსად ჭაჭანებს, თუ შემთხვევით არ შემოეხეტა იმ მხარეში მცხოვრები რომელიმე მეტისმეტად თავგამოდებული მონადირე. ხუთი მილის მოშორებით მცხოვრებლებმა ამ ადგილის დასახელებაც კი არ იციან, რადგან იმ მიდამოებში ბევრი სხვა უსახელო ღირსშესანიშნაობაა, გაცილებით უფრო საინტერესო, ვიდრე მაკარჯერის ველი, ამიტომ არც უნდა ეცადოთ ადგილობრივთაგან ველის სახელწოდების წარმოშობის გარკვევას.

თუ შესართავიდან ველის სიღრმისკენ ნაკადულს გაუყვებით, შუა გზაზე კიდევ ერთი ღარტაფი შეგხვდებათ, რომლის მოკლე, დამშრალი კალაპოტი მთის ფერდობს მარჯვნიდან კვეთს. ორი

ხევის გადაკვეთაზე დაახლოებით ორი-სამი აკრის ფართობის მიწა იქმნება. რამდენიმე წლის წინ მასზე ერთი ნახევრად დანგრეული ფიცრული ქოხი იდგა, რომელშიც ერთადერთი ოთახი იყო. ის, თუ ვინ და როგორ მოახერხა ამ ქოხის აგება ასეთ მიუვალ ადგილას – არავინ იცის. შესაძლოა, ნაკადულის ახლანდელი კალაპოტი ოდესღაც გზა ყოფილიყო. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ამ ველზე ერთ დროს საკმაოდ გულმოდგინედ მიმდინარეობდა სამთო სამუშაოები, შესაძლოა, ოდესმე მადნის მთხრელებმა შემოაღწიეს თავიანთი სანოვაგითა და ხელსაწყოებით დატვირთული პირუტყვებიანად. ალბათ უნდა ვივარაუდოთ, რომ სამთო დამუშავებისგან მიღებული მოგება ვერ გაამართლებდა ხარჯებს, რომელთა გაღება საჭირო გახდებოდა მაკარჯერის ველის ცივილიზაციის რომელიმე ცენტრთან დასაკავშირებლად, რომელიც თავისი ხე-ტყის სახერხი ქარხნით იქნებოდა ცნობილი. ასეა თუ ისე, ამ მდელოზე შემორჩა ქოხი, უფრო სწორად, მისი ნაწილი. ქოხს კარ-ფანჯარა აღარ ჰქონდა, ხოლო ქვითკირით ამოყვანილი საკვამლე მილი ბალახებსა და ტოტებს დაეფარა. მწირი ავეჯი, რომელიც აქ ალბათ ოდესღაც იდგა, მონადირეთა კოცონებს შთაენთქა, ისევე, როგორც შენობის ქვედა ფიცრების დიდი ნაწილი.

1874 წლის ზაფხულის ერთ დღეს მე მაკარჯერის ველზე მივდიოდი და ნაკადულის დამშრალ კალაპოტს მივუყვებოდი მეორე, უფრო ვიწრო ველიდან. ის-ის იყო მწყერზე ვინადირე და ჩანთაში თორმეტამდე მოკლული ჩიტი მეგდო, როდესაც ზემოთ აღწერილ ქოხს მივადექი,

რომლის არსებობაზეც ადრე არასოდეს არაფერი მსმენია. სწრაფად შევათვალიერე ნახევრად დაშლილი ქოხი და ისევ ნადირობა გავაგრძელე. რაკი ბედი მწყალობდა, თითქმის მზის ჩასვლამდე შევრჩი იმ ადგილს და მხოლოდ მაშინღა გამახსენდა, რომ

საკმაოდ დავშორდი ადამიანთა ადგილსამყოფელს და დაღამებამდე ვეღარც კი მოვასწრებდი თავშესაფრის მოძიებას. სანადირო ჩანთაში საჭმელიბლომად მქონდა, ეს ძველი ქოხი კი სავსებით გამოსადეგი იყო თავის შესაფარებლად, თუკი თბილ და მშრალ ღამეს საერთოდ საჭიროა თავშესაფარი სიერა-ნევადის მთებში, უსაბნოდაც მშვენივრად გამოიძინებს წიწვებზე წამოწოლილი კაცი. მინდა ვაღიარო, რომ მარტოობა მიყვარს, განსაკუთრებით მომწონს ზაფხულის ღამეები და ამიტომაც ყოველგვარი ყოყმანის გარეშე გადავწყვიტე ქოხში დაბანაკება. ვიდრე სიბნელე ჩამოწვებოდა, ოთახის კუთხეში ტოტებისა და ფოთლებისგან ლოგინი მოვამზადე, ცეცხლზე კი უკვე მწყერი იწვებოდა. ალი მკრთალ სინათლეს ჰფენდა ოთახს. შევექცეოდი ჩემს მწირ ვახშამს, შემწვარ მწყერს, ზედ ღვინოს ვაყოლებდი და ამ მოლხენითა და სიმშვიდით ვტკბებოდი. მჯეროდა, რომ მსგავს სიამოვნებას ლამაზად გაწყობილი მაგიდა და კომფორტული ბინაც კი ვერ მიანიჭებს ადამიანს.

და მიუხედავად ამისა, მაინც მეჩვენებოდა, რომ ყველაფერი რიგზე არ იყო. ვილხენდი და ვისვენებდი, მაგრამ მაინც ვგრძნობდი, რომ რაღაც საფრთხე მემუქრებოდა. მალე ისიც შევამჩნიე, რომ უფრო ხშირად ვიყურებოდი კარისა და ფანჯრისკენ, ვიდრე ეს საჭირო იყო.

ღამის სიბნელეს გავცქეროდი და გულიდან არ მეშვებოდა რაღაც შეუცნობელი შემფოთება. თითქოს ქოხის მიღმა მიდამო ჩემდამი მტრულად განწყობილმა არსებებმა აავსეს – რეალურმაც და ზებუნებრივმაც. უმთავრესი მათ შორის იყო დათვი გრიზლი, რომელიც, როგორც ვიცოდი, ჯერ კიდევ გვხვდებოდა ამ ადგილებში. იმ ღამეს ერთნაირად მაფრთხობდა შესაძლებელიც და შეუძლებელიც.

ყველას, ვინც კი ოდესმე მსგავს სიტუაციაში მოხვედრილა, ალბათ შეუმჩნევია, რომ ღამდამოხით ნამდვილი და წარმოსახვითი საფრთხისგან გამოწვეული შიში ისე არ მოქმედებს ადამიანზე ღია ცის ქვეშ, როგორც კარდახურულ სახლში. ეს მაშინ ვიგრძენი, როცა ოთახის კუთხეში ფოთლებისა და ტოტებისგან შექმნილ საწოლზე მწოლიარე, თვალს ვადევნებდი, როგორ ნელდებოდა თანდათან ცეცხლი. როგორც კი უკანასკნელი ნაპერწკალი ჩაიფერფლა, ხელი წამოვავლე გვერდით დაგდებულ თოფს და ლულა კარისკენ მივმართე. ჩახმახი შევაცენე და თითი სასხლეტს მივადევ. სუნთქვა შემეკრა, ყველა კუნთი დაჭიმული მქონდა. რამდენიმე წუთის შემდეგ თოფი განზე გადავდე, რადგან სირცხვილისა და დამცირების გრძნობა დამეუფლა. რისი უნდა მშინებოდა? ან რატომ? თანაც მე, ადამიანს, რომელიც ღამის სიბნელეს უკეთ ვიცნობდი, ვიდრე ადამიანის სახეს. მე, ვისაც ცრუმორწმუნეობისადმი თანდაყოლილი მიდრეკილების გამო, რაც მეტ-ნაკლებად ახასიათებს ყველა ადამიანს, ყოველთვის შემეძლო გამორჩეულად შემეგრძნო მარტოობის, სიბნელისა და მდუმარების მომაჯადოებელი

მშვენიერება! ჩემი უაზრო შიში თავადვე არ მესმოდა, ამაზე ვფიქრობდი და ფიქრში წასულს ძილი მომერია, ჩაძინებულმა სიზმარი ვნახე.

უცხო ქვეყანაში, უცხო ქალაქში ვიმყოფებოდი. აქაური ხალხი ჩემს რომელიღაც მონათესავე ერს მაგონებდა და ოდნავ განსხვავდებოდა მათგან ტანსაცმლითა და მეტყველებით. და მაინც არ შემეძლო თქმა, ვინ იყო ეს ხალხი. მე მათ ისე ბუნდოვნად აღვიქვამდი, თითქოს ნისლში დაბორიალებდნენ. ქალაქის ცენტრში დიდი

ციხესიმაგრე იყო აღმართული. ვიცოდი, რა ერქვა მას, მაგრამ ვერაფრით ვერ ვახერხებდი მისი სახელის წარმოთქმას. მივყვებოდი უცნობ ქუჩებს, რომლებიც ხან ფართოდ და სწორად იყო გაჭიმული, თანაც დიდი, თანამედროვე შენობებით დამშვენებული, ხანაც ბნელი და დაკლანკილნი, წვეტიანქონგურებიან ძველებურ ნაგებობებს შორის. შენობების ზედა სართულები ხისა და ქვის ჩუქურთმებით იყო დამშვენებული.

ვეძებდი ვიღაცას, ვინც ადრე არასოდეს მენახა, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, რომ მაშინვე ვიცნობდი, როგორც კი თვალს მოვკრავდი. მაგრამ ჩემი ძებნა არ იყო უმიზნო და უწესრიგო. ვეძებდი გარკვეული წესით, მოწესრიგებულად გადავდიოდი ერთი ქუჩიდან მეორეზე და ისე დავდიოდი ვიწრო ქუჩების ლაბირინთში, სულაც არ მეშინოდა, რომ გზა ამეზნეოდა.

ბოლოს ქვით ნაგები უბრალო სახლის კართან შევჩერდი და დაუკაკუნებლად შევაღე კარი.

საკმაოდ ღარიბულად გაწყობილ ოთახში, რომელშიც შუქი ერთადერთი რომბისებრი შუშებჩასმული ფანჯრიდან შემოდიოდა, ორნი იმყოფებოდნენ – კაცი და ქალი. ყურადღება არ მოუქცევიათ ჩემთვის, მაგრამ არც გამკვირვებია, სიზმარში ხომ ასეთი რაღაცები ჩვეულებრივი ამბავია. კაცი და ქალი ერთმანეთს ხმას არ სცემდნენ, უძრავად ისხდნენ მოღუშულები, ოთახის სხვადასხვა კუთხეში.

ქალი ახალგაზრდა და საკმაოდ სრული აღნაგობის იყო. უცნაური, მკაცრი სილამაზის, დიდი თვალები ჰქონდა. მისი გარეგნობა განსაკუთრებით ნათლად აღიბეჭდა ჩემს მეხსიერებაში, მაგრამ სახე ვერ დავიმახსოვრე, სიზმარში ადამიანი ასეთ წვრილმანებს ვერ ამჩნევს. ქალს მხრებზე უჯრულა შალი ჰქონდა მოსხმული. მამაკაცი ქალზე გაცილებით ხანდაზმული ჩანდა. მის ჩაშავებულ, მძვინვარე სახეს კიდევ უფრო საზარელს ხდიდა გრძელი ნაიარევი, რომელიც ირიბად უსერავდა სახეს საფეთქლიდან უღვაშამდე. სიზმარში ისე მომეჩვენა, თითქოს ნაიარევი სახეზე კი არ ჰქონდა, არამედ თითქოს მის წინ მოძრაობდა – ამის აღწერაც კი მიჭირს – თითქოს თავისთავად იყო ასე. როგორც კი წყვილს შევხედე, მივხვდი, რომ ისინი ცოლ-ქმარი იყვნენ.

რა მოხდა შემდეგ, გარკვევით აღარ მახსოვს. ირგვლივ ყველაფერი აირია, ერთმანეთში აიზილა. ეს ალბათ იმის ბრალი იყო, რომ ჩემი გონება თანდათან ფხიზლდებოდა. თითქოს ჩემს

სიზმარში წარმოქმნილი სურათი და რეალური სამყარო გაერთიანდა, ერთმანეთში გადაიხლართა, მალე პირველი თანდათან გაფერმკრთალდა და ბოლოს სულაც გაქრა. მაშინ კი საბოლოოდ გამომეღვიძა ამ მივარდნილ ქოხში და მივხვდი, სად ვიმყოფებოდი.

სულელური შიში გამიქრა. თვალი რომ გავახილე, ცეცხლს შევხედე. იგი კი არ გამქრალიყო, უფრო გაღვივებულიყო კიდევ კერიაზე დაცემული ხის ტოტისგან. ქოხს კვლავ სინათლე მოეფინა. მე, როგორც ჩანს, რამდენიმე წუთით ჩამთვლიმა, მაგრამ ამ წუთების განმავლობაში ნანახმა სიზმარმა რატომღაც ძალიან ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე და ძილი გამიქრა, ამიტომ მალევე წამოვდექი, ერთად შევაგროვე

ახრჩოლებული ნაკვერჩხალი, ჩიბუხს მოვუკიდე და ფიქრებში შევუდექი მთელი იმ აზრების განსჯას, რაც დამესიზმრა.

მაშინ გამიჭირდებოდა იმის თქმა, რატომ მივიჩნიე ეს უცნაური სიზმარი ასეთი დიდი ყურადღების ღირსად. საკმარისი იყო რამდენიმე წუთი დავფიქრებულიყავი, რომ მაშინვე ვიცანი ჩემი სიზმრის ქალაქი. ეს ედინბურგი გახლდათ. ამქალაქში არასოდეს ვყოფილვარ. თუ ეს სიზმარი მოგონება იყო, მაშინ ეს მხოლოდ მხოლოდ ფოტოსურათებზე ნანახის და წიგნებში ამოკითხულის გახსენება შეიძლება ყოფილიყო. იმან, რომ ეს ქალაქი ამოვიცანი, ძალიან გამაკვირვა. საღი გონებისა და ნება-სურვილის წინააღმდეგ ჩემს ქვეცნობიერებაში რაღაც მიმტკიცებდა, რომ ამ ყველაფერს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. იგივე შეუცნობელი ძალა დაეუფლა ჩემი მეტყველების უნარს.

„რა თქმა უნდა, – ხმამაღლა წარმოვთქვი უნებურად, – მაკგრეგორები აქ, ალბათ, ედინბურგიდან ჩამოვიდნენ“.

იმ მომენტში არც ამ სიტყვებს, არც იმას, რომ ისინი მე წარმოვთქვი, არ გავუოცებოვარ. თითქოს სრულიად ბუნებრივი იყო, რომ მე ვიცოდი სიზმარში ნანახი ადამიანების სახელები და მათი თავგადასავალი. მაგრამ მალე მივხვდი, რამდენად უაზრო იყო ჩემი მსჯელობა და ხმამაღლა გამეცინა. ყალიონიდან ფერფლი გამოვბერტყე და ისევ გავიშობტე ტოტებითა და ფოთლებით აწყობილ საწოლზე. ვიწექი და გონებაგაფანტული შევყურებდი მიმქრალ ცეცხლს. აღარც სიზმარზე ვფიქრობდი, აღარც გარემოზე, რომელიც ირგვლივ მეხვია. ბოლოს ცეცხლის უკანასკნელმა ენამ იფეთქა, გაიწელა, მბჟუტავ ნაღვერდალს მოსცილდა და ჰაერში გაუჩინარდა. ირგვლივ სრული სიბნელე გამეფდა.

როგორც კი ცეცხლი ჩაქრა, მაშინვე მომესმა ყრუ ბრაგვანი, თითქოს რაღაც მძიმე ნივთი დავარდა და ჩემ ქვეშ იატაკი შეირყა. თვალის დახამხამებაში წამოვჯექი და ხელის ფათურით გვერდით მოდებულ თოფს დავუწყე ძებნა. მეგონა, რომელიღაც ნადირი გადმოხტა ფანჯარაში. მორყეულ ქოხს ზანზარი გაუდიოდა, როდესაც უცბად გავიგონე დარტყმების ხმა, ფეხების ტყაპუნი იატაკზე, მერე კი, იქვე, ჩემ გვერდით, თითქმის ხელის გაწვდენაზე, გაისმა ქალის საზარელი კივილი, რომელშიც სასიკვდილო ტანჯვა იგრძნობოდა. ასეთი საშინელი ყვირილი

არასოდეს გამეგონა. ამ კვილმა სრულიად გამომაცალა ძალა, თითქოს დამბლა დამეცა. საერთოდ ვერაფერს ვგრძნობდი იმ შემზარავი შიშის გარდა, რომელმაც მთელი ჩემი სხეული და გონება მოიცვა. საბედნიეროდ, იმავე წამს ჩემმა თითებმა თოფს მიაგნეს და ლულის სიცივემ შეძლო ჩემი დამშვიდება. ფეხზე წამოვხტი და თვალედაჭყეტილი სიბნელეს მივაცქერდი. გულისწამლები გოდება შეწყდა, მაგრამ ახლა მის მაგივრად კიდევ უფრო შემადრწუნებელი ხმა მესმოდა – მომაკვდავის მძიმე სუნთქვა და ხროტინი!

როდესაც სიბნელეს თვალი შევაჩვიე, მინავლებული ნაკვერჩხლების მკრთალ შუქზე თანდათან გავარჩიე კარ-ფანჯრის მოხაზულობა. შემდეგ სიბნელეში უფრო ნათლად გამოიკვეთა კედლები და იატაკი, და ბოლოს შევძელი მთელი ოთახის, ყველა მისი



კუთხე-კუნჭულის დანახვა, მაგრამ ოთახში არავინ იყო და აღარც სიჩუმეს არღვევდა რამე.

აკანკალებული ხელით როგორც იქნა გავაჩაღე ცეცხლი, მეორე ხელში ისევ თოფი მქონდა ჩაბლუჯული და ყურადღებით მოვათვალიერე ქოხი. არაფერს არ ეტყობოდა იმის რაიმე ნიშანი, რომ აქ ვინმე შემოსულიყოს. მტვრიან იატაკს მარტო ჩემი ფეხსაცმელების კვალი ემჩნეოდა, სხვა არაფერი. ისევ ჩიბუხს მოვუკიდე, ქოხის კედელს რამდენიმე ფიცარი ავაგლიჯე, რადგან სიბნელეში გარეთ გასვლა მაინც ვერ გავბედე, და ცეცხლს შევუკეთე. გათენებამდე ცეცხლის პირიდან ფეხი არ მომიცვლია, ჩიბუხს ვაფუილებდი, თან ფიქრებში ვიყავი ჩამირული და თან

ცეცხლს გამუდმებით ფიცრებს ვუკეთებდი. ახლა ალის ამ პაწია იმედის გაქრობას არავის და არაფერს დავანებებდი, მთელი ქვეყნის სიკეთეც რომ მოეტანათ ჩემთვის!

რამდენიმე წლის შემდეგ ქალაქ საკრამენტოში შევხვდი კაცს, გვარად მორგანს. მე მასთან სარეკომენდაციო ბარათი მქონდა სან-ფრანცისკოელი მეგობრისგან. მასთან რომ ვსადილობდი, კედლებზე სხვადასხვა ნადავლი შევნიშნე, რომლებიც მოწმობდნენ, რომ მასპინძელი თავგადადებული მონადირე უნდა ყოფილიყო და ასეც გამოდგა. თავისი ნადირობის ამბებს რომ მიყვებოდა, მორგანმა ის ადგილებიც ახსენა, სადაც ოდესღაც უცნაური ამბები შემემთხვა.

– მისტერ მორგან, – ვკითხე უეცრად მე, – ხომ არაფერი გსმენიათ იმ ადგილზე, რომელსაც მაკარჯერის ველს ეძახიან?

– მსმენია? – მომიგო მან გაკვირვებულმა, – განა მე არ ვიპოვე იქ კაცის ჩონჩხი და ამის შესახებ გაზეთებშიც გამოვაქვეყნე ამბავი?

ეს არ ვიცოდი. ალბათ ცნობა მაშინ გამოქვეყნდა, როდესაც მე აღმოსავლეთში ვიმყოფებოდი.

– სხვათა შორის, მინდა გითხრათ, – შენიშნა მორგანმა, – რომ მაგ ველს სახელწოდება საერთოდ

არ შეეფერება. უფრო სწორი იქნებოდა, ველისთვის მაკგრეგორის სახელი დაერქმიათ... ძვირფასო, – მიუბრუნდა იგი ცოლს, – ხედავ, მისტერ ელდერსონს ცოტა ღვინო დაექცა.

ეს ძალზე რბილად იყო ნათქვამი, რადგან სიმართლე რომ ვაღიაროთ, ღვინის ჭიქა ხელიდან გამივარდა და მთლიანად დაიქცა.

– ოდესღაც მაგ ველზე ერთი ძველი ქოხი იდგა, – განაგრძო მისტერ მორგანმა თხრობა, როცა ჩემი მოუქნელობით დარღვეული წესრიგი აღდგა. – მაგრამ ცოტა ხნით ადრე, ვიდრე მე მაგ ადგილებში გამოვჩნდებოდი, ქოხი ააფეთქეს, უფრო სწორად, საერთოდ გაანადგურეს აფეთქებით. ირგვლივ ყველგან ხის ნაფოტები ეყარა. იატაკის ფიცრები დაიშალა და მათ შორის ღრიჭოში მე და ჩემმა თანამგზავრმა შალის უჯრულა ნაგლეჯი დავინახეთ. კარგად რომ დავაკვირდით, აღმოჩნდა, რომ იგი შემოხვეული ჰქონდა ქალის გვამს, რომელიც უკვე ჩონჩხად ქცეულიყო და ზედ აქა-იქ სამოსისა და გამხმარი ყავისფერი კანის ნაგლეჯებილა შემორჩენოდა. მაგრამ

მოდით დავინდოთ ქალბატონი მორგანის გრძნობები, – ღიმილით შეწყვიტა ლაპარაკი მასპინძელმა.

მართლაც, მასპინძლის ცოლი ქმრის მონათხრობს უსმენდა და ზიზღს უფრო გამოხატავდა, ვიდრე თანაგრძნობას.

– და მაინც მინდა გითხრათ, – განაგრძო თხრობა მისტერ მორგანმა, – რომ თავის ქალაქალს რამდენიმე ადგილას ჩატეხილი ჰქონდა რაღაც ბლაგვი საგნით, სქელი ხის ჯოხით, რომელიც, სისხლის ლაქებით დაფარული, იქვე იატაკის ფიცრებქვეშ ეგდო. მისტერ მორგანი ცოლს მიუბრუნდა:

– მაპატიე, ძვირფასო, – წარმოთქვა მან მაღალფაროვნად, – რომ ასედეტალურად ჩამოვთვალე ცოლ-ქმრის ჩხუბის ბუნებრივი, თუმცა სამწუხარო ეპიზოდის წვრილმანები, რაც, სავარაუდოდ, უბედური ცოლის ურჩობით იყო გამოწვეული.

– მე უკვე დიდი ხანია აღარ ვაქცევ მაგას ყურადღებას, – გულგრილად უპასუხა ცოლმა, – შენ იმდენჯერ გისაუბრია ჩემთან სწორედ ასეთივე სიტყვებით.

მომეჩვენა, რომ მისტერ მორგანს გაუხარდა კიდეც, რომ თხრობის გაგრძელების შესაძლებლობა მიეცა.

– დიახ, ამ და ზოგიერთ სხვა ფაქტზე დაყრდნობით დაასკვნეს, რომ განსვენებული ჯანეტ მაკგრეგორი გარდაიცვალა უცნობის მიერ მიყენებული დარტყმებისგან, მაგრამ ისიც აღინიშნა,

რომ სერიოზული საფუძველი არსებობს, ამ ბოროტმოქმედებაში ეჭვი მიიტანონ მის ქმარზე, თომას მაკგრეგორზე, მაგრამ თომას მაკგრეგორი უკვალოდ გაქრა. გამოირკვა, რომ ცოლ-ქმარი ედინბურგიდან ჩამოვიდა და... ძვირფასო, ხომ ხედავ, რომ მისტერ ელდერსონის თეფშზე წყალი ასხია?

მე ქათმის ბარკალი წვნიანის ჯამში ჩამივარდა.

– კარადაში მაკგრეგორის ფოტოსურათი ვიპოვე, მაგრამ ვერც ეს დაგვეხმარა ბოროტმოქმედის კვალის მიგნებაში.

– შეიძლება დავხედო? – ვეცადე მშვიდად დამესვა კითხვა.

ფოტოსურათიდან მძვინვარე შავგვრემანი სახე შემომყურებდა, რომელსაც უფრო საზარელ იერს აძლევდა გრძელი ნაიარევი, ირიბად რომ გასდევდა საფეთქლიდან უღვაშამდე.

– სხვათა შორის, მისტერ ელდერსონ, – აღნიშნა ჩემმა თავაზიანმა მასპინძელმა, – ნება მომეცით, გკითხოთ, რატომ დაგაინტერესათ მაკარჯერის ველმა?

– ოდესღაც იქ ჯორი დაკარგე და იმ დანაკარგმა... ძალიან დამანადვლიანა.

– ძვირფასო, იქნებ მიაქციო ყურადღება, – წარმოთქვა მორგანმა უემოციო თარჯიმნის ხმით, – ჯორის დაკარგვამ მისტერ ელდერსონს ყავაში პილპილი ჩააყრევინა...

# ტყუპისცალი

წერილი, რომელიც განსვენებული  
მორტიმერ ბარის ქალაქებში იპოვეს

თქვენ მეკითხებით მე, როგორც ტყუპისცალს, მქონია თუ არა ცხოვრებაში ისეთი შემთხვევა, რომლის ახსნაც შეუძლებელია ცნობილი ბუნების კანონებით. ეს თავად განსაჯეთ. იქნებ ბუნების ყველა კანონს არც კი ვიცნობთ. შესაძლოა, თქვენ იცნობდეთ იმ კანონებს, რომელთა შესახებაც მე არაფერი მსმენია და ის, რაშიც მე ვერ გავრკვეულვარ, თქვენთვის სავსებით გასაგები იყოს.

თქვენ იცნობდით ჩემს ძმას, ჯონს, უფრო სწორად, ცნობდით მას, როდესაც დარწმუნებული იყავით, რომ მეც იქვე არ ვიმყოფებოდი, მაგრამ ეჭვი არ მეპარება, ვერც თქვენ და ვერც სხვა ვინმე ვერ გაგვარჩევდით, თუ თავად არ მოვინდომებდით ამას. ჩვენი მშობლებიც კი ვერ გვარჩევდნენ ერთმანეთისგან. ჯერ არ გამიგია, ასე ჰგავდეს ორი ადამიანი ერთმანეთს. ჩემს ძმაზე, ჯონზე მოგახსენებთ, მაგრამ სრულიად არ გამიკვირდება, თუ აღმოჩნდება, რომ მას ჰენრი ერქვა და მე კი ჯონი. ჩვენ წესების თანახმად მოგვნათლეს, მაგრამ მაჯებზე რომ

ასობიანი ჩხირები შეგვაბეს, ეკლესიის მსახურს რაღაც შეეშალა და მიუხედავად იმისა, რომ მე მკლავზე „ჰ“ მაწერია, ძმას კი – „ჯ“, მაინც არ არის ადვილი დასაჯერებელი, რომ ასობი არ აერიათ. ჩვენს ბავშვობაში მშობლები ცდილობდნენ ერთმანეთისგან უფრო სანდო საშუალებებით გავერჩიეთ – ტანსაცმლით, ან სხვა უბრალო ნიშნებით, მაგრამ ჩვენ ისე ხშირად ვიცვლიდით ტანსაცმელს და სხვადასხვა ოინს ვიგონებდით, როცა მათი შეცდომაში შეყვანა გვინდოდა, რომ მშობლებმა ხელი ჩაიქნიეს ამაზე. მთელი იმ წლების განმავლობაში, სანამ ერთად ვცხოვრობდით, ყველა აღიარებდა შექმნილი სიტუაციის სირთულეს და რაკი ვერაფერს გახდნენ, გამოსავალი იმაში იპოვეს, რომ ორივეს საერთო სახელი „ჯენრი“ დაგვარქვეს და ასეც მოგვმართავდნენ. ხშირად გამკვირვებია კიდევ, როგორ ეყო მოთმინება მამაჩემს და შუბლები არ დაგვიდალა, მაგრამ რაკი საერთო ჯამში არ ვიყავით ცუდი ბიჭები, ცელქობაში მეტისმეტად არ ვაჭარბებდით და არც ზედმეტად ვაბრაზებდით მშობლებს, დადაღვას გადავურჩით. მამაჩვენი გულკეთილი კაცი იყო და ეტყობა, ბუნების ეს თვალთმაქცობა ცოტათი ართობდა კიდევ.

მას შემდეგ, რაც კალიფორნიაში გადმოვედით და სან-ხოსეში დავსახლდით, ჩვენი ოჯახი დაიშალა, ერთ კვირაში ორივე მშობელი გარდაგვეცვალა. მამაჩვენი სიკვდილის წინ გაკოტრდა და ჩვენი სახლი ვალების გასტუმრებას შეეწირა. დები ნათესავებთან დაბრუნდნენ აღმოსავლეთში, მე და ჯონი მაშინ ოცდაორი წლისანი ვიყავით და თქვენი სიკეთის წყალობით

სამუშაოდ მოვეწყვეთ სან-ფრანცისკოში, ქალაქის სხვადასხვა უბანში. სიტუაციამ არ მოგვცა ერთად ცხოვრების საშუალება და ერთმანეთს იშვიათად ვნახულობდით, ზოგჯერ კვირაში ერთხელ, რადგან საერთო ნაცნობები ცოტა გვყავდა, ჩვენი საოცარი მსგავსების ამბავი ბევრმა არ იცოდა. ახლა კი თქვენს შეკითხვას მივადექი.

ამ ქალაქში დიდი ხნისგადმოსულები არ ვიყავით, როდესაც ერთსადაიმოს, უკვე შებინდებულზე, მარკეტ-სტრიტზე კარგად ჩაცმულმა შუახნის კაცმა შემაჩერა, გულთბილად მომესალმა და მითხრა:

– სტივენს, მე, რასაკვირველია, კარგად ვიცი, რომ ხშირად არ გამოდიხართ ხალხში, მაგრამ ჩემს ცოლს თქვენზე ველაპარაკე და იგი მოხარული იქნება, თუ სახლში გვესტუმრებით. მინდა იმედი ვიქონიო, რომ ღირს ჩემი გოგონების გაცნობა. კარგს იზამთ, თუ გვეწვევით ხვალ ექვს საათზე და ჩვენთან ერთად ისადილებთ, ოჯახურ წრეში, და თუ ჩემმა ქალბატონებმა ვერ გაგართეს, სიამოვნებით გეთამაშებით ერთიორ ხელ ბილიარდს“.

ეს ისეთი სიკეთით აღსავსე ღიმილით მითხრა, რომ უარის სათქმელად ძალა აღარ მეყო, და, მიუხედავად იმისა, რომ ეს კაცი მანამდე თვალით არ მენახა, მაინც მივუგე:

– ძალიან თავაზიანი ბრძანდებით, და თქვენს მოწვევასაც დიდი სიამოვნებით ვიღებ. გთხოვთ, ჩემი პატივისცემა დაუდასტუროთ ქალბატონ მარგოვანს და გადაეცით, რომ აუცილებლად გეწვევით.

მან ხელი ჩამომართვა და დამემშვიდობა. აშკარა იყო, ჩემს ძმაში შევეშალე. ასეთ შეცდომებს უკვე შეჩვეული ვიყავი და არასოდეს მოვყოლივარ ახსნა-განმარტებას, თუ საქმე ძალიან მნიშვნელოვან თემას არ ეხებოდა. მაგრამ საიდან ვიცოდი, რომ ამ კაცის გვარი მარგოვანი იყო? ეს არ გახლავთ ისეთი გვარი, რომელიც შეიძლება ალაღბედზე მიაწეროთ ვინმეს. სიმართლე რომ ვთქვათ, ეს გვარი ჩემთვის ისევე უცნობი იყო, როგორც ეს კაცი.

მეორე დილას იქით გავემურე, სადაც ჩემი ძმა მსახურობდა და სწორედ იმ დროს მივუსწარი, როდესაც დაწესებულებიდან გამოდიოდა. ხელში ქალაღებები ეჭირა, რომელთა მიხედვითაც ხელფასი უნდა აეღო. მოვუყევი ყველაფერს და თან დავუმატე, თუ ეს მიწვევა არ გაინტერესებს, მომავალშიც სიამოვნებით გავწევ შენს მაგივრობასმეთქი.

– უცნაურია, – ჩაფიქრებით თქვა მან. – მარგოვანი ერთადერთი კაცია ჩვენს სამსახურში, რომელსაც კარგად ვიცნობ და კარგი თვალთ ვუყურებ. ამ დილას რომ მოვიდა და ერთმანეთს ჩვეულებისამებრ მივესალმებთ, რაღაც ძალიან მათქმევინა: „მომიტევეთ, მისტერ მარგოვან,

მაგრამ რატომღაც დამავიწყდა მეკითხა თქვენი მისამართი“. მისამართი გამოვართვი, მაგრამ რა ჯანდაბად მინდოდა, აქამდე არ მესმოდა. ძალიან სასიამოვნოა, რომ მზად ხარ ითავო შენივე შეცდომის გამოსწორება, მაგრამ თუ არაფერი გაქვს საწინააღმდეგო, საქმეს თავად მივხედავ.

ჩემმა ძმამ იმ ოჯახში კიდევ რამდენჯერმე ისადილა – მე მგონი, ცოტა მეტიც კი მოუვიდა, საქმე ის გახლავთ, რომ მას შეუყვარდა მარგოვანის ქალიშვილი, ითხოვა მისი ხელი და ისიც დათანხმდა, თუმცა საკმაოდ უხალისოდ.

რამდენიმე კვირის შემდეგ, როდესაც მათი ნიშნობის ამბავი შემატყობინეს, თუმცა მანამდე, ვიდრე გავიცნობოდი მომავალ რძალს და მის ოჯახს, ერთხელ კირნისტრიტზე შევხვდი ერთ ლამაზ, მაგრამ ცოტა არ იყოს, შეფერთხილ კაცს, და

რალაც გუმანით მივხვდი, რომ უკან უნდა გავყოლოდი და თვალყური მედევნებინა, რაც ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე გავაკეთე კიდეც. მან გირი-სტრიტზე შეუხვია და მიჰყვა ამ ქუჩას, ვიდრე უნიონ-სკვერს მიადგა. შემდეგ საათზე დაიხედა და სკვერში შევიდა. ერთხანს აღმა-დაღმა იხეტიალა, ეტყობოდა, ვიღაცას ელოდა. მალე ერთი მოხდენილად გამოწყობილი და ლამაზი ქალი შეხვდა და ორივენი სტოკტონ-სტრიტს აუყვნენ. მეც, რასაკვირველია, უკან მივეყვი. მერე კი ვიგრძენი, რომ დიდი სიფრთხილე მმართვებდა, მართალია, იმ ქალს არ ვიცნობდი, მაინც მეგონა, რომ მაშინვე მიცნობდა, როგორც კი თვალს მომკრავდა. მათ რამდენჯერმე შეუხვიეს ქუჩიდან ქუჩაზე და

ბოლოს გაფაციცებით გაიხედ-გამოიხედეს აქეთ-იქით – ალბათ შემამჩნევდნენ კიდეც, რომელიღაც სადარბაზო შესასვლელისთვის რომ არ შემეფარებინა თავი – და შევიდნენ ერთ სახლში, რომლის ადგილმდებარეობა არ მინდა დავაკონკრეტო.

მერწმუნეთ, არავითარი კონკრეტული მიზანი არ მქონია, როდესაც მალულად თვალყურს ვადევნებდი ამ ჩემთვის სრულიად უცნობ ორ ადამიანს. ეს იმ შემთხვევათაგანია, როდესაც შემრცხვება თუ არა ჩემი საქციელის, მხოლოდ იმაზეა დამოკიდებული, თუ რას ვფიქრობ ადამიანზე, რომელიც ამ ამბავს გაიგებს. რადგან ძირითადად თქვენს შეკითხვას ვპასუხობ, შემძლია გითხრათ, რომ ამ ყველაფერს გიყვებით სინანულისა და სირცხვილის გარეშე.

ერთი კვირის შემდეგ ჯონმა თავისი სასიმამროს სახლში წამიყვანა და, როდენ გაოცებული დავრჩი, როდესაც მის მარგოვანში, ჩემს მომავალ სარძლოში, ამოვიცანი იმ სამარცხვინო თავგადასავლის გმირი ქალი. აუცილებლად უნდა ვაღიარო, რომ ის მართლაც საოცრად ლამაზი იყო. მაგრამ მისმა სიტურფემ იმდენად განმაცვიფრა, რომ ეჭვიც კი შემეპარა, მართლა ეს იყო თუ არა ის ქალი, ამას წინათ რომ ვიხილე. როგორ მოხდა, რომ მისმა სილამაზემ მაშინ შთაბეჭდილება არ მოახდინა ჩემზე? მაგრამ არა – შეცდომა წარმოუდგენელი იყო. განსხვავება მხოლოდ სამოსში, განათებასა და სიტუაციაში იყო.

ჯონმა და მე საღამო იმ სახლში გავატარეთ ისე, რომ კარგი ხასიათი არ გავგნელებია, მიუხედავად იმ უწყინარი ოხუნჯობისა, რისი მიზეზიც ჩვენი მსგავსება გახდა. როდესაც რამდენიმე წუთით მარტო დავრჩი ახალგაზრდა ქალთან, სახეში შევხედე და სრული სერიოზულობით ვუთხარი:

– ალბათ თქვენც, მის მარგოვან, ორეული გყავთ, მე ის გასული სამშაბათის ნაშუადღევს უნიონ-სკვერში ვნახე.

ქალიშვილი თავისი დიდი, ჭრელი თვალებით შემომამჩერდა, მაგრამ მისი მზერა ნაკლებ მტკიცე გამოდგა, ვიდრე ჩემი, თვალი ამარიდა და თავისი ფეხსაცმლის წვერს დააცქერდა.

– ძალიან მგავდა? – მკითხა მშვიდი ხმით, მაგრამ შევატყვე, თავს დიდ ძალას ატანდა.

– იმდენად გგავდათ, – მივუგე მე, – რომ თვალი ვეღარ მოვწყვიტე აღტაცებულმა და, გულახდილად მინდა გითხრათ, უკან გავყევი, ვიდრე... მის მარგოვან, დარწმუნებული ხართ, რომ კარგად გესმით, რის თქმას ვაპირებ?

მის მარგოვანი გაფითრდა, მაგრამ სიმშვიდე არ დაუკარგავს. ისევ თვალებში შემომჩერდა, ამჯერად არ შემდრკალა.

– რა გინდათ ჩემგან? – მკითხა მან. – ნუ მომერიდებით და დამისახელებთ თქვენი პირობები. მე მათ უსიტყვოდ ვიღებ.

აშკარა იყო, დროის იმ მცირე მონაკვეთში, რაც მოსაფიქრებლად დამრჩა, ამ ქალიშვილთან ჩვეულებრივი მიდგომა არ გამოდგებოდა და უბრალო შეგონება დროის ფუჭი კარგვა იქნებოდა.

– მის მარგოვან, – ვთქვი მე და დარწმუნებული ვარ, ჩემს ხმაში გამოსჭვიოდა თანაგრძნობა, რასაც მის მიმართ ნამდვილად ვგრძნობდი. – შეუძლებელია კაცს ეჭვი შეეპაროს იმაში, რომ თქვენ რაღაც საშინელი იძულების მსხვერპლი ხართ. ვიდრე ახალ უსიამოვნებას შეგამთხვევდეთ, მირჩევნია დაგეხმაროთ და კვლავ მოგაპოვებინოთ თავისუფლება. მან ნაღვლიანად და უმწეოდ გააქნია თავი, მე კი აღელვებულმა განვაგრძე:

– მაბნევს თქვენი სილამაზე, თქვენ მე სრულიად განმაიარალებთ თქვენი გულახდილობით. თუ შეგიძლიათ მოიქცეთ ისე, როგორც სინდისი გკარნახობთ, მაშინ, მჯერა, ისე გააკეთებთ, როგორც აჯობებს. თუ არა და, ღმერთი შეგვეწიოს ყველას! ჩემი შიში ნუ გექნებათ. მე თქვენი ქორწინების წინააღმდეგი სულ სხვა მოსაზრებით ვიქნები, ვეცდები რამე მოვიფიქრო.

ზუსტად ამ სიტყვებით არ მითქვამს, მაგრამ ასეთი იყო აზრი, რომელიც გამოვთქვი ჩემში უცაბედად აღძრული ერთმანეთის საწინააღმდეგო გრძნობების გავლენით. წამოვდექი და მივატოვე ისე, რომ აღარ შემიხედავს მისთვის. დანარჩენ სტუმრებს კარში შევეჩხე და რაც შემემლო მშვიდად წარმოვთქვი:

– მე მის მარგოვანს გამოვემშვიდობებ, არ მეგონა, თუ ასე გვიან იყო.

ჯონმა ჩემთან ერთად წამოსვლა გადაწყვიტა. ქუჩაში მკითხა, რაიმე უცნაურობა თუ შევატყვე ჯულისას ქცევაში.

– მგონი, თავს ცუდად გრძნობდა, – ვუთხარი მე, – სწორედ ამიტომაც წამოვედი. მეტი აღარაფერი გვითქვამს.

მეორე დღეს სახლში გვიან საღამოს დავბრუნდი. წინა დღეს მომხდარმა ამბავმა ძალიან ამაფორიაქა. თავს შეუძლოდ ვგრძნობდი, ვცდილობდი, სული მომეთქვა და გონება მომეკრიფა, ამიტომ სასეირნოდ გამოვედი სუფთა ჰაერზე, მაგრამ ვერ იქნა და ვერ გავთავისუფლდი საშინელების მომასწავებელი წინათგრძნობისგან, რაშიც ბოლომდე მიჭირდა გარკვევა. ცივი,

ნისლიანი ღამე იყო, ტანსაცმელი და თმა დამისველდა და სიცივისგან მაკანკალებდა. საშინაო ხალათგაცმული და ფლოსტებში ფეხებწაყოფილი აგიზგიზებული ბუხრის წინ დავჯექი, მაგრამ მაინც ვშფოთავდი, ახლა უკვე უბრალოდ კი არ ვკანკალებდი, ერთიანად მაცახცახებდა. მოახლოებული უბედურების შეგრძნება ისეთი ძალით დამეუფლა და შემბოჭა, რომ მომავალ უბედურებაზე ფიქრისგან თავი რომ დამეღწია, მეხსიერებაში ტკივილის მომგვრელი წარსული ეპიზოდი აღვიდგინე. გავიხსენე ჩემი

მშობლების სიკვდილი და უკანასკნელი მწუხარე სცენები, რაც მათ სასიკვდილო სარეცელთან და საფლავთან მოხდა. ყველაფერი ისე ბუნდოვნად და გაურკვეველად მახსენდებოდა, თითქოს ეს ამბები საუკუნეების წინ მოხდა და სხვას შეემთხვა. უცბად, ამ ფიქრებში შემოიჭრა და თითქოს ბასრი ფოლადივით მეკვეთა, შემომესმა შემზარავი ყვირილი, თითქოს ვიღაც სიკვდილს ებრძოდა! ჩემი ძმის ხმა ვიცანი. იგი ქუჩიდან ისმოდა, ჩემს ფანჯარასთან. ვეცი სარკმელს და გამოვალე. ქუჩის ფარანი თავის უღიმღამო, უსიცოცხლო შუქს სველ ასფალტსა და სახლების ფასადებს ჰფენდა. საყელოაწეული პოლიციელი კარიბჭის ძეღს მიყრდნობოდა და სიგარას აბოლებდა, სხვა არავინ ჩანდა. ფანჯარა მივხურე და ფარდა ჩამოვუშვი, ბუხარს მივუჯექი და ვცდილობდი ფიქრი სხვა რამეზე გადამეტანა. ეს მიზანი რომ უფრო ადვილად განმეხორციელებინა, გადავწყვიტე, რაიმე ჩვეულებრივი მოქმედება ჩამედინა და საათზე დავიხედე, თორმეტის ნახევარს უჩვენებდა, და ამ დროს ისევ გავიგონე საშინელი ყვირილი! თანაც ამჯერად იქვე, ოთახში, ჩემ გვერდით. თავზარი დამეცა და განძრევის თავიც არ მქონდა. რამდენიმე წუთის შემდეგ, ვეღარც კი ვიხსენებ, მანამდე რა მოხდა, რომელიღაც

უცნობ ქუჩაში ამოვყავი თავი და სწრაფად გავემურე წინ. არ ვიცოდი სად ვიმყოფებოდი, ან სად მივდიოდი, მაგრამ მალე კიბე ავირბინე ერთ სახლში, რომლის წინაც რამდენიმე ეტლი იდგა. აქა-იქ სინათლე კიაფობდა და ყრუ ხმები ისმოდა. ეს მისტერ მარგოვანის სახლი გახლდათ.

თქვენ უკვე იცით, კეთილო მეგობარო, რა მოხდა იქ. ერთ ოთახში ჯულია მარგოვანი იწვა. რამდენიმე საათის წინ საწამლავი დაელია. მეორე ოთახში კი ჯონ სტივენსი ეგდო და თავისივე ხელით ნასროლი დამბაჩის ტყვიით მკერდში მიყენებული ჭრილობიდან სისხლი სდიოდა. ოთახში რომ შევვარდი და ხელისკვრით ექიმები მოვიშორე, ძმას შუბლზე დავადე ხელი. მან თვალები გაახილა, უაზროდ შემომხედა, თვალები დახუჭა და სული განუტევა.

მე მხოლოდ ექვსი თვის შემდეგ მოვედი გონს და სიცოცხლეს კვლავ ვეზიარე თქვენს შესანიშნავ სახლში თქვენი სათნო მეუღლის წყალობით. ეს ყველაფერი თქვენთვის ცნობილია, მაგრამ არის კიდევ ერთი რამ, რაც თქვენ არ იცით, თუმცა ამას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს თქვენი ფსიქოლოგიური კვლევისთვის, ყოველ შემთხვევაში, კვლევის იმ სფეროსთან, რომელშიც თქვენ, თქვენთვის დამახასიათებელი დელიკატურობითა და ყურადღებით მთხოვეთ, შეძლებისდაგვარად დაგხმარებოდით.

რამდენიმე წლის შემდეგ ერთ მთვარიან ღამეს უნიონ-სკვერზე გავიარე. გვიანი იყო და ირგვლივ არავინ ჩანდა. მოგონებები თავისთავად მომეძალა, როდესაც იმ ადგილს მივუახლოვდი, სადაც ერთ დროს საბედისწერო პაემნის მოწმე გავხდი. ანგარიშმიუცემლად დავემორჩილე გრძნობას, რომელიც გვაიძულებს დავნებდეთ განსაკუთრებით მტკივნეულ ფიქრებს, და ერთ სკამზე ჩამოვჯექი. სკვერში ვიღაც კაცი შემოვიდა და ჩემკენ მომავალ გზას დაადგა. ხელები ზურგზე დაეწყო და თავი დაბლა დაეხარა. ეტყობოდა, ირგვლივ ვერაფერს ამჩნევდა. იმ ადგილს რომ მოუახლოვდა, სადაც მე ვიჯექი, მასში სწორედ ის კაცი ამოვიცანი, რომელიც ჩემ თვალწინ შეხვდა ჯულია მარგოვანს სწორედ აქ, რამდენიმე წლის წინ, თუმცა ძალიან იყო შეცვლილი –

გაჭაღარავებულიყო, გაცვეთილი ტანსაცმელი ეცვა და უღონოდ დააბიჯებდა. ეს ყველაფერი მის არეულ ცხოვრებაზე მოწმობდა. ავადმყოფობის ნიშნებიც ეტყობოდა. თმა უწესრიგოდ ჩამოშლოდა შუბლზე, რაც მას უცნაურ და ამავე დროს მიმზიდველ იერს ანიჭებდა. ეს კაცი თითქოს თავისუფალი კი არა, დამწყვდეული უფრო უნდა ყოფილიყო, თუნდაც საავადმყოფოში.

ყოველგვარი წინასწარი განზრახვის გარეშე წამოვდექი და წინ გადავუდექი. მანთავი ასწია და სახეში შემომხედა. სიტყვები არ მყოფნის იმ გამომეტყველების ასაწერად, რაც მას სახეზე ალბეჭდა. ენა ვერ იტყვის, თუ რა საშინელება აესახა თვალებში. ალბათ ეგონა, რომ პირისპირ შეეყარა მოჩვენებას, მაგრამ იგი გულადი კაცი გამოდგა.

„წყეულიმც იყავ, ჯონ სტივენს!“ – შეჰყვირა მან, მთრთოლვარე ხელი აღმართა და უნდოდა მუშტი გაერთყა ჩემთვის სახეში, მაგრამ წაიქცა და ხრეშზე წაემხო პირქვე. მე გამოვბრუნდი და წამოვედი.

ვიღაცამ ნახა იქ მისი უსულო გვამი. მასზე არაფერია ცნობილი, არ იციან მისი სახელიც კი. მაგრამ იმის ცოდნა, რომ კაცი ცოცხალი აღარ არის, სრულიად საკმარისი უნდა იყოს.





# წყეული არსება

## 1. ყველაფერი საჭმელი არ არის, რაც მაგიდაზე დევს

უხეშად აწყობილ ხის მაგიდას კაცი მისჯდომოდა და სანთლის შუქზე რაღაც წიგნს ჩაჰკირკიტებდა. ეს გახლდათ გვარიანად გაცრეცილი და გაცვეთილი დავთარი და ჩანდა, ხელნაწერი ძნელად გაირჩეოდა, რადგან კაცს წიგნაკი ყოველ წამს ცეცხლის ალთან მიჰქონდა, რომ შუქი უკეთ დასცემოდა ფურცელს. ასეთ დროს ოთახის ნახევარი ირდილებოდა და წყვდიადში ხვდებოდა სახეები და ფიგურები, რადგან, მკითხველის გარდა, იქ კიდევ რვა კაცი იყო. შვიდნი ტლანქი მორებით შეკოწიწებული კედლის გასწვრივ ჩუმად, ისხდნენ, გარინდულნი. მათთან ხელის გაწვდენაზე იყო მერვე კაცი, რომელიც მაგიდაზე გულაღმა იწვა. სანახევროდ ეფარა ზეწარი და ხელები ჩამოეკონწიალებინა. მკვდარი იყო.

მაგიდასთან მჯდომი ჩუმად კითხულობდა. დანარჩენები დუმდნენ. თითქოს ყველა მოლოდინს მისცემოდა, მიცვალებულის გარდა – ის აღარაფერს ელოდა. გარეთ გამეფებული უკუნიდან პაწაწინა სარკმლის გავლით მოისმოდა უდაბნოს სულის შემძვრელი ხმები: სადღაც შორეთში მოხეტიალე კოიოტის უწყვეტი ყმუილი, ჭრიჭინების შემაწუხებელი ჭრიჭინი, ღამის ფრინველთა კივილი, დღის შუქზე რომ ვერასოდეს გაიგონებ; მოუსვენარი, უშველებელი

ხოჭოების ზუზუნი და იდუმალი ქორო იმ ხმებისა, რომლებიც თითქოს შეუმჩნეველია, მაგრამ როგორც კი მიწყნარდება, მეტ კრთომას იწვევს. მაგრამ ეს ხმიანობა არც ერთ იქ მოფთაგანს არ შეუმჩნევია: არ სჩვეოდათ ამოცნობისმოყვარეობის გამომჟღავნება იმგვარი რამე-რუმეებისადმი, რასაც პრაქტიკული მნიშვნელობა არ აქვს; ეს მათ მკაცრ სახეებზეც, თითოეულ ნაკვთშიც კი იკითხებოდა – ნათლად ჩანდა სანთლის მქრქალ შუქზეც, ოთახს რომ ბუნდოვნად ანათებდა. კაცებს ეტყობოდათ, ადგილობრივი მკვიდრნი უნდა ყოფილიყვნენ – ფერმერები და ტყისმჭრელები.

წიგნს რომ კითხულობდა, ის კაცი სხვებისგან გამოირჩეოდა. აშკარად სხვა წრეს განეკუთვნებოდა – შედარებით მაღალ საზოგადოებას, თუმცა ჩაცმულობა ნაწილობრივ ქოხში მყოფებთან აახლოებდა. მის სერთუკს სან-ფრანცისკოში საკადრისად არავინ აღიარებდა; ფეხსაცმელიც არ ეცვა ქალაქელებისთვის დამახასიათებელი და მის სკამთან იატაკზე დაგდებული ფართოველიანი ქუდიც (ოთახში მხოლოდ ის იჯდა უქუდოდ) ისეთი იყო, რომ ვინც მას ამ კაცის თავსაბურავად მიიჩნევდა, ვერ გამოიცნობდა მის ჭეშმარიტ დანიშნულებას. სასიამოვნო გარეგნობა ჰქონდა, თუმცა მკაცრი იერი ედო, რაც, შესაძლოა, სულაც მოჩვენებითი იყო ან წლების განმავლობაში შეძენილი, როგორც ძალაუფლების მქონე ადამიანს ახასიათებს. ეს კაცი გამომძიებელი იყო და სწორედ თანამდებობის წყალობით მოხვდა მის ხელში დავთარი, რომელსაც ახლა ჩაჰკირკიტებდა. ეს ხელნაწერი მიცვალებულის ნივთებში იპოვეს იმ ქოხში, სადაც ახლა გამოძიება მიმდინარეობდა.

კითხვა როგორც კი დაასრულა, გამომძიებელმა წიგნი უბის ჯიბეში ჩაიღო. იმ წამს კარი გაიღო და ოთახში ახალგაზრდა კაცი შევიდა. არაფერი ემჩნეოდა, რომ მთაში

დაბადებული და გაზრდილი ყოფილიყო – ქალაქური ტანსაცმელი ემოსა, თუმცა გვარიანად გამტკერილი, ალბათ მგზავრობის დროს. თავაწყვეტილი მოაგელვებდა ცხენს, დაკითხვისთვის რომ დროულად მიესწრო. გამომძიებელი თავის დაქნევით მიესალმა; სხვა არავინ გამოხმაურებია ახალმოსულს.

– გელოდებით, – მიმართა გამომძიებელმა. – ეს საქმე დღესვე უნდა მოვამთავროთ.

ახალგაზრდამ გაიღიმა.

– მაპატიეთ, რომ შეგაყოვნეთ, – უპასუხა მან. – იმიტომ სულაც არ წავსულვარ, რომ გამოძიებას გავრიდებოდი; გაზეთისთვის უნდა მეუწყებინა მომხდარის შესახებ და ალბათ თქვენც იმიტომ დამიბარეთ, რომ ყველაფერს მოვყვე, რაც ვიცი. გამომძიებელს ღიმილმა გადაუარა სახეზე.

– ის ცნობა, რომელიც გაზეთს აუწყეთ, – თქვა მან. – ალბათ ძალიან განსხვავებული იქნება იმისგან, რასაც ჩვენ ფიცის ქვეშ გვაუწყებთ.

– მაგის განსჯა თქვენთვის მომინდია, – აღელვებულმა წარმოთქვა ახალგაზრდა კაცმა და ოდნავ წამოწითლდა კიდეც. – მე შავ პირზე ვწერდი, აი, გაზეთისთვის გაგზავნილი მასალის მონახაზი ინებეთ. თუმცაღა ახალი ამბის ფორმით არ არის დაწერილი, რადგან ყველაფერი, რაც მოხდა, ნამდვილად დაუჯერებელია. ცოტა გავამხატვრულე. შეგიძლიათ გამოიყენოთ როგორც იმ ჩვენების ნაწილი, ფიცის ქვეშ რომ მოგახსენებთ.

– კი, მაგრამ, თქვენ ამბობთ, რომ დაუჯერებელიაო?

– სერ, თქვენთვის მაინც არ ექნება მნიშვნელობა, თუ დავიფიცებ, რომ მართალია.

ჩანს, გამომძიებელზე დიდი შთაბეჭდილება არ მოუხდენია ახალგაზრდის ნაწყენ სიტყვებს. მცირე ხანს დუმდა იატაკს ჩაჩერებული. დანარჩენები ერთმანეთში ჩურჩულებდნენ და თან დაჟინებული მისჩერებოდნენ ცხედარს. ბოლოს დუმილი ისევ გამომძიებელმა დაარღვია:

– გავაგრძელოთ დაკითხვა. ყველამ ქუდი მოიხადა. მოწმემ ფიცი დადო.

– რა გქვიათ? – ჰკითხა გამომძიებელმა.

– უილიამ ჰარკერი.

– რამდენი წლის ხართ?

– ოცდაშვიდის.

– იცნობდით განსვენებულ ჰიუ მორგანს?

– დიახ.

– მასთან ერთად იყავით, როდესაც იგი გარდაიცვალა?

– მის სიახლოვეს გახლდით.

– დააკონკრეტეთ... მასთან თქვენს სიახლოვეს ვგულისხმობ.

– მასთან სტუმრად გახლდით რამდენიმე დღით, ნადირობადა თევზაობა მქონდა დაგეგმილი. ისიც მინდოდა, უკეთ გამეცნო თვითონ იგი და მისი უცნაური, კარჩაკეტილი ცხოვრება. მოთხრობისთვის საინტერესო ტიპაჟად მიმაჩნდა... ზოგჯერ მოთხრობებს ვწერ.

– ვიცი, მე ზოგჯერ ვკითხულობ მათ.

– მადლობას მოგახსენებთ.

– მე ვიგულისხმე საერთოდ მოთხრობები, და არა თქვენი.

ერთი-ორ მსაჯულს გაედიმა. ასეთ მოღუშულ გარემოში ხუმრობა საკმაოდ ეფექტურია ხოლმე. ომში ჯარისკაცები შეტაკებებსა და შეტაკებებს შორის ყოველთვის მზად არიან, ცოტა გაიცინონ და უკანასკნელ გზაზე წასვლამდე განსაკუთრებით ფასობს ენამახვილობა.

– თუ შეიძლება მოგვახსენეთ, რა ვითარებაში გარდაიცვალა ეს კაცი, – თქვა გამომძიებელმა. – თუ გნებავთ, შეგიძლიათ, თქვენი შენიშვნები და ჩანაწერები გამოიყენოთ.

მოწმე მიხვდა მინიშნებას. უბიდან ხელნაწერი ამოიღო, სანთელთან ახლოს მიიტანა და ფურცელს შეუდგა. ბოლოს მიაგნო საჭირო გვერდს და კითხვა დაიწყო.

## 2. რა შეიძლება მოხდეს შვრიის ველზე

„მზე ჯერ შუბისტარზე იდგა, სახლიდან რომ გამოვედით. საფანტით მწყერზე უნდა გვენადირა, მაგრამ მხოლოდ ერთი ძალი გვყავდა. მორგანმა მირჩია, მეზობელი მთის გადაღმა წავსულიყავით და ბუჩქნარში ჩაკარგულ ბილიკებს გავუყევით. მთის გადაღმა შედარებით დაბლობი ადგილები დაგვხვდა. შვრიის ველი გადაშლილიყო. ჯაგნარს რომ დავაღწიეთ თავი, მორგანი რამდენიმე ნაბიჯით მისწრებდა წინ. უცებ, ჩვენს მარჯვნივ, ოდნავ მოშორებით, უცნაური ხმაური შემოგვესმა: თითქოს რომელიღაც ცხოველი ღრიალებდა, მერე კი დავინახეთ, რომ ბუჩქები შეირხა.

„ალბათ ირემი შეაშინეს მონადირეებმა, – ვთქვი მე. – რა დასანანია, რომ სანადირო თოფები არ წამოვიღეთ“.

მორგანი გაჩერდა. დაძაბულმა შეხედა ბუჩქებს და კრინტი არ დაუძრავს, თუმცა ორივე ჩახმახი შეაყენა და დაუმიზნა კიდეც. ალელვებულიც ჩანდა, რამაც, მართალი გითხრათ, ფრიად გამაკვირვა, რადგან მორგანს ისეთი კაცის სახელი ჰქონდა, ძნელად რომ შეშინდებოდა და მძიმე ვითარებაშიც კი სიმშვიდეს ინარჩუნებდა.

„ნუთუ მაგ საფანტით აპირებთ ირმის მოკვლას?“ – მივმართე.

კვლავ არ გაუცია ხმა; მერე კი გავოგნდი, როცა ჩემკენ იბრუნა პირი და მის დაძაბულ სახეს შევეფეთე. მაშინ მივხვდი, რომ სახუმაროდ არ გვექონდა საქმე და ისიც კი გავიფიქრე, დათვის ხომ არ გადავეყარეთ-მეთქი. მორგანს მივუახლოვდი და მეც მოვმართე იარაღი.

ბუჩქები აღარ ირხეოდა. ხმაურიც შეწყდა, მაგრამ მორგანი ისევ ძარღვებდაჭიმული მისჩერებოდა იმ ადგილს.

„რა მოხდა? რა ჯანდაბაა?“ – ვკითხე მე.

„ეს ის არის, ის წყეული არსება“, – ისე მიპასუხა, თავი არ მოუბრუნებია. ხმა ჩახრინწვოდა, ცახცახებდა. კვლავ გამოლაპარაკებას ვაპირებდი, რომ ბუჩქები ისევ გაშრიალდა. განსაცვიფრებელი სანახაობა გახლდათ, რომელსაც სიტყვებით ვერ აღვწერ. უცებ თითქოს ქარმა დაუბერა და არა მარტო აშრიალებდა ბუჩქებსა და ბალახებს, არამედ მთლად თელავდა და ტკეპნიდა და ეს ქარბორბალა ნელ-ნელა ჩვენ გვიახლოვდებოდა.

ცხოვრებაში არაფერს გავუოცებდითვარ ისე, როგორც ამ უჩვეულო და აუწერელ მოვლენას, თუმცა,

მართალი რომ ვთქვა, არ შემშინებია. გამახსენდა, – და ამას ახლა იმიტომ მოგახსენებთ, რომ რაოდენ უცნაურადაც უნდა ჟღერდეს, სწორედ მაშინ გამახსენდა ეს ამბავი, – რომ ერთხელ სრულიად უაზროდ ვიყურებოდი ღია ფანჯარაში და უცებ ერთი პატარა ხე, ფანჯრის წინ ამოზრდილი, შორს აღმართულ უშველებელ ხეთა მწკრივში ამერია. თითქოს ისეთივე ზომის იყო, მაგრამ უფრო მკვეთრად იკვეთებოდა ცის ფონზე და გამოირჩეოდა კიდეც მათგან. ეს უბრალოდ პერსპექტივის კანონთა აღრევა გახლდათ, მაგრამ ძალიან კი დამაფრთხო. ჩვენ იმდენად გვჯერა ბუნების ჩვეულებრივი კანონების ქეშმარიტების, რომ მათგან ოდნავი გადახვევაც კი მაშინვე გვაფრთხობს, თითქოს რაღაც ხიფათი ან რაიმე შეუცნობელი უბედურება გველოდეს. ახლაც, ბალახის მცირე უმიზეზო შერხევა და ამ რხევის ზოლის ნელი, მტკიცე მოახლოება გვზაფრავდა. ჩანდა, ჩემი მეგზური გვარიანად შემფოთებულყო და თვალებიც კი მოვიფშვნიტე გაცეცხისგან, როცა დავინახე, როგორ გაწვა მიწაზე და მისკენ მოვარდნილ ფაფარაშლილ ბალახს დაუშინა! კვამლი ჯერ არ გაფანტულიყო, რომ მძვინვარე ხმა შემომესმა, თითქოს უცხო მხეცმა დაიღრიალა, – მორგანმა თოფი გადააგდო, გვერდზე ისკუპა და თავქუდმოგლეჯილი გაიქცა. სწორედ იმ წამს კვამლში გახვეული უცხო არსება მეცა და ძირს დამცა. რბილი და ერთდროულად მძიმე რაღაც იყო, რომელსაც საშინელი ძალა ჰქონდა.

ადგომა და თოფის აღებაც ვერ მოვასწარი (რომელიც ალბათ ამ არეულობაში თუ დამივარდა), რომ მორგანის ყვირილი შემომესმა. ეს სასიკვდილოდ განწირული კაცის ღრიალი იყო და ამ

ხმას ველური გმინვაც ემატებოდა: თითქოს ერთდროულად რამდენიმე ძაღლი იღრინებოდა და ერთმანეთს ფატრავდა. ძლივს წამოვდექი და იქით გავიხედე, საითკენაც მორგანი გარბოდა; ღმერთს ვთხოვ, აღარასდროს მარგუნოს ბედად მსგავსი რამის ხილვა! ჩემი მეგზური სულ რაღაც ოცდაათიოდე ნაბიჯში ცალ მუხლზე დამხობილი, თავგადაგდებული, თმაგაწეწილი მთლად ცახცახებდა. მარჯვენა ხელი ძაღლი აეწია, მაგრამ მტევანი არ უჩანდა, ყოველ შემთხვევაში, მე ვერ დავინახე. მეორე ხელი საერთოდ გამქრალიყო. როგორც ახლა მახსენდება, შიგადაშიგ მისი ტანის მხოლოდ რომელიმე ნაწილი ჩანდა; დანარჩენი თითქოს იშლებოდა (არც კი ვიცი, სხვაგვარად როგორ გამოვთქვა ეს მდგომარეობა), წამის შემდეგ სანახაობა თითქოს სახეს იცვლიდა და ტანი ისევ ჩნდებოდა.

ეს ყველაფერი, ალბათ, სულ რამდენიმე წამს გაგრძელდა. მორგანმა ამ ხანმოკლე პერიოდში მოასწრო, რომ მოჭიდავის დარად ყველა ის ილეთი გამოეყენებინა, რაც კი მასზე ბევრად ძლიერ და წონიან მოწინააღმდეგესთან გამკლავებაში გამოადგებოდა. თუმცა მე მხოლოდ მას ვხედავდი, და მასაც არც ისე მკაფიოდ. ამ ორთაბრძოლის განმავლობაში მორგანის გამუდმებული ყვირილი და ლანძღვა-გინება მესმოდა, რასაც შიგადაშიგ საშინელი ღრიალი თრგუნავდა – ასეთი ხმა ჯერარ არც ადამიანისგან და არც რომელიმე მხეცისგან არ გამეგონა.

მხოლოდ ერთ წუთს ვიდექი ასე დაბნეული, მერე თოფი მოვისროლე და მეგზურის საშველად

გავიქეცი. ერთი პირობა ისიც კი ვიფიქრე, კრუნჩხვა ხომ არ დაემართა-მეთქი. სანამ მივუახლოვდებოდი, მიწაზე გაიშოტა და გაირინდა. ყველაფერი მიწყნარდა, მაგრამ ახლა უფრო მეტად დაზაფრულმა დავინახე, რომ ბალახს ისეთივე იდუმალმა ქარმა გადაუარა და ძირს გართხმული კაცის გარშემო გათელილი ადგილიდან ტყისკენ რაღაცა „წაძუნძულდა“. ტყეს რომ მიაღწია ამ მოძრაობამ, მხოლოდ მაშინ დავხედე ჩემს მეგზურს და მივხვდი, იგი მკვდარი იყო.“

### 3. შეიძლება, რომ შიშველიც ძონძებით იყოს შემოსილი

გამომძიებელი ადგა და ცხედართან მივიდა. ზეწრის კიდე ასწია, მთლად გადაადრო და გაშიშვლებული ტანი გამოაჩინა, რომელსაც სანთლის შუქზე საზარელი სიყვითლე ეფინა. აქა-იქ ვეებერთელა მოლურჯო-მოშავო ლაქები ემჩნეოდა, რაც, ალბათ, სისხლის ჩაქცევის შედეგი უნდა ყოფილიყო. მკერდი და ფერდები ისე დაბეჭვოდა, თითქოს ჯოხებით უცემიათო. ტანი მთლად იარებით ჰქონდა დაფარული, კანი – დაფლეთოდა.

გამომძიებელი მეორე ბოლოდან მიადგა მაგიდას და გვამს ნიკაპზე აკრული აბრეშუმის ხელსახოცი ააძრო. ნაჭერი რომ მოხსნეს, ის გამოჩნდა, რაც ერთ დროს ამ კაცის ყელი უნდა ყოფილიყო. რამდენიმე ნაფიცი მსაჯული წამოდგა, რომ უკეთ დაენახა, მაგრამ წამსვე ინანეს

თავიანთი ცნობისმოყვარეობა და ზურგი აქციეს გვამს. მოწმე ჰარკერი გამოღებულ სარკმელს ეცა და რაფაზე გადაეკიდა – გული აერია, ძალა გამოლეოდა. გამომძიებელმა მკვდარს ყელზე ხელსახოცი დააფარა, ოთახის კუთხეში განმარტოვდა და ტანსაცმლის გროვიდან სხვადასხვა ნივთების ამოლაგება და სინათლეზე თვალიერება დაიწყო. ყველაფერი დაგლეჯილი და სისხლისგან გამხმარი იყო. მსაჯულებს აღარც დაუთვალა იერებიათ უფრო გულდასმით. ჩანდა, ინტერესი განელებოდათ, რადგან ყველაფერი მანამდე ენახათ; მათთვის ერთადერთ სიახლეს ჰარკერის ჩვენება წარმოადგენდა.

– ბატონებო, – თქვა გამომძიებელმა, – ვგონებ, სხვა მოწმე არ გვყავს. თქვენი მოვალეობა უკვე იცით; თუ საკითხავი არაფერი გაქვთ, შეგიძლიათ მიბრძანდეთ და თქვენი განაჩენი განიხილოთ.

ნაფიც მსაჯულთა უფროსი წამოდგა. მაღალი, წვეროსანი კაცი, სამოცი წლის. უბრალო ტანსაცმელში გამოწყობილი.

– მე მაქვს ერთი შეკითხვა, ბატონო გამომძიებელო, – თქვა მან. – ბოლოს რომელი საგიჟეთიდან გამოიქცა ეგ თქვენი მოწმე?

– მისტერ ჰარკერ, – სავსებით სერიოზულად და მშვიდად მიმართა გამომძიებელმა. – რომელი საგიჟეთიდან გამოიქცევით ბოლოს?

ჰარკერი ისევ წამოწითლდა, მაგრამ არაფერი უთქვამს, შვიდი მსაჯული კი ერთდროულად წამოდგა და ქოხიდან გავიდა.

– თუ ჩემს შეურაცხყოფას მორჩით, სერ, – თქვა ჰარკერმა, როგორც კი გამომძიებელთან ერთად ოთახში მარტო დარჩა, – ვფიქრობ, ნებას მომცემთ დაგტოვოთ.

– დიახ.

ჰარკერი გასასვლელისკენ გაემართა, მაგრამ კართან მისული უცებ გაჩერდა. პროფესიულმა ჩვეულებამ სძლია საკუთარი ღირსების შეგრძნებას. მოტრიალდა და თქვა:

– თქვენ რომ წიგნი გეკავათ ხელში, ვიცანი, მორგანის დღიური იყო. ჩანდა, ძალიან გაგიტაცათ: კითხვა არ შეგიწყვეტიათ, ვიდრე მე ჩვენებას ვიძლეოდი. შეიძლება, თვალი გადავაავლო? ალბათ ჩემს მკითხველებს დააინტერესებთ...

– დღიური საქმეში არ იქნება ჩართული, – მიუგო გამომძიებელმა და წიგნი ჯიბეში ჩაიღო. – ყველა ჩანაწერი ავტორის სიკვდილამდეა გაკეთებული.

როდესაც ჰარკერი სახლიდან გავიდა, ნაფიცი მსაჯულები შემობრუნდნენ და იმ მაგიდის გარშემო გამწვრივდნენ, რომელზეც ზეწარგადაფარებული გვამი იდო. მამასახლისი სანთელთან ჩამოჯდა, ჯიბიდან ფანქარი და ქალაღის ნაგლეჯი ამოიღო და განაჩენი დაწერა, რომელსაც გარკვეული ძალისხმევით გამოჩენის შედეგად ყველამ მოაწერა ხელი:

– ჩვენ, ნაფიცმა მსაჯულებმა, დავადგინეთ, რომ ცხედარი მთის ლომს ემსხვერპლა, მაგრამ ზოგიერთ ჩვენგანს მაინც მიაჩნია, რომ მას ავმა ზნემ დარია ხელი.

#### 4. ახსნა-განმარტება საიქიოდან

გარდაცვლილი ჰიუ მორგანის დღიურში საკმაოდ საინტერესო ჩანაწერებია და მათ ერთგვარი სამეცნიერო მნიშვნელობაც კი ენიჭებათ, ჰიპოთეზასავითაც კი. ძიების დროს დღიური არ წაუკითხავთ; როგორც ჩანს, გამომძიებელმა გადაწყვიტა, ნაფიცი მსაჯულებისთვის გონება არ აერია. პირველი ჩანაწერის თარიღის დადგენა შეუძლებელია, ფურცლის ზედა ნაწილი მოხეულია; შემორჩენილი ჩანაწერი იუწყება:

„...გამუდმებით ნახევარ წრეზე დარბოდა და თავი ცენტრისკენ ეჭირა. შემდეგ ისევ ჩერდებოდა და გააფთრებით უყევდა. ბოლოს გამალებული შევარდა ბუჩქებში. ჯერ მეგონა, გაცოფდა-მეთქი, მაგრამ შინ მობრუნებულს ვერაფერი შევამჩნიე უჩვეულო, გარდა იმისა, რაც ადამიანმა შეიძლება სასჯელის მოლოდინის შიშად ჩათვალოს.

შეუძლია კი ძაღლს ცხვირით ცქერა? შეუძლია სუნს ტვინის ცენტრში იმ საგნის სახის აღბეჭდვა, რომელსაც ეს სუნი ასდის?“

2 სექტემბერი. „გუშინ ღამით ვარსკვლავებს რომ ვუცქერდი და თვალს ვადევნებდი, როგორ ეწყობოდნენ ისინი მთის თავზე, სახლის აღმოსავლეთით, შევნიშნე, რომ ერთიმეორის მიყოლებით ქრებოდნენ – მარცხნიდან მარჯვნივ. ყოველი მათგანი მხოლოდ ერთი წამით ქრებოდა, თან ერთსა და იმავე დროს ყველა კი არ ეფარებოდა თვალს, არამედ ერთი ან რამდენიმე ვარსკვლავიც კი. მერე თითქოს ჩემსა და მათ შორის რაღაც მოძრაობდა, ვერ გავარკვეე, კონკრეტულად რა იყო, ვარსკვლავები აქა-იქ გაბნეულიყვნენ და ძნელი იყო მოძრავი საგნის კონტურებისდაჭერა. ოჰ! არ მომწონს ეს ამბავი...“

აქ რამდენიმე კვირის ჩანაწერი აკლია – წიგნიდან სამი ფურცელია ამოხეული.

27 სექტემბერი. „იგი ისევ იყო აქ: ყოველდღე ვაწყდები მისი ბოროტმოქმედების ნაკვალევს. გუშინ მთელი ღამე ვდარაჯობდი იმავე ადგილას, თოფით ხელში, თან ორივე ლულა მსხვილი საფანტით მქონდა დატენილი. დილით კი ახალი ნაკვალევი ვნახე, ისევ ისეთი. არადა, შემძლია დავიფიცო, რომ არ მძინებია და თვალიც კი არ მომიხუჭავს, – სიმართლე რომ ითქვას, ძილი არც კი მეკარება. საშინელებაა! აუტანელი რამაა!“

თუ ეს ყოვლად უცნაური მოვლენები რეალურად ხდება, გავვიწყდები; თუ ეს ჩემი წარმოსახვის ნაყოფია, მაშინ უკვე შეშლილი ვყოფილვარ“.

3 ოქტომბერი. „არსადაც არ წავალ, ის მე აქედან ვერ გამაგდებს, ვერა! ეს ჩემი სახლკარია და ჩემი მიწა. ღმერთი ვერ იტანს ლაჩრებს!“

5 ოქტომბერი. „მეტი აღარ შემძლია. ჰარკერი მოვიპატიჟე ჩემთან რამდენიმე კვირის გასატარებლად – იგი ფხიზელი გონების ადამიანია. მისი საქციელით მივხვდები, გიჟი ვარ თუ არა“.

7 ოქტომბერი. „როგორც იქნა, მივაგენი ამ გამოცანის ამოხსნას. ეს დღეს მოხდა, ღამით – უცებ, თითქოს გონება გამინათდაო. რა უბრალო, საშინლად უბრალო რამ გამოდგა! ხომ არსებობს

ისეთი ბგერები, ჩვენ რომ არ გვესმის. გამის ბოლოს არის ნოტები, რომლებიც არ არხევენ ისეთი არასრულყოფილი ინსტრუმენტის სიმებს, როგორც ადამიანის ყურია. ეს ბგერები ან მეტისმეტად მაღალია, ან მეტისმეტად დაბალი. ბევრჯერ მინახავს შაშვების გუნდი ხის ან რამდენიმე ხის კენწეროზე შემომსხდარი, ჟრიაბული რომ ჰქონდათ ატეხილი. და უცებ, თითქოს ერთსა და იმავე წამს ყველა ერთად დაიჟიჟივეს, აფრთხილდება და იქაურობას გაეცლება. რატომ? ერთმანეთს ვერ ხედავდნენ – ხის კენწეროები ეფარებოდათ. ყველა ჩიტი ერთდროულად ვერ დაინახავდა თავის მეთაურს, სადაც უნდა ყოფილიყო იგი. ალბათ, რაღაც სიგნალი გაისმა მაღალ ნოტზე, რომელმაც ყველა სხვა ხმა გადაფარა, მაგრამ მე არ მესმოდა. ისეც ყოფილა, რომ მინახავს, ერთდროულად როგორ წამოშლილა უხმოდ არა მარტო შაშვების, არამედ სხვა ფრინველების გუნდიც, მაგალითად, მწყერების, რომლებსაც ერთმანეთს ბუჩქები აშორებდა ან ბორცვის აქეთ-იქით მდებარე ფერდობებზეც კი მსხდარან. მეზღვაურებმა იციან, რომ მზეს მიფიცხებული, ოკეანის ზედაპირზე გაწოლილი ვეშაპების გუნდები, ერთმანეთისგან რამდენიმე მილით დაშორებული, ზოგჯერ ერთსა და იმავე წამს უცებ ჩაყვინთავენ და თვალს მიეფარებიან. მათ ნიშანი



მისცეს – მეტისმეტად ყრუ ბგერა ანძაზე და გემბანზე მყოფი მეზღვაურებისთვის. მიუხედავად ამისა, ისინი მაინც გრძნობენ ამ ბგერას ხომალდის გუგუნში, სწორედ ისევე, როგორც ტაძრის თაღები ორღანის ბანს ეხმიანებიან ხოლმე. იგივე ემართება არა მარტო ბგერას, არამედ ფერსაც. მზის სპექტრის ორივე მხარეს ქიმიკოსმა შეიძლება აღმოაჩინოს ის, რასაც აქტინურ სხივებს უწოდებენ. ესეც სხივი-ფერებია, განუყოფელი ნაწილი ხილული

სინათლისა, რომელსაც ჩვენ ვერ ვარჩევთ. ადამიანის თვალი არასრულყოფილი ინსტრუმენტია; მისი დიაპაზონი „ქრომატული გამის“ სულ რამდენიმე ოქტავას უდრის. არა, მე არ გავგიჟებულვარ; არის ფერები, რომელთა დანახვა ჩვენ არ ძალგვიძს. ღმერთო, შენ შემეწიე! ეს წყეული არსებაც სწორედ ასეთი ფერისაა“.

# ზეციური კავშირი

შეძლებული ჩიკაგოელი მეწარმე მისტერ უილიამ ჰოლტი 1896 წლის ზაფხულში დროებით ნიუ-იორკის შტატის შუაგულში, ერთ პატარა ქალაქში ცხოვრობდა, რომლის სახელწოდებაც ამ მოთხრობის ავტორის მეხსიერებას არ შემორჩა. მისტერ ჰოლტს უსიამოვნებები ჰქონდა ცოლთან და ერთი წლის წინ გაშორდა. ცოლ-ქმრის ეს უსიამოვნება ხასიათთა შეუთავსებლობა იყო, უფრო მეტი ამის შესახებ მხოლოდ მისტერ ჰოლტმა იცოდა, რომელიც გულახდილობით მაინცდამაინც არ გამორჩეოდა. მიუხედავად ამისა, მან მაინც უამბო აქ მონათხრობი ამბავი ერთ ადამიანს და თან არც საიდუმლოების შენახვის პირობა მოუთხოვია. ამჟამად იგი ევროპაში ცხოვრობს.

ერთ საღამოს, როდესაც მისტერ ჰოლტი სტუმრად იყო ძმასთან, იგი სახლიდან გავიდა და ქალაქგარეთ სასეირნოდ გაუყვა გზას. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ის ოჯახურ ამბებზე და მის ცხოვრებაში შემოჭრილ უსიამოვნო ცვლილებებზე ფიქრებში იყო გართული. ასე იყო თუ ისე, ამ ფიქრებს სრულად მოეცვა მისი გონება იმდენად, რომ ვეღარ ამჩნევდა როგორ გადიოდა დრო და როგორ მიუყვებოდა გზას ანგარიშმიუცემლად. იმას კი მიხვდა, რომ კარგა შორს გასცდენოდა ქალაქის ფარგლებს და ერთ მივარდნილ, გაშლილ ადგილს მიუყვებოდა გზის

გასწვრივ, ეს გზა კი საერთოდ არ ჰგავდა იმას, რომელსაც იგი სოფლიდან დაადგა. ერთი სიტყვით, მისტერ ჰოლტს გზა აებნა.

თავის შეცდომას რომ მიხვდა, მისტერ ჰოლტს გაეღიმა. ნიუ-იორკის შტატის ცენტრალური ნაწილი არ არის ის ადგილი, სადაც ადამიანს ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეიძლება საფრთხე ემუქრებოდეს და ვერც დაკარგვას მოახერხებს. იგი მოტრიალდა და უკანვე გამოუყვა ბილიკს, რომელმაც იგი აქ მოიყვანა. დიდი მანძილი არ ექნებოდა გავლილი, როდესაც შენიშნა, თანდათან როგორ გამოისახა უფრო მკვეთრად არემარე – რაღაც ნათელი ეფინებოდა იქაურობას. ყველაფერი მსუბუქი, მოწითალო შუქით მოიფინა და ამ სინათლეში მან გზაზე გაწოლილი საკუთარი ჩრდილი დაინახა. „მთვარე ამოდის“, – ჩაილაპარაკა მან და გაახსენდა, რომ ახლა ახალი მთვარის დადგომის დრო იყო და იგი კარგა ხნის ჩასული უნდა ყოფილიყო. იგი შეჩერდა და შეტრიალდა, რათა დაენახა სინათლის წყარო, რომელიც სწრაფად მატულობდა. შებრუნდა თუ არა, ჩრდილიც შეტრიალდა და კვლავ მის წინ გზაზე დაეფინა. სინათლე ისევ ზურგიდან ანათებდა. ეს საოცარი იყო, მისტერ ჰოლტს ვერაფერი გაეგო. იგი კვლავ შებრუნდა, ჩრდილი ისევ მის წინ წვებოდა და სინათლეს ზურგის მხრიდან უნათებდა.

ჰოლტი მეტისმეტად გაოცდა – „ეს რა ოხრობაა“, იმეორებდა შემცბარი და, როგორც ჩანს, მაინც შერჩა გონება და ცნობისმოყვარეობა იმისთვის, რომ შეემოწმებინა ამ სინათლის ძალა, რომლის

არსსა და მიზეზს ვერ ჩახვდა. მან ამოიღო საათი და სცადა გაერჩია ისრები ციფერბლატზე. ისრები გარკვევით მოჩანდა და თორმეტის ოცდახუთ წუთს აჩვენებდა. ამ დროს იდუმალი სინათლე აელვარდა და ძლიერად, თვალისმომჭრელად აკაშკაშდა, თან მთელ ცას მოეფინა, ვარსკვლავები გაიცრიცნენ და არემარეს მისი უშველებელი ჩრდილი გადაეფინა. სინათლეში, იქვე ახლოს,

ჰაერში, საკმაოდ დიდ სიმაღლეზე, ჰოლტმა აშკარად დაინახა თავისი ცოლის გამოსახულება, რომელიც ღამის პერანგში იყო გახვეული და მკერდზე ბავშვი ჰყავდა მიკრული. ქალს თვალები მისკენ მოეპყრო და სახეში მისჩერებოდა ისეთი გამომეტყველებით, რომლის გადმოცემა, როგორც შემდეგში ამ ამბების აღწერისას თქვა, არ შეუძლია, მხოლოდ ის თქვა, რომ ქალის გამოხედვას სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა.

სინათლის ეს ელვარება წამიერი იყო, რასაც უმაღლვე მოჰყვა სრული წყვდიადი, თუმცა ცოლის ლანდი კვლავ თეთრი და უძრავი დარჩა, მერე თანდათან და შეუმჩნევლად გაქრა. ამ ზმანების დამახასიათებელი თვისება, რომელიც თავდაპირველად მისტერ ჰოლტმა ვერ შენიშნა, მაგრამ შემდეგ კი გაიხსენა, იყო ის, რომ მხოლოდ მისი ზედა ნაწილი ჩანდა, წელს ქვევით ქალის გამოსახულება მას არ დაუნახავს.

მაღე ირგვლივ ყველა საგანი ისევ ხილული გახდა.

დილის რიჟრაჟმა ჰოლტს მაშინ მოუსწრო, როდესაც იგი სოფელში შედიოდა იმ ადგილის საწინააღმდეგო მხრიდან, საიდანაც გავიდა. მაღე მიადგა თავისი ძმის სახლს. ძმამ ძლივს იცნო, ჰოლტს თვალები გადმოეკარკლა, ძალა სულ გამოსცლოდა და სახეზე ნაცრისფერი გადაჰკრავდა. ენის ბორბიკით უამბო, რა შეემთხვა იმ ღამეს. „დაწევი, შე საწყალო, – უთხრა ძმამ, – და დაელოდე, ალბათ მაგ ამბავზე კიდევ გავიგებთ რამეს“.

ერთი საათის შემდეგ მოვიდა დეპეშა, რომ ჰოლტის სახლი ჩიკაგოს შემოგარენში მთლიანად გაენადგურებინა ხანძარს. და რაკი გასაქცევი გზა ცეცხლმა გადაუჭრა, მისი ცოლი ზედა ფანჯარასთან მისულა მკერდზე მიკრული ბავშვით. იქ მდგარა ქალი, გაუნძრევლად, თავზარდაცემული. სწორედ მაშინ, როდესაც მეხანძრეები კიბით მიადგნენ ფანჯარას, ქალს ფეხქვეშ იატაკი ჩაენგრა და მას შემდეგ იგი აღარავის უნახავს. ეს საშინელი ამბავი თორმეტის ოცდახუთ წუთზე მოხდა.

## ჩარლზ ეშმორის ნაკვალევი

კრისტიან ეშმორის ოჯახში ხუთი წევრი იყო: მისი ცოლი, დედა, ორი ქალიშვილი და თექვსმეტი წლის ვაჟიშვილი, სახელად ჩარლზი. ისინი ნიუ-იორკის შტატის ქალაქ ტროის მცხოვრებლები იყვნენ, შეძლებულები, ხალხისგან დაფასებულნი, ჰყავდათ უამრავი მეგობარი, რომელთაგან ზოგიერთი, როცა ამ სტრიქონებს წაიკითხავს, სავარუდოდ, პირველად გაიგებს, თუ რა უჩვეულო ბედი ეწია ზემოხსენებულ ყმაწვილ კაცს. ტროიდან ეშმორები 1871 თუ 1872 წელს საცხოვრებლად რიჩმონდში, ინდიანის შტატში გადავიდნენ, და ერთი თუ ორი წელი რომ გავიდა, ილინოისში, ქალაქ ქვინსის მახლობლად დასახლდნენ, სადაც მისტერ ეშმორმა ფერმა შეიძინა. მისგან არცთუ შორს ერთი ანკარა, ცივი წყარო მოჩუხჩუხებდა, საიდანაც ეშმორის ოჯახი წყალს წელიწადის ნებისმიერ დროს იმარაგებდა.

1878 წლის 9 ნოემბერს, საღამოს, დაახლოებით ცხრა საათზე, როდესაც მთელი ოჯახი აგიზგიზებულ ბუხარს შემოუსხდა, ჩარლზ ეშმორმა ხელი დაავლო თუნუქის ჭურჭელს და წყაროსკენ გაეშურა. რაკი უკან აღარ მობრუნდა, ოჯახი შეშფოთდა, მაშინ

გამოალო კარი, საიდანაც მისი ვაჟი გავიდა და ყვირილს მოჰყვა, თუმცა პასუხი არ მიუღია. მაშინ მან ფარანი აანთო და უფროსი ქალიშვილის მართას თანხლებით, რომელმაც არაფრით არ დაიშალა და

მარტო არ გაუშვა მამა, შვილის საძებრად გაემართა. თოვლს ბილიკი დაეფარა, მაგრამ ჩარლზის ფეხის ყოველი ნაკვალევი თოვლს გარკვევით ემჩნეოდა. ნახევარ გზას რომ გასცდნენ, დაწინაურებული მამა შედგა, ფარანი ასწია და დაჟინებით მიაჩერდა მის წინ აღმართულ სიბნელეს.

– რა მოხდა, მამა? – ჰკითხა გოგონამ.

და აი, რა მოხდა, შვილის კვალი ერთბაშად შეწყდა. ირგვლივ თეთრად გადაპენტილი, ფაფუკი, ფეხდაუკარებელი თოვლი მოჩანდა. უკანასკნელი ნაფეხურები ისევე მკვეთრად ემჩნეოდა თოვლს, როგორც მანამდე მთელ გზაზე. მისტერ ეშმორმა მაღლა აიხედა, ქუდი თვალებზე აიფარა და ფარნის შუქი მოიჩრდილა. ცა ვარსკვლავებით იყო მოჭედილი, ღრუბლის ნასახი არსად ჩანდა, მას უეცრად გაუჩნდა შეკითხვა, რომელზეც პასუხი თავადვე ჰქონდა: იქნებ აქ იმდენი ჩამოთოვა, რომ კვალი დაფარა? მან შორიდან შემოუარა ბოლო ნაფეხურებს, რომ არ წაეშალა ისინი და მერე ისევ დაჰკვირვებოდა და წყაროსკენ გაუდგა გზას, გოგონა უკან მიჰყვა, რომელსაც უკვე შიში შეჰპარვოდა. არც ერთს სიტყვა არ დაუძრავს იმაზე, რაც იხილეს. წყარო რამდენიმე საათის წინ ყინულს დაეფარა და გაეყინა.

შინ რომ ბრუნდებოდნენ, შენიშნეს, რომ ბილიკის აქეთ-იქით მთელ სიგრძეზე გზა თოვლს დაეფარა და ზედ არავითარი ნაკვალევი არ ემჩნეოდა.

დილის სინათლეს მეტი არაფერი გამოუჩენია. თეთრ, ფაფუკ, გადაპენტილ თოვლს დაეფარა არემარე.

ოთხი დღის შემდეგ მწუხარებით გულმოკლული დედა წყაროსკენ დაადგა გზას წყლის მოსატანად. უკან დაბრუნებულმა კი ოჯახის წევრებს უამბო, როგორ გაიგონა თავისი შვილის ხმა სწორედ იმ ადგილას, სადაც ჩარლზის კვალი წყდებოდა და მერე თვითონაც როგორ ეძახდა შვილს, თან აქეთ-იქით დაბორილებდა, რადგან ხან ერთი მხრიდან ესმოდა ხმა, ხან მეორიდან, ვიდრე არ დაღალა აქეთ-იქით სიარულმა და სულიერმა აფორიაქებამ. როდესაც ჰკითხეს, რას ეუბნებოდა ხმა, ქალმა ვერაფრის თქმა ვერ მოახერხა, თუმცა ირწმუნებოდა, რომ სიტყვები სავსებით მკაფიოდ ესმოდა. მაშინვე მთელი ოჯახი იმ ადგილისკენ გაეშურა, მაგრამ არავის არაფერი ესმოდა და ყველამ ჰალუცინაციად ჩათვალა ქალის ნაამბობი, რაც დედის აწეწილ ნერვებსა და მღელვარებას მიაწერეს.

თუმცა გავიდა რამდენიმე რამდენიმე თვე და ეს ხმა დროგამოშვებით ოჯახის სხვა წევრებსაც მოესმათ და ბევრმა იქ უბრალოდ ჩავლილმა გაიგონა. ყველა ერთხმად აცხადებდა, რომ ხმა ნამდვილად ჩარლზ ეშმორის იყო. ყველა ადასტურებდა, რომ ხმა ძალიან შორიდან მოისმოდა, სუსტად, მაგრამ ისე მკაფიოდ, რომ ყოველი ბგერის გარჩევა შეიძლებოდა, თუმცა ვერავინ იგებდა, რომელი მხრიდან ისმოდა ის და ვერც გაგონილი სიტყვების გამეორებას ახერხებდა

ვინმე. ხმის შუალედების ხანგრძლივობა თანდათან მატულობდა, ხმას ძალაც თანდათან აკლდებოდა, ზაფხულის მიწურულს კი საერთოდ მიწყდა და აღარავის გაუგონია.

თუ ვინმემ იცის, რა ბედი ეწია ჩარლზ ეშმორს, ეს, ალბათ, მისი დედაა, რადგან იგი მკვდარია.

## ჯონ ბარტაინის საათი

ექიმის მიერ მონათხრობი ამბავი

– რა ბრძანეთ? ზუსტი დრო გაინტერესებთ? ღმერთო ჩემო! რას დაგიჩემებიათ, რა მნიშვნელობა აქვს, სადაცაა დაწოლის დრო დადგება – იქნებ ზუსტად არ გეუბნებით დროს? ისე კი, თუ მაინცდამაინც თქვენი საათის გასწორება გნებავთ, აგერ, აიღეთ ჩემი საათი და თქვენ თვითონ ნახეთ!

ამ სიტყვებზე მან საათი შეიხსნა – უსაშველოდ მძიმე, ძველებური ძეწკვიანი საათი და გამოიწოდა, შემდეგ გაბრუნდა, ოთახი გაიარა, წიგნების კარადას მიადგა და მათ თვალიერებას შეუდგა. გაცეხული დავრჩი, როდესაც შევნიშნე, რა ალელვება და აშკარა უხასიათობა დაეტყო. საამისო თითქოს არაფერი სჭირდა. ჩემი საათი მისი საათის მიხედვით გავასწორე, ნაბიჯი მისკენ გადავდგი და მადლობა გადავუხადე.

საათი რომ გამომართვა და ისევ ძეწკვზე მიმაგრებას შეუდგა, შევამჩნიე, ხელებს ვერ იმორჩილებდა. ჩემთვის ჩვეული თავდაჭერილობით, რითაც ძალიან მომქონდა თავი, ვითომც

აქ არაფერი მომხდარაო, ისე გავემართე განჯინისკენ და ბრენდი და წყალი გადმოვიღე, მერე ბოლიში მოვუხადე ჩემი დაუფიქრებლობისთვის, ვთხოვე ცოტაოდენი ბრენდი დაელია და ჩემს ადგილს დავუბრუნდი ბუხართან, ის კი მთლიანად საკუთარ თავს მივანდე, როგორც უნდოდა, ისე ყოფილიყო. ასეც მოიქცა და ბუხართან დაჯდა ჩემ გვერდით ისევე მშვიდად, თითქოს არაფერი მომხდარიყო.

ეს უცნაური ამბავი ჩემს ბინაში მოხდა, სადაც ჯონ ბარტაინი იმ საღამოს მეწვია. ჩვენ ერთად ვისადილეთ კლუბში, შინ ეტლით დავბრუნდით... ერთი სიტყვით, ყველაფერი სრულიად ჩვეულებრივად მიმდინარეობდა და რატომ უნდა დაერღვია ჯონ ბარტაინს ბუნებრივი სიტუაცია და მოვლენათა ჩვეულებრივი დინება ასეთი ალგუნებით, რომელიც, ალბათ, თვითონვე ართობდა, ვერაფრით გამეგო. რაც უფრო ვუფიქრდებოდი ამას, ვიდრე მისი მეტყველების ბრწყინვალე ნიჭი ამაოდ იფრქვეოდა ჩემი უსულგულობის წინაშე, მით უფრო მიღვივდებოდა ცნობისმოყვარეობა და, რა თქმა უნდა, არც გამჭირვებია საკუთარი თავის დარწმუნება იმაში, რომ ჩემი ცნობისმოყვარეობა მეგობრისთვის ძალიან რთული იყო. ჩვეულებრივ, ასე ინიღბება ხოლმე სხვის ამბებში ჩარევა, რათა თავი დააღწიოს სინდისის ქენჯნას. საბოლოოდ, მისი მონოლოგის ერთ-ერთი დიდებული ფრაზა გავწყვიტე, რომელსაც ისედაც არ ვისმენდი და ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე მოვუჭერი სიტყვა.

– ჯონ ბარტაინ, – ვუთხარი მე, – როგორმე უნდა მაპატიოთ, თუ შეცდომას ჩავდივარ, მაგრამ ვერ დაგიტოვებთ იმის უფლებას, ნერვები აიშალოთ იმის გამო, რომ გეკითხებიან ახლა რა დროაო. ვერც იმას მივიჩნევ სწორად, რომ რაღაც გაურკვეველი უხასიათობა გეუფლებოდეთ, როცა უყურებთ თქვენს საათს და ჩემს თვალწინ ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე რაღაც მტკივნეული განცდები გიპყრობთ, რაც ჩემთვის სრულიად გაუგებარია და რასთანაც არაფერი მესაქმება.

ჩემს ამ უცნაურ ლაპარაკზე ბარტანის არაფერი უპასუხია. იჯდა და დაბოლმილი ცეცხლს შესცქეროდა. იმის შიშით, ხომ არაფერი ვაწყენინე-მეთქი, ის იყო ბოდიშის მოხდა დავაპირე და უნდა მეთხოვა აღარ ეფიქრა ჩემს ნათქვამზე, რომ მშვიდად შემომხედა და თქვა:

– ჩემო კარგო, თქვენი წინდაუხედავი ქცევა ვერ დაუკარგავს წრეგადასულ კადნიერებას თქვენსავე შეკითხვას, მაგრამ, საბედნიეროდ, მე უკვე გადაწყვეტილი მქონდა მეთქვა თქვენთვის ის, რისი გაგებაც ასე გსურთ, და თქვენი უყურადღებობა ვერ შემაცვლევინებს ჩემს გადაწყვეტილებას. თუ შეიძლება, მომისმინეთ, და ყველაფერს თავიდან ბოლომდე გაიმბოზოთ, რაც კი ამ საქმეს უკავშირდება... ეს საათი, – განაგრძო მან. – ჩვენს ოჯახში მთელი სამი თაობის განმავლობაში იყო, ვიდრე ჩემს ხელში მოხვდებოდა. მისი პირველი მფლობელი, ვისთვისაც იგი დაამზადეს, პაპაჩემის მამა გახლდათ, ბრამველ ოლკოტ ბარტაინი, მდიდარი პლანტატორი

კოლონიურ ვირჯინიაში, რომელიც დამდამობით, ყოველ გამოღვიძებაზე, წყველაკრულვას უთვლიდა მისტერ ვაშინგტონს და ახალ-ახალ ხერხებს იგონებდა კეთილი მეფის გეორგის დასახმარებლად და შესაგულიანებლად. საბოლოოდ, ეს ჩემი დიდებული წინაპარი ერთ ღამეს მისსავე სახლში დააპატიმრა იმ მუხამზე ვაჭბატონ ვაშინგტონის მომხრე რაზმმა. მას ნება დართეს გამოსთხოვებოდა თავის ატირებულ და შეშინებულ ოჯახს, შემდეგ კი გაიყვანეს სიბნელეში, რომელმაც იგი სამუდამოდ შთანთქა. მის ვერავითარ კვალს ვერ მიაგნეს, მისი ბედი უცნობი დარჩა. ომის შემდეგ გულმოდგინე ძიებამ და დიდი ჯილდოს შეთავაზებამაც კი ვერ აღმოაჩინა მისი ვერც ერთი დამტყვევებელი ან რაიმე ფაქტი, რაც მის გაქრობასთან იქნებოდა დაკავშირებული. იგი გაქრა და ამით გათავდა ყველაფერი.

ბარტაინის ქცევაში იყო რაღაც ისეთი, რაც მის სიტყვებში არ გამოსჭვიოდა – ვერ გეტყვით რა იყო ეს, მაგრამ ამან მორიგი შეკითხვა დამასმევინა:

– თქვენ თავად რას ფიქრობთ ყოველივე ამის შესახებ და რამდენად სამართლიანად მიგაჩნიათ ეგ ამბავი?

– ჩემი აზრით, – ბარტაინი უცებ აღეგზნო და მუშტი ისე გამეტებით დაჰკრა მაგიდას, თითქოს სადმე სამიკიტნოში ყოფილიყოს, – ჩემი აზრი ამ ყველაფრის შესახებ ის გახლავთ, რომ ეს

მათთვის დამახასიათებელი ლაჩრული კაცისკვლა იყო, რაც იმ შეჩვენებულმა მოღალატე ვაშინგტონმა და მისმა გაღლეტილმა დამქაშებმა ჩაიდინეს!

რამდენიმე წუთს არც ერთს ხმა არ ამოგვიღია. ბარტაინი ცდილობდა დაწყნარებულიყო და მეც ველოდი. მერე კი ვთქვი:

– სულ ეგ იყო?

– არა, კიდევ იყო რაღაც. პაპაჩემის მამის დაპატიმრებიდან რამდენიმე კვირის შემდეგ მისი საათი აივანზე იპოვეს, სახლის წინა კართან დაგდებული. იგი შეხვეული იყო საფოსტო ქაღალდში, რომელზედაც აღნიშნული იყო მისი ერთადერთი ვაჟის, რუპერტ ბარტაინის, პაპაჩემის სახელი. მე სწორედ ამ საათს ვატარებ.

ბარტაინი შეჩერდა. მისი მოუსვენარი შავი თვალები ახლა დაჟინებით მისჩერებოდნენ ბუხარში აგიზგიზებულ ცეცხლს. გავარვარებული ნაკვერჩხლებისგან არეკლილმა სინათლემ მისი თვალები ორ მოელვარე წითელ წერტილად აქცია. მე თითქოს დავავიწყდი. გარედან ერთ-ერთ ფანჯარასთან ხის ტოტების უცხად ატეხილმა ლაწალუწმა და თითქმის იმავე წამს ფანჯრის მინაზე წვიმის წვეთების ხმაურმა თითქოს გონება დაუბრუნეს და ირგვლივ მყოფი რეალობა

გაახსენეს. ძლიერი ქარი ამოვარდა და რამდენიმე წუთში გარკვევით მოისმა წვიმის შხაპური ქვაფენილზე. ბარტაინი ისევ ალაპარაკდა:

– ყოველთვის რაღაც განსაკუთრებული გრძნობა მიპყრობს ამ საათის მიმართ, რატომღაც სულ გული მიმიწევს მისკენ. მიყვარს მისი ტარება, თუმცა ნაწილობრივ მისი სიმძიმის გამო და ნაწილობრივ იმ მიზეზითაც, რაც ახლა მოგახსენებთ, იშვიათად ვატარებ თან. ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ ყოველ საღამოს, როდესაც იგი თან დამაქვს, რაღაც შეუცნობელი სურვილი მეუფლება გავხსნა იგი და დავხედო, თუმცა ვერავითარ საბაბს ვერ ვპოულობ იმისთვის, რომ დროის გაგების სურვილი მქონდეს. მაგრამ თუკი ამ სურვილს ვემორჩილები, მაშინვე, როგორც კი ციფერბლატს დავხედავ, რაღაც იდუმალი წინათგრძნობა მეუფლება – მოახლოებული უბედურების შეგრძნება. და ეს შეგრძნება მით უფრო აუტანელი ხდება, რაც უფრო ახლოვდება თერთმეტი საათი – მხოლოდ ამ საათის მიხედვით, მიუხედავად იმისა, თუ რა დროა სინამდვილეში. როგორც კი ისრები თერთმეტს მიაღებებიან, წამსვე მიქრება მისი ცქერის სურვილი, სრულიად გულგრილი ვხდები. შემდეგ შემძლია დავხედო საათს იმდენჯერვე, რამდენჯერაც მომესურვება, და იმაზე მეტი გრძნობა არ მიჩნდება, რაც თქვენ, როდესაც საკუთარ საათს დასცქერით. ბუნებრივია, ვცადე მივჩვეოდი იმას, რომ არ დავხედო საათს საღამოობით, ვიდრე თერთმეტი შესრულდება, მაგრამ ვერაფერს გავხდი. თქვენმა დაჟინებულმა თხოვნამ ამ საღამოს ცოტა არ იყოს ამაფორიაქა. მე სწორედ ისე ვიგრძენი თავი,

როგორც ჰაშიშის მწვეელი უნდა გრძნობდეს თავს, რომელსაც თავისებურად წარმოდგენილი ჯოჯობეთისკენ ჟინიან ლტოლვას გაუღვივებს რაიმე ხელსაყრელი შემთხვევა თუ შეგონება... აი, ეს გახლავთ ჩემი ამბავი და იქნებ იგი რამეში გამოადგეს თქვენს არაფრის მაქნის და უნიათო მეცნიერებს, მაგრამ თუ რომელიმე საღამოს დაინახავთ, რომ მე თან მაქვს ეს წყეული საათი, თქვენ კი სურვილი გაგიჩნდათ და მკითხეთ, რა დროაო, ნება უნდა დამართოთ, უხერხულ მდგომარეობაში ჩაგაგდოთ.

ბარტაინის ხუმრობამ მაინცდამაინც ვერ გამამხიარულა. იგი თითქოს ისევ აწრიალდა. ბოლოს კი საძაგელი ღიმილიც მოაყოლა, რამაც მართლა წამიხდა გუნება, და თვალებშიც აუკიაფდა რაღაც უფრო მეტი, ვიდრე მათი უწინდელი მოუსვენრობა იყო. თვალები უაზროდ მოავლო ოთახს და ისეთი მძვინვარება გაერია მზერაში, როგორც ზოგჯერ გონებაჩლუნგებს სჩვევიათ. იქნებ ეს ყველაფერი ჩემი წარმოდგენის ნაყოფი იყო, მაგრამ ამჯერად ეჭვი აღარ შემპარვია, რომ ჩემს მეგობარს ნამდვილად რაღაც განსაკუთრებული და ფრიად საინტერესო მანია სჭირდა და ისე, რომ მეგობრული მზრუნველობა არ დამიკლია, უნებურად შევხედე, როგორც პაციენტს, რომელიც უხვად ამჟღავნებს ექიმის დაკვირვებისთვის ასე საჭირო ნიშნებს. ჩემი საბრალო მეგობარი უფრო მეტს აკეთებდა მეცნიერებისთვის, ვიდრე თვითონ ეგონა. მისი



მონათხრობი არა მარტო საინტერესო იყო ამ თვალსაზრისით, არამედ მის დადასტურებასაც წარმოადგენდა. მე, რა თქმა უნდა, ვეცდებოდი განმეკურნა იგი, თუკი შევძლებდი, მაგრამ ჯერ ერთი პატარა

ფსიქოლოგიური ცდა უნდა ჩამეტარებინა – უფრო სწორად, ეს ცდა შეიძლებოდა მისი გამოჯანსაღების გზაზე გადადგმული ნაბიჯი გამომდგარიყო.

– ეს თქვენს გულახდილობასა და მეგობრულ დამოკიდებულებაზე მეტყველებს, ბარტან, – გულთბილად ვუთხარი მე, – და ძალიან ვამაყობ, რომ ასეთ ნდობას მიცხადებთ. ეს ყველაფერი მართლაც ძალზე უცნაურია. ხომ არაფერი გექნებათ საწინააღმდეგო, თუ თქვენს საათს დავხედავ?

მან ჟილეტიდან ძეწკვიანად მოიხსნა საათი და უსიტყვოდ გამომიწოდა. ბუდე ოქროსი ჰქონდა, სქელი და მტკიცე, საგანგებოდ გრავირებული. ციფერბლატი გულდასმით დავათვალიერე და ისიც შევნიშნე, რომ უკვე თორმეტი სრულდებოდა, ავხადე უკანა მხარეს სარქველი და სპილოს ძვლისგან ნაკეთებ ხუფს დავაკვირდი. მასზე მინიატიურული პორტრეტი იყო გამოსახული, ისეთი დახვეწილი და ჩინებული გემოვნებით შესრულებული, როგორც მე-18 საუკუნეში მოდად იყო ქცეული.

– დალახვროს ეშმაკმა! – წამოვიძახე მე და თან არტისტული აღტაცება დამეუფლა. – მაინც როგორ მოახერხეთ ამის გაკეთება. მე კი სპილოს ძვალზე მინიატიურული მხატვრობა დაკარგულ ხელოვნებად მიმაჩნდა.

– ეგ მე არ გახლავართ, – მიპასუხა და თან ნაღვლიანად გაიღიმა, – ეს ჩემი დიდებული წინაპარია, განსვენებული ბრამველ ოლკოტ ბარტანინი, ესკვაირი, ვირჯინიის შტატიდან. სურათზე ახალგაზრდობისას არის გამოსახული – დაახლოებით ჩემი ხნისაა ალბათ. როგორც ამბობენ, მას ვგავარ, თქვენ რას იტყვით?

– თქვენ ჰგავხართ? მაგას რაღა მტკიცება უნდა! თუ ჩაცმულობას არ მივიღებთ მხედველობაში და არც უღვაშებს მივაქცევთ ყურადღებას, მაშინ ეს პორტრეტი ზედგამოჭრილი თქვენ ხართ.

ამის მეტი მაშინ აღარაფერი გვითქვამს. ბარტანინმა მაგიდიდან რაღაც წიგნს წამოავლო ხელი და კითხვას შეუდგა. მე კი გარეთ წვიმის განუწყვეტელ მზაპუნს ვუგდებდი ყურს. ზოგჯერ ფილაქანზე აჩქარებული ფეხის ხმა ისმოდა და ერთხელ ვიღაცის ნელი, მძიმე ნაბიჯები ჩემს კართან შეწყდა – პოლიციელი იქნება-მეთქი, გავიფიქრე, ალბათ თავშესაფარს ეძებს შემოსასვლელთან. ხის ტოტები დაჟინებით ეხახუნებოდნენ ფანჯრის მინებს, თითქოს შიგნით შემოშვების ნებას ითხოვდნენ. ეს მე კარგად დამამახსოვრდა მთელი ამ წლების განმავლობაში, მთელი ჩემი ბრძნული ცხოვრების განმავლობაში.

როგორც კი შევნიშნე, რომ ბარტანინი არ მითვალთვალეზდა, მაშინვე წავეტანე ძეწკვზე ჩამოკონწიალებულ ძველ გასაღებს, სწრაფად უკან დავატრიალე საათის ისრები და ერთი

საათით უკან დავაყენე. შემდეგ ხუფი დავკეტე, საათი ბარტანინს გავუწოდე და ვუყურებდი, როგორ დაიმაგრა ისევ თავის ჟილეტზე.

- თუ არ ვცდები, თქვენ ბრძანეთ, - წამოვიწყე მე, თან ვეცადე, სახეზე უზრუნველი გამომეტყველება აღმბეჭდვოდა, - რომ თერთმეტი საათის შემდეგ ციფერბლატზე ცქერა თქვენზე ვერავითარ გავლენას ველარ ახდენს. რადგანაც ახლა დრო უკვე თორმეტს უახლოვდება, - თან ჩემს საათს დავხედე, - თქვენ, ალბათ, არ მიწყენთ, რომ ჩემსას არ მოვიშლი და შემოწმების მიზნით გთხოვთ კიდევ ერთხელ დახედოთ თქვენს საათს.

მანგულკეთილად გამიღიმა, კვლავ ამოიღო თავისი საათი, გახსნა და მაშინვე ფეხზე წამოვარდა, თან ისეთი ხმა აღმოხდა, რომელიც არასოდეს დამავიწყდება! მისი თვალები მთლიანად ჩაშავდა ფერდაკარგულ სახეზე, დაჟინებით ჩაშტერებოდა საათს და ორივე ხელით მაგრად ჩაებლუჯა. ერთხანს ასე იდგა ჩუმად, გაქვავებული, შემდეგ კი ისეთი ხმით, რომ ვერც კი ვიცანი, თქვა: - წყეულიმც იყავით! თერთმეტს ორი წუთი უკლია!

მე არცთუ მოუმზადებელი ვიყავი მსგავსი გამონათქვამისთვის და ფეხზე აუდგომლად მშვიდად მივუგე:

- გთხოვთ მაპატიოთ! მე ალბათ სწორად ვერ დავხედე თქვენს საათს, როდესაც ჩემი მის მიხედვით გავასწორე.

მან საათი მკვეთრი მოძრაობით უცბად დახურა და ჯიბეში ჩაიღო. მერე შემომხედა და გაღიმება სცადა, მაგრამ ქვედა ტუჩი ოდნავ უთრთოდა და ეტყობოდა, პირის მოკუმვას ველარ ახერხებდა. ხელებიც უკანკალებდა და ბოლოს მომუჭული ჯიბეებში ჩაიწყო. მისი მხნე სული აშკარად ლამობდა დაეთრგუნა ლაჩარი სხეული, თუმცა მეტისმეტი მოინდომა, ნაბიჯები აერია, თითქოს თავბრუ დაეხვავო და ვიდრე სავარძლიდან წამოხტომას და ხელის შეშველებას მოვასწრებდი, მუხლები მოეკვეთა, წინ გადაქანდა და პირქვე დაეცა. ვეცი და შევეცადე მის წამოყენებას, მაგრამ თქვენი მტერი წამოდგა ისე.

სიკვდილის შემდგომ გაკვეთას არაფერი უჩვენებია, ყველა ორგანო ნორმალური და სრულიად საღი ჰქონდა, მაგრამ გვამი რომ გააპატიოსნეს და დასაკრძალავად გაამზადეს, ყელის ირგვლივ გაურკვეველი მქრქალი მუქი წრე დააჩნდა, ყოველ შემთხვევაში, ასე მარწმუნებდა რამდენიმე კაცი, ვინც ეს წრე დაინახა, მაგრამ მე პირადად ამის შესახებ ვერაფერს ვიტყვი.

მე ვერც იმას შევძლებ, ზღვარი დავუდო მემკვიდრეობითობის კანონს და არც ის ვიცი, სულიერი სამყარო ინარჩუნებს თუ არა მასში წარმოქმნილ გრძნობებსა და განცდას, ვერც იმას,

პოულობს თუ არა იგი საუკუნეების შემდეგ თავის გამოხატულებას მონათესავე არსებაში. თუ მე უნდა გამომეცნო, რა ბედი ეწია ბრამველ ოლკოტ ბარტაინს, მაშინ აუცილებლად უნდა მივმხვდარიყავი, რომ იგი ჩამოახრჩვეს ღამის თერთმეტ საათზე, და რამდენიმე საათი დააცალეს, რომ საიქიოს გასამგზავრებლად გამზადებულიყო.

რაც შეეხება ჯონ ბარტაინს, ჩემს მეგობარს, ჩემს პაციენტს ხუთი წუთის განმავლობაში და, მომიტევოს ღმერთმა, ჩემს მსხვერპლს, მეტს ვერაფერს ვიტყვი. იგი დაასაფლავეს და საბედიწერო საათიც თან ჩაატანეს. ამის თადარიგი მე დავიჭირე. ღმერთმა შვება

მიანიჭოს მის სულს სამოთხეში და მისი ვირჯინიელი წინაპრის სულსაც, თუკი სინამდვილეში ეს ორი სული სხვადასხვაა.

## ჯონ ბარტაინის საათი

ექიმის მიერ მონათხრობი ამბავი

– რაბრძანეთ? ზუსტი დრო გაინტერესებთ? ღმერთო ჩემო! რას დაგიჩემებიათ, რა მნიშვნელობა აქვს, სადაცაა დაწოლის დრო დადგება – იქნებ ზუსტად არ გეუბნებით დროს? ისე კი, თუ მაინცდამაინც თქვენი საათის გასწორება გნებავთ, აგერ, აიღეთ ჩემი საათი და თქვენ თვითონ ნახეთ!

ამ სიტყვებზე მან საათი შეიხსნა – უსაშველოდ მძიმე, ძველებური მეწკვიანი საათი და გამომიწოდა, შემდეგ გაბრუნდა, ოთახი გაიარა, წიგნების კარადას მიადგა და მათ თვალიერებას შეუდგა. გოცელები დავრჩი, როდესაც შევნიშნე, რა აღელვება და აშკარა უხასიათობა დაეტყო. საამისო თითქოს არაფერი სჭირდა. ჩემი საათი მისი საათის მიხედვით გავასწორე, ნაბიჯი მისკენ გადავდგი და მადლობა გადავუხადე.

საათი რომ გამომართვა და ისევ მეწკვზე მიმაგრებას შეუდგა, შევამჩნიე, ხელებს ვერ იმორჩილებდა. ჩემთვის ჩვეული თავდაჭერილობით, რითაც ძალიან მომქონდა თავი, ვითომც აქ არაფერი მომხდარაო, ისე გავემართე განჯინისკენ და ბრენდი და წყალი გადმოვიღე, მერე ბოდიში მოვუხადე ჩემი დაუფიქრებლობისთვის, ვთხოვე ცოტაოდენი ბრენდი დაელია და ჩემს ადგილს დავუბრუნდი ბუხართან, ის კი მთლიანად საკუთარ თავს მივანდე, როგორც უნდოდა, ისე ყოფილიყო. ასეც მოიქცა და ბუხართან დაჯდა ჩემ გვერდით ისევე მშვიდად, თითქოს არაფერი მომხდარიყო.

ეს უცნაური ამბავი ჩემს ბინაში მოხდა, სადაც ჯონ ბარტაინი იმ საღამოს მეწვია. ჩვენ ერთად ვისადილეთ კლუბში, შინ ეტლით დავბრუნდით... ერთი სიტყვით, ყველაფერი სრულიად ჩვეულებრივად მიმდინარეობდა და რატომ უნდა დაერღვია ჯონ ბარტაინს ბუნებრივი სიტუაცია და მოვლენათა ჩვეულებრივი დინება ასეთი ალგუნებით, რომელიც, ალბათ, თვითონვე ართობდა, ვერაფრით გამეგო. რაც უფრო ვუფიქრდებოდი ამას, ვიდრე მისი მეტყველების ბრწყინვალე ნიჭი ამაოდ იფრქვეოდა ჩემი უსულგულობის წინაშე, მით უფრო მიღვივდებოდა ცნობისმოყვარეობა და, რა თქმა უნდა, არც გამჭირვებია საკუთარი თავის დარწმუნება იმაში, რომ ჩემი ცნობისმოყვარეობა მეგობრისთვის ძალიან რთული იყო. ჩვეულებრივ, ასე ინიღბება ხოლმე სხვის ამბებში ჩარევა, რათა თავი დააღწიოს სინდისის ქენჯნას. საბოლოოდ, მისი მონოლოგის ერთ-ერთი დიდებული ფრაზა გავწყვიტე, რომელსაც ისედაც არ ვისმენდი და ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე მოვუჭერი სიტყვა.

– ჯონ ბარტაინ, – ვუთხარი მე, – როგორმე უნდა მაპატიოთ, თუ შეცდომას ჩავდივარ, მაგრამ ვერ დაგიტოვებთ იმის უფლებას, ნერვები აიშალოთ იმის გამო, რომ გეკითხებიან ახლა რა დროაო. ვერც იმას მივიჩნევ სწორად, რომ რაღაც გაურკვეველი უხასიათობა გეუფლებოდეთ, როცა უყურებთ თქვენს საათს და ჩემს თვალწინ ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე რაღაც მტკივნეული განცდები გიპყრობთ, რაც ჩემთვის სრულიად გაუგებარია და რასთანაც არაფერი მესაქმება.

ჩემს ამ უცნაურ ლაპარაკზე ბარტაინს არაფერი უპასუხია. იჯდა და დაბოლმილი ცეცხლს შესცქეროდა. იმის შიშით, ხომ არაფერი ვაწყენინე-მეთქი, ის იყო ბოდიშის მოხდა დავაპირე და უნდა მეთხოვა აღარ ეფიქრა ჩემს ნათქვამზე, რომ მშვიდად შემომხედა და თქვა:

– ჩემო კარგო, თქვენი წინდაუხედავი ქცევა ვერ დაუკარგავს წრეგადასულ კადნიერებას თქვენსავე შეკითხვას, მაგრამ, საბედნიეროდ, მე უკვე გადაწყვეტილი მქონდა მეთქვა თქვენთვის ის, რისი გაგებაც ასე გსურთ, და თქვენი უყურადღებობა ვერ შემაცვლევინებს ჩემს გადაწყვეტილებას. თუ შეიძლება, მომისმინეთ, და ყველაფერს თავიდან ბოლომდე გაიმბოთ, რაც კი ამ საქმეს უკავშირდება... ეს საათი, – განაგრძო მან. – ჩვენს ოჯახში მთელი სამი თაობის განმავლობაში იყო, ვიდრე ჩემს ხელში მოხვდებოდა. მისი პირველი მფლობელი, ვისთვისაც იგი დაამზადეს, პაპაჩემის მამა გახლდათ, ბრამველ ოლკოტ ბარტაინი, მდიდარი პლანტატორი კოლონიურ ვირჯინიაში, რომელიც ღამღამობით, ყოველ გამოღვიძებაზე, წყევლაკრულვას უთვლიდა მისტერ ვაშინგტონს და ახალ-ახალ ხერხებს იგონებდა კეთილი მეფის გეორგის დასახმარებლად და შესაგულიანებლად. საბოლოოდ, ეს ჩემი დიდებული წინაპარი ერთ ღამეს მისსავე სახლში დააპატიმრა იმ შეამბოხე ვაჟბატონ ვაშინგტონის მომხრე რაზმმა. მას ნება დართეს გამოსთხოვებოდა თავის ატირებულ და შეშინებულ ოჯახს, შემდეგ კი გაიყვანეს სიბნელეში, რომელმაც იგი სამუდამოდ შთანთქა. მის ვერავითარ კვალს ვერ მიაგნეს, მისი ბედი უცნობი დარჩა. ომის შემდეგ გულმოდგინე ძიებამ და დიდი ჯილდოს შეთავაზებამაც კი ვერ აღმოაჩინა მისი ვერც ერთი დამტყვევებელი ან რაიმე ფაქტი, რაც მის გაქრობასთან იქნებოდა დაკავშირებული. იგი გაქრა და ამით გათავდა ყველაფერი.

ბარტაინის ქცევაში იყო რაღაც ისეთი, რაც მის სიტყვებში არ გამოსჭვიოდა – ვერ გეტყვით რა იყო ეს, მაგრამ ამან მორიგი შეკითხვა დამასმევინა:

– თქვენ თავად რას ფიქრობთ ყოველივე ამის შესახებ და რამდენად სამართლიანად მიგაჩნიათ ეგ ამბავი?

– ჩემი აზრით, – ბარტაინი უცებ აღეგზნო და მუშტი ისე გამეტებით დაჰკრა მაგიდას, თითქოს სადმე სამიკიტნოში ყოფილიყოს, – ჩემი აზრი ამ ყველაფრის შესახებ ის გახლავთ, რომ ეს მათთვის დამახასიათებელი ლაჩრული კაცისკვლა იყო, რაც იმ შეჩვენებულმა მოღალატე ვაშინგტონმა და მისმა გალლეტილმა დამქაშებმა ჩაიდინეს!

რამდენიმე წუთს არც ერთს ხმა არ ამოგვიღია. ბარტაინი ცდილობდა დაწყნარებულიყო და მეც ველოდი. მერე კი ვთქვი:

– სულ ეგ იყო?

– არა, კიდევ იყო რაღაც. პაპაჩემის მამის დაპატიმრებიდან რამდენიმე კვირის შემდეგ მისი საათი აივანზე იპოვეს, სახლის წინა კართან დაგდებული. იგი შეხვეული იყო საფოსტო ქალაქში, რომელზედაც აღნიშნული იყო მისი ერთადერთი ვაჟის, რუპერტ ბარტაინის, პაპაჩემის სახელი. მე სწორედ ამ საათს ვატარებ.

ბარტაინი შეჩერდა. მისი მოუსვენარი შავი თვალები ახლა დაჟინებით მისჩერებოდნენ ბუხარში აგიზგიზებულ ცეცხლს. გავარვარებული ნაკვერჩხლებისგან არეკლილმა სინათლემ მისი თვალები ორ მოელვარე წითელ წერტილად აქცია. მე თითქოს დავავიწყდი. გარედან ერთ-ერთ ფანჯარასთან ხის ტოტების უცხად ატეხილმა ლაწალუწმა და თითქმის იმავე წამს ფანჯრის მინაზე წვიმის წვეთების ხმაურმა თითქოს გონება დაუბრუნეს და ირგვლივ მყოფი რეალობა გაახსენეს. ძლიერი ქარი ამოვარდა და რამდენიმე წუთში გარკვევით მოისმა წვიმის შხაპუნის ქვაფენილზე. ბარტაინი ისევ ალაპარაკდა:

– ყოველთვის რაღაც განსაკუთრებული გრძნობა მიპყრობს ამ საათის მიმართ, რატომღაც სულ გული მიმიწევს მისკენ. მიყვარს მისი ტარება, თუმცა ნაწილობრივ მისი სიმძიმის გამო და ნაწილობრივ იმ მიზეზითაც, რაც ახლა მოგახსენებთ, იშვიათად ვატარებ თან. ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ ყოველ საღამოს, როდესაც იგი თან დამაქვს, რაღაც შეუცნობელი სურვილი მეუფლებაგავხსნა იგი და დავხედო, თუმცა ვერავითარ საბაბს ვერ ვპოულობ იმისთვის, რომ დროის გაგების სურვილი მქონდეს. მაგრამ თუკი ამ სურვილს ვემორჩილები, მაშინვე, როგორც კი ციფერბლატს დავხედავ, რაღაც იდუმალი წინათგრძნობა მეუფლება – მოახლოებული უბედურების შეგრძნება. და ეს შეგრძნება მით უფრო აუტანელი ხდება, რაც უფრო ახლოვდება თერთმეტი საათი – მხოლოდ ამ საათის მიხედვით, მიუხედავად იმისა, თუ რა დროა სინამდვილეში. როგორც კი ისრები თერთმეტს მიადგებიან, წამსვე მიქრება მისი ცქერის სურვილი, სრულიად გულგრილი ვხდები. შემდეგ შემძლია დავხედო საათს იმდენჯერვე, რამდენჯერაც მომესურვება, და იმაზე მეტი გრძნობა არ მიჩნდება, რაც თქვენ, როდესაც საკუთარ საათს დასცქერით. ბუნებრივია, ვცადე მივჩვეოდი იმას, რომ არ დავხედო საათს საღამოობით, ვიდრე თერთმეტი შესრულდება, მაგრამ ვერაფერს გავხდი. თქვენმა დაჟინებულმა თხოვნამ ამ საღამოს ცოტა არ იყოს ამაფორიაქა. მე სწორედ ისე ვიგრძენი თავი, როგორც ჰაშიმის მწვეელი უნდა გრძნობდეს თავს, რომელსაც თავისებურად წარმოდგენილი ჯოჯოხეთისკენ ჟინიან ლტოლვას გაუღვივებს რაიმე ხელსაყრელი შემთხვევა თუ შეგონება... აი, ეს გახლავთ ჩემი ამბავი და იქნებ იგი რამეში გამოადგეს თქვენს არაფრის მაქნის და უნიათო მეცნიერებს, მაგრამ თუ რომელიმე საღამოს დაინახავთ, რომ მე თან მაქვს ეს წყეული საათი, თქვენ კი სურვილი გაგიჩნდათ და მკითხეთ, რა დროაო, ნება უნდა დამართოთ, უხერხულ მდგომარეობაში ჩაგაგდოთ.

ბარტაინის ხუმრობამ მაინცდამაინც ვერ გამამხიარულა. იგი თითქოს ისევ აწრიალდა. ბოლოს კი საძაგელი ღიმილიც მოაყოლა, რამაც მართლა წამიხდა გუნება, და თვალებშიც აუკიაფდა რაღაც უფრო მეტი, ვიდრე მათი უწინდელი მოუსვენრობა იყო. თვალები უაზროდ მოავლო ოთახს და ისეთი მძვინვარება გაერია მზერაში, როგორც ზოგჯერ გონებაჩლუნგებს სჩვევიათ. იქნებ ეს ყველაფერი ჩემი წარმოდგენის ნაყოფი იყო, მაგრამ ამჯერად ეჭვი აღარ შემპარვია, რომ ჩემს მეგობარს ნამდვილად რაღაც განსაკუთრებული და ფრიად საინტერესო მანია სჭირდა და ისე, რომ მეგობრული მზრუნველობა არ დამიკლია, უნებურად შევხედე, როგორც პაციენტს, რომელიც უხვად ამჟღავნებს ექიმის დაკვირვებისთვის ასე საჭირო ნიშნებს. ჩემი საბრალო მეგობარი უფრო მეტს აკეთებდა მეცნიერებისთვის, ვიდრე თვითონ ეგონა. მისი მონათხრობი არა მარტო საინტერესო იყო ამ თვალსაზრისით, არამედ მის

დადასტურებასაც წარმოადგენდა. მე, რა თქმა უნდა, ვეცდებოდი განმეკურნა იგი, თუკი შევძლებდი, მაგრამ ჯერ ერთი პატარა ფსიქოლოგიური ცდა უნდა ჩამეტარებინა – უფრო სწორად, ეს ცდა შეიძლებოდა მისი გამოჯანსაღების გზაზე გადადგმული ნაბიჯი გამომდგარიყო.

– ეს თქვენს გულახდილობასა და მეგობრულ დამოკიდებულებაზე მეტყველებს, ბარტაინ, – გულთბილად ვუთხარი მე, – და ძალიან ვამაყობ, რომ ასეთ ნდობას მიცხადებთ. ეს ყველაფერი მართლაც ძალზე უცნაურია. ხომ არაფერი გექნებათ საწინააღმდეგო, თუ თქვენს საათს დავხედავ?

მან ჟილეტიდან ძეწკვიანად მოიხსნა საათი და უსიტყვოდ გამომიწოდა. ბუდე ოქროსი ჰქონდა, სქელი და მტკიცე, საგანგებოდ გრავირებული. ციფერბლატი გულდასმით დავათვალიერე და ისიც შევნიშნე, რომ უკვე თორმეტი სრულდებოდა, ავხადე უკანა მხარეს სარქველი და სპილოს ძვლისგან ნაკეთებ ხუფს დავაკვირდი. მასზე მინიატიურული პორტრეტი იყო გამოსახული, ისეთი დახვეწილი და ჩინებული გემოვნებით შესრულებული, როგორც მე-18 საუკუნეში მოდად იყო ქცეული.

– დალახვროს ეშმაკმა! – წამოვიძახე მე და თან არტისტულიაღტაცება დამეუფლა. – მაინც როგორ მოახერხეთ ამის გაკეთება. მე კი სპილოს ძვალზე მინიატიურული მხატვრობა დაკარგულ ხელოვნებად მიმაჩნდა.

– ეგ მე არ გახლავართ, – მიპასუხა და თან ნაღვლიანად გაიღიმა, – ეს ჩემი დიდებული წინაპარია, განსვენებული ბრამველ ოლკოტ ბარტაინი, ესკვაირი, ვირჯინიის შტატიდან. სურათზე ახალგაზრდობისას არის გამოსახული – დაახლოებით ჩემი ხნისაა ალბათ. როგორც ამბობენ, მას ვგავარ, თქვენ რას იტყვით?

– თქვენ ჰგავხართ? მაგას რაღა მტკიცება უნდა! თუ ჩაცმულობას არ მივიღებთ მხედველობაში და არც უღვაშებს მივაქცევთ ყურადღებას, მაშინ ეს პორტრეტი ზედგამოჭრილი თქვენ ხართ.

ამის მეტი მაშინ აღარაფერი გვითქვამს. ბარტაინმა მაგიდიდან რაღაც წიგნს წამოავლო ხელი და კითხვას შეუდგა. მე კი გარეთ წვიმის განუწყვეტელ შხაპუნს ვუგდებდი ყურს. ზოგჯერ ფილაქანზე აჩქარებული ფეხის ხმა ისმოდა და ერთხელ ვიღაცის ნელი, მძიმე ნაბიჯები ჩემს კართან შეწყდა – პოლიციელი იქნება-მეთქი, გავიფიქრე, ალბათ თავშესაფარს ეძებს შემოსასვლელთან. ხის ტოტები დაჟინებით ეხახუნებოდნენ ფანჯრის მინებს, თითქოს შიგნით შემოშვების ნებას ითხოვდნენ. ეს მე კარგად დამამახსოვრდა მთელი ამ წლების განმავლობაში, მთელი ჩემი ბრძნული ცხოვრების განმავლობაში.

როგორც კი შევნიშნე, რომ ბარტაინი არ მითვალთვალებდა, მაშინვე წავეტანე ძეწკვზე ჩამოკონწიალებულ ძველ გასაღებს, სწრაფად უკან დავატრიალე საათის ისრები და ერთი საათით უკან დავაყენე. შემდეგ ხუფი დავკეტე, საათი ბარტაინს გაუუწოდე და ვუყურებდი, როგორ დაიმაგრა ისევ თავის ჟილეტზე.

– თუ არ ვცდები, თქვენ ბრძანეთ, – წამოვიწყე მე, თან ვეცადე, სახეზე უზრუნველი გამომეტყველება აღმბეჭდვოდა, – რომ თერთმეტი საათის შემდეგ ციფერბლატზე

ცქერა თქვენზე ვერავითარ გავლენას ვეღარ ახდენს. რადგანაც ახლა დრო უკვე თორმეტს უახლოვდება, – თან ჩემს საათს დავხედე, – თქვენ, ალბათ, არ მიწყენთ, რომ ჩემსას არ მოვიშლი და შემოწმების მიზნით გთხოვთ კიდევ ერთხელ დახედოთ თქვენს საათს.

მან გულკეთილად გამიღიმა, კვლავ ამოიღო თავისი საათი, გახსნა და მაშინვე ფეხზე წამოვარდა, თან ისეთი ხმა აღმოხდა, რომელიც არასოდეს დამავიწყდება! მისი თვალები მთლიანად ჩაშავდა ფერდაკარგულ სახეზე, დაჟინებით ჩაშტერებოდა საათს და ორივე ხელით მაგრად ჩაებლუჯა. ერთხანს ასე იდგა ჩუმად, გაქვავებული, შემდეგ კი ისეთი ხმით, რომ ვერც კი ვიცანი, თქვა: – წყეულიმც იყავით! თერთმეტს ორი წუთი უკლია!

მე არცთუ მოუმზადებელი ვიყავი მსგავსი გამონათქვამისთვის და ფეხზე აუდგომლად მშვიდად მივუგე:

– გთხოვთ მაპატიოთ! მე ალბათ სწორად ვერ დავხედე თქვენს საათს, როდესაც ჩემი მის მიხედვით გავასწორე.

მან საათი მკვეთრი მოძრაობით უცბად დახურა და ჯიბეში ჩაიღო. მე რე შემომხედა და გაღიმება სცადა, მაგრამ ქვედა ტუჩი ოდნავ უთრთოდა და ეტყობოდა, პირის

მოკუმვას ვეღარ ახერხებდა. ხელებიც უკანკალებდა და ბოლოს მომუჭული ჯიბეებში ჩაიწყო. მისი მხნე სული აშკარად ლამობდა დაეთრგუნა ლაჩარი სხეული, თუმცა მეტისმეტი მოინდომა, ნაბიჯები აერია, თითქოს თავბრუ დაეხვაო და ვიდრე სავარძლიდან წამოხტომას და ხელის შეშველებას მოვასწრებდი, მუხლები მოეკვეთა, წინ გადაქანდა და პირქვე დაეცა. ვეცი და შევეცადე მის წამოყენებას, მაგრამ თქვენი მტერი წამოდგა ისე.

სიკვდილის შემდგომ გაკვეთას არაფერი უჩვენებია, ყველა ორგანო ნორმალური და სრულიად საღი ჰქონდა, მაგრამ გვამი რომ გააპატიოსნეს და დასაკრძალავად გაამზადეს, ყელის ირგვლივ გაურკვეველი მქრქალი მუქი წრე დააჩნდა, ყოველ შემთხვევაში, ასე მარწმუნებდა რამდენიმე კაცი, ვინც ეს წრე დაინახა, მაგრამ მე პირადად ამის შესახებ ვერაფერს ვიტყვი.

მე ვერც იმას შევძლებ, ზღვარი დავუდო მემკვიდრეობითობის კანონს და არც ის ვიცი, სულიერი სამყარო ინარჩუნებს თუ არა მასში წარმოქმნილ გრძნობებსა და განცდას, ვერც იმას, პოულობს თუ არა იგი საუკუნეების შემდეგ თავის გამოხატულებას მონათესავე არსებაში. თუ მე უნდა გამომეცნო, რა ბედი ეწია ბრამველ ოლკოტ ბარტაინს, მაშინ აუცილებლად უნდა მივმხვდარიყავი, რომ იგი ჩამოახრჩვეს ღამის თერთმეტ საათზე, და რამდენიმე საათი დააცალეს, რომ საიქიოს გასამგზავრებლად გამზადებულიყო.

რაც შეეხება ჯონ ბარტაინს, ჩემს მეგობარს, ჩემს პაციენტს ხუთი წუთის განმავლობაში და, მომიტევოს ღმერთმა, ჩემს მსხვერპლს, მეტს ვერაფერს ვიტყვი. იგი დაასაფლავეს და საბედიწერო საათიც თან ჩაატანეს. ამის თადარიგი მე დავიჭირე. ღმერთმა შვება მიანიჭოს მის სულს სამოთხეში და მისი ვირჯინიელი წინაპრის სულსაც, თუკი სინამდვილეში ეს ორი სული სხვადასხვაა.

